საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№48 (235)
25 დეკემბერი, 2013 - 14 იანვარი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 2014 წლის 15 იანვარს

## რატომ შემოვიდა ივანიშვილი პოლიტიკაში, რატომ შემოიკრიბა დისკრედიტებული პოლიტსუბიექტები და რატომ გავიდა ნაადრევად თამაშიდან?

12



## «საქართველო და მსოფლიო» გილოცავთ შობა-ახალ წელს!



## «მერაბიშვილმა ფარცხალაძეს მაგრად აჭამა»

2

## ფარცხალაძის გაფარცხვა, ანუ კადრები წყვეტენ ყველაფერს

3



## «ქართველი არასოდეს შეეგუება იმას, რომ ერთადერთი ვაჟი, რომელმაც მისი გვარი უნდა გააგრძელოს, პედერასტი იყოს»

10

## რამდენი ქართველი ოცნებობს ევრაზიის კავშირზე?

4

## «თუ დასავლეთი მინების გაყიდვას გვთხოვს, ასეთი არც ევროპა მინდა და არც მათი კავშირები»

7

## საცივი ბელადისთვის (სტალინის პირადი მზარეულის რეცეპტით)

25



მოსკოვი. წითელი მოედანი. 2013 წლის 21 დეკემბერი

## ევროპა

17

ევროკავშირმა დაღალა მიტინგები ესპანეთში, არეულობა იტალიაში

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება კი არა, ამოქმედებაც არ არის გარანტია იმისა, რომ ევროპისკენ ჩვენი მოძრაობა შეუქცევადი გახდება."**

# 2013 წლის მთავარი ბლეფი

## პეტრე მამრაძე — ხელისუფლების კულუარების სკანდალურ სქემებზე

**2013 წელი მიიწურა... შედეგები, მსუბუქად რომ ვთქვათ, ბუნდოვანი და ორაზროვანია. „ქოცები და ნაცები გარიგდნენ, — განაცხადა ჩემმა რესპოდენტმა. — ინაწილებენ ფინანსურ ნაკადებსა და ადრე მიტაცებულ ქონებას, შესაბამისად, ხელს აღარ აძლევთ სამართლიანობის აღდგენა. აი, ასე ხახვივით შერჩება სააკაშვილს ყველაფერი". განვლილი 2013 წლის მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე.**







### პეტრე მამრაძე:

## მერაბიშვილმა ფარცხალაძეს მაგრად აჭამა

— თუ 2013 წელს შევაფასებთ, ყურადღებას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებაზე გავამახვილებ, რომელიც ადრევე უნდა მომხდარიყო....

**— „შალახოს" გარდა რითაა ეს დოკუმენტი აღსანიშნავი? თუ მიღება უნდათ, ევროკავშირში ასოცირებული წევრობის გარეშე ვერ მიგვიღებენ?**

— ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება კი არა, ამოქმედებაც არ არის გარანტია იმისა, რომ ევროპისკენ ჩვენი მოძრაობა შეუქცევადი გახდება. მსგავს ხელშეკრულებაზე ხელი რამდენიმე ათეულმა ქვეყანამ მოაწერა, მათ შორის, თურქეთმა, სირიამაც კი, სადაც დიდი უბედურება ტრიალებს.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ რეალურად ვერც კი შეაფასა წინა ხელისუფლების დანაშაული, ივანიშვილს არ ვგულისხმობ, ის უკვე წასულია ხელისუფლებიდან. უპირველეს ყოვლისა, მათ ჩაიდინეს სამშობლოს ღალატი, 2008 წლის სამხედრო პოლიტიკურ ავანტურას ვგულისხმობ. გარდა ამისა, ხაზინიდან მილიარდობით დოლარის მიტაცება, ვეებერთელა ვალების აკიდება ქვეყნისთვის (საგარეო ვალებზეა საუბარი) და ა. შ. აი, ამას მკაფიო შეფასებაც კი არ მიეცა, არათუ სამართლიანობის აღდგენა არ მომხდარა.

**— საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ხდება არა სამართლიანობის აღდგენა, არამედ „ნაცების" დანაშაულის გაპრავება და რომ „ოცნება" თავიდანვე გარიგებული იყო „ნაცმოძრაობასთან", ამაზე რას იტყვით?**

— ჩამოვთვალოთ შესაძლებელი მიზეზები: პირველი — კოალიცია არის ეკლექტური, შედგება ისეთი პარტიებისგან, რომლებიც ცალ-ცალკე პარლამენტში ბარიერსაც კი ვერ გადალახავდნენ (ადამიანებმა ხმა მისცეს ივანიშვილს და ავტომატურად — კოალიციას), ასევე ხალხმა აირჩია ივანიშვილი და არა მარგველაშვილი. ახლა ამ პარტიებს საერთო მოტივაცია არ აქვთ. აი, ეს არის. ფიქრობენ მხოლოდ თავიანთ მომავალზე, როგორც პოლიტიკურზე, ისე ფინანსურზე. პირდაპირ გეტყვით: ის ბიზნესმენებიც კი, რომლებიც ემსახურებოდნენ სააკაშვილის რეჟიმს, მენეჯერებად იყვნენ გადაქცეულნი და ყველაფერი მიჰქონდათ სააკაშვილ-მერაბიშვილის „ობშიაკში" ახლაც სრულიად მშვიდად არიან, ამბობენ, მთავარია, გაურიგდე „ქოცებს" და ჩამოგხსნიან გამოძიებიდანო. საზოგადოებაშიც დამკვიდრდა აზრი, რომ „ქოცებმა" დაიკავეს „ნაცების" ადგილი და, როცა ასეთი აზრი მკვიდრდება, ის, როგორც წესი, მართლდება ხოლმე. ეს კოაბიტაცია კი არა, სიმბიოზია. საზოგადოების ნაწილში მყარად დამკვიდრდა აზრი, რომ „ქოცები" წავიდნენ გარიგებაზე და წართმეული ქონების დაბრუნებას არჩიეს „ნაცებთან" წილებში ჩასხდომა, ინაწილებენ ფინანსურ ნაკადებს და ადრე მიტაცებულ ქონებას, შესაბამისად, აღარ აძლევთ ხელს სამართლიანობის აღდგენა, ანუ მივიღეთ სიმბიოზი, ორი ორგანიზმის ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრება კოაბიტაციის, ანუ მშვიდობიანი თანაცხოვრების ნაცვლად. საშიში ტენდენციაა, აგრეთვე, ის, რომ მრავალ თანამდებობაზე დაინიშნენ მათი ნათესავ-მეგობრები, უკანონოდ არის გათავისუფლებული ასობით ადამიანი, მოკლედ, ნეპოტიზმია გამეფებული. ასევე საშიში ტენდენციებია პროკურატურაში, ადეიშვილის კადრები კი არ მიდიან, არამედ წინაურდებიან. დიახ, ფუფუნებაში ცხოვრობენ ახალი ლიდერები. ძვირფას მანქანებთან დაკავშირებული სკანდალებიც ბევრია, იმაზე უფრო ძვირი მანქანები ჰყავთ, ვიდრე „ნაცებს" ჰყავდათ.

**— გჯერათ, რომ ივანიშვილი გულწრფელია? თუ რევოლუციის აცილების მიზნით დაევალა მოსვლა და ახლა ხელები დაიბანა?..**

— დიახ, მჯერა, რომ გულწრფელია. ივანიშვილმა გადაარჩინა საკუთარი სახელმწიფო ჩაუშესკოს სცენარს, ის რომ არა, საქმე მივიდოდა საერთო სახალხო აჯანყებამდე. სააკაშვილისა და მისი გუნდელების გადარჩენა თანმდევი მოვლენაა. ახლა რა ვქნათ? როდესაც ჩანს, რომ ბევრი მიმართულებით ჩვენი ახალი ხელისუფლება სრულიად უნიათოა, უნდა ვიყოთ ფხიზლად. მოდის ინფორმაცია, რომ ბერავენ შტატებს, 137 მილიონი ლარით ზრდიან სამინისტროების აპარატებს და ხელისუფლების ხელფასებს, ეს ბიუჯეტშიც ჩაიდო. მეორე ხელით 600 მილიონ ლარს იღებენ შიდა ვალს, ანუ ვალის თითქმის მეოთხედი აღებულია იმ მიზნით, რომ ხელფასები დაინიშნონ? რა გამოდის? ჩვენი სოციუმი ირჩევს ხელისუფლებას და მერე აღარ აქვს ძალა, რომ გააკონტროლოს ეს არჩეული ხელისუფლება.

**— მგონი, ხალხს ახლა ამათი მოცილება მოუწევს... რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ მათთვის აუცილებელია „ნაცების" შენარჩუნება, საზოგადოებისთვის „ნაცმოძრაობა" ასოცირდება საშინელ ეკონომიკურ სიდუხჭირესა და დამცირებასთან, როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება „ნაცმოძრაობა" 2014 წელს და იქნება თუ არა საერთოდ? ისიც კი ითქვა, რომ რესპები, ალასანია და „ნაცები" გაერთიანდებიან პარლამენტში...**

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პროკურატურამ, პარლამენტმა და მთავრობამ მერაბიშვილს საჩუქარი გაუკეთეს საახალწლოდ, ანუ ნაცვლად იმისა, რომ მისი განცხადების შემდეგ დაუყოვნებლივ დაეწყოთ გამოძიება (ხიდაშელის თქმის არ იყოს, 17-წუთიანი გამოძიება, მეტი საჭირო არც არის, აჩვენონ ეს კადრები), დაამტკიცონ, რომ არაფერი არ არის და ამით დამთავრდება ყველაფერი, მეტიც მერაბიშვილს ახალი ბრალდება წაეყენება დანაშაულის დაბრალების გამო, ამის ნაცვლად თავისი მოქმედებით ჯერ პროკურატურამ, რომელმაც არ დაიწყო გამოძიება, შემდეგ უკვე პარლამენტმა, (ვალდებული იყო შეექმნა საგამოძიებო კომისია) თავისი მოქმედებით აჩვენეს, რომ თუნდაც იმ ნაწილში, რომ მერაბიშვილი უკანონოდ გაიყვანეს ციხიდან, სიმართლეა. ახლა ამან ჩრდილი კი არ მიაყენა, შარავანდედი შეუქმნა სააკაშვილის სადისტური სისტემის ხერხემალს — მერაბიშვილს. და ახლა უკვე სტრასბურგში იქნება ეს თუ ნებისმიერ საერთაშორისო დონეზე, ყველა ორგანიზაცია ამას შეიტანს თავის ანგარიშში. ნახეთ, რა დღეში ჩაიგდეს თავი? ნებისმიერმა პატიმარმა, რომ განაცხადოს მსგავსი, იმასაც არ გამოიძიებენ? იმაზეც იტყვის ჭიკაიძე, რომ არასერიოზულია? ის რომ გამოიძიონ, ეს რატომ არ გამოიძიეს? ანუ პრეცედენტი შექმნეს, რომელსაც ძალიან მძიმე შედეგები ექნება. ასე რომ, ეს ძალიან ცუდი ფინალია ამ წლისა. რატომ? არ გამორიცხავენ, რომ ამ ხერხემალმა წამოიკიდა გამოუცდელი ადამიანები, ეს საბავშვო ბაღია. ვთქვათ, შეუთვალა ფარცხალაძეს, — გამომიყვანე და რაღაცებს მოგიყვებიო, ან თავისი კუდებით, რომლებიც ბევრნი არიან პროკურატურაში რჩევა მიაცემინა, რომ, აი, შენ თუ ამას გამოიყვან ციხიდან, მიხვდება, რომ სხვანაირად არის საქმე და ალაპარაკდებაო. „ნაცების" მომავალს რაც შეეხება — „ნაცებს" ქართულ პოლიტიკაში ყოფნის გამოცდილება არ აკლიათ, არც ფული და მათ მართლა სწამთ, რომ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. ვიმეორებ, სჯერათ, რომ ეს ხელისუფლება არის იმდენად უნიათო, რომ ქვეყანას შეიყვანს ჩიხში და ისინი დაბრუნდებიან. რესპების, „ნაცებისა" და ალასანიას გაერთიანებას გამოვრიცხავ, იმიტომ, რომ ღია გაერთიანება სიმბიოზი აღარ არის, სიმბიოზი. თუ ნაციონალური ფრაქციის არაერთი წევრი ცალკე ფრაქციას შექმნის ან თემატურად მიემხრობა სხვა ფრაქციას ბევრ საკითხში, ამ სცენარს ნამდვილად არ გამოვრიცხავ, მაგრამ, თუ „ქოცების" დისკრედიტაცია არ განხორციელდა სწრაფად, ესეც არ მოხდება.

**— საგარეოპოლიტიკურ კურსზე რას იტყვით? არც ისე სწრაფად შეცვლილა და არც ისე რადიკალურად, როგორც ამას გვპირდებოდნენ, კერძოდ, რუსეთთან დამოკიდებულების დათბობა კიდევ შორეული მომავლის თემად რჩება? რუსეთთან მარტო ბაზრის გახსნა და ისიც ნაწილობრივ აშკარად არ აღმოჩნდა საკმარისი ქართული ეკონომიკის გასაჯანსაღებლად! ყოველდღე ძვირდება პროდუქტი, რასაც ადრე თუ გვიან პირველადი მოხმარების სხვა საგნებიც მიემატება... მთავრობა ამას ვერ აკონტროლებს?**

— ძალიან დიდი შედეგია ის, რომ გადაიდგა ნაბიჯები ურთიერთობის მოგვარებისთვის. რა გააკეთოს მეტი საქართველოს ხელისუფლებამ? იმაზე წავიდეს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ცნოს? რომ დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინოს რუსეთთან ამ პირობებით? ესეც ძალიან ბევრია, რომ ხილი გავიდა, ღვინო და ა. შ. შეიძლება უვიზო რეჟიმიც შემოვიდეს. ვნახოთ, რა იქნება, დრო გვიჩვენებს დანარჩენს.

**— დაბოლოს, კარგად მახსოვს თქვენი ჩემთან გაკეთებული განცხადება — არჩევნებზე ხმას მხოლოდ მარგველაშვილს მივცემო. ახლა, მგონი, აღარ მოგწონთ ეს პარტია, არა? აქვე ერთსაც გკითხავთ: სააკაშვილის რა ბედი ეწევა, ალბათ, არც არავინ მოსთხოვს პასუხს?!**

— მე მხარს ვუჭერ ბიძინა ივანიშვილს, ამას ვამბობდი და ყველგან გავიმეორებ. კაცმა ეს სადისტები მოგაშორა და ახლა შენც გაანძრიე ხელი! რაც შეეხება სააკაშვილს, მე რასაც ვამბობდი, გამართლდა: უცხოეთში, კერძოდ, ამერიკაში იქნება უნივერსიტეტებში-მეთქი. ძალიან სათუოა, რომ, არათუ დააპატიმრონ (ადეიშვილიც კი ვერ ჩამოუყვანიათ), ძალიან სათუოა, რომ თუნდაც საქმე აღიძრას მის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ აქ პოლიტიკური ნება არ არის. დასავლეთში საკმაოდ ბევრია გავლენიანი ადამიანი, რომელთაც ეს კატეგორიულად არ უნდა სხვადასხვა მიზეზით: ერთი იმის გამო, რომ თავის დროზე მხარს უჭერდნენ და თვალს ხუჭავდნენ და ახლა იმის აღმოჩენა, რომ ეს დამნაშავეა, არ უნდათ, სახის შენარჩუნება სურთ და მეორე, ეს ძალიან მნიშვნელოვანია: ევროპაში ძალიან ბევრს არ უნდა, რომ შეიქმნას პრეცედენტი, რომ აიძულეს პოსტსაბჭოური ქვეყნის ავტორიტარული მმართველი (აიძულეს, თორემ სააკაშვილი არ აპირებდა დამარცხების ცნობას), რომ ეცნო დამარცხება და წასულიყო არჩევნებით. მისცეს გარანტია, რომ შენზე პოლიტიკური დევნა არ იქნება და ახლა საქმე რომც აღიძრას, დაპატიმრებაზე არაფერს ვამბობ, ეს იქნება უაღრესად უარყოფითი გზავნილი დანარჩენი ავტორიტარი მმართველებისადმი. „ფერადი რევოლუციები" დაჭკნა და დალპა და დასავლეთში თავს იმტვრევენ, როგორ მოახდინონ მათი ევოლუციური დემონტაჟი, რათა თანდათან ჩაენაცვლოს ამ რეჟიმებს დემოკრატიები. მაგრამ, თუ საქმე აღიძრება, აი, ამას „ოცნება" ანგარიშს უწევს. ასე რომ, მე არც გამოვრიცხავ, რომ საქმე შესაძლოა, არც აღიძრას სააკაშვილის მიმართ და მე ამას კატეგორიულად არ ვეთანხმები. ეს იქნება თვალსაჩინოება იმისა, რომ სამართალმა ვერ გაიმარჯვა საქართველოში, შესაბამისად, სახელმწიფოც ვერ შედგა, დაუსჯელი სააკაშვილი, ადეიშვილი და სხვები დარჩებიან იმის თვალსაჩინოდ, რომ საქართველო, როგორც დემოკრატიული სამართლებრივი ქვეყანა, არ შედგა. ყველას ეცოდინება, რომ, რაც გინდა ჩაიდინე, თუ ხარ მაღალ თანამდებობაზე, ფულიც შეგრჩება და დანაშაულიც. აი, ასე ხახვივით შერჩება სააკაშვილსაც ყველაფერი!

**ესაუბრა**
**ქეთი ხომერიკი**

## ნებისმიერი, „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში ნამუშევარი ჩინოვნიკი „შენელებული მოქმედების ნაღმია“.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფარცხალაძის გაფარცხვა, ანუ კადრები წყვეტენ ყველაფერს

**რაც მოგივაო დავითაო, ისევ შენი თავითაო. იგივე ეხება ბიძინას, ირაკლის და ყველა დანარჩენს. „ქართულმა ოცნებამ“ შეცდომა დაუშვა, როდესაც ერთი თვის წინ მთავარი პროკურორის პოსტზე ადრე ნასამართლევი ოთარ ფარცხალაძე დანიშნა. ღარიბაშვილის მთავრობა საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.**



**მმართველი კოალიციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ფარცხალაძის ნასამართლეობის შესახებ უგულავას განცხადებამდე გაცილებით ადრე იცოდა, მეტიც, სკანდალის აგორებაში უშუალო მონაწილეობა მიიღო...**

სკანდალი ორშაბათს დაიწყო, როდესაც თბილისის უფლებაშეჩერებულმა მერმა, გიგი უგულავამ, რომელსაც ათეულობით საბიუჯეტო მილიონის გაფლანგვას ედავებიან, შემდეგი განცხადება გააკეთა: „საქართველოს მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე გასამართლებულია აუგსბურგის რაიონული სასამართლოს მიერ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 249-ე და 252-ე მუხლებით ყაჩაღური ქურდობისთვის. ოთარ ფარცხალაძეს მიესაჯა ძირითადი სასჯელი პატიმრობა 1 წელი და 3 თვე აუგსბურგის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა პასიური საარჩევნო უფლებისა და გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა. დამატებითი სასჯელი ძალაშია 2016 წლის 22 აგვისტომდე. განაჩენი კანონიერ ძალაში 2001 წლის 14 მარტს შევიდა“ (ინტერპრესნიუსი).

მომდევნო დღეს, გაუმართლებლად ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ოთარ ფარცხალაძემ შემდეგი განცხადება გაავრცელა: **„2000 წელს ნამდვილად ვიმყოფებოდი გერმანიაში, სადაც ინციდენტი შემემთხვა გერმანიის პოლიციასთან. სამართალდამცველს, რომელსაც, მოგვიანებით დადგინდა, რომ ინფორმაცია ჰქონდა სხვა პირის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე, მოუვიდა შეცდომა, მომაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოხდა კონფლიქტი. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ, ინციდენტის ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, სასამართლომ დამიდგინა პოლიციელთან შელაპარაკების ბრალეულობა.**

**მინდა განვაცხადო, რომ ამ ინციდენტს ქვეყნიდან ჩემი დეპორტაცია და სხვა იძულებითი ღონისძიებები არ მოჰყოლია“.**

ამ სიტუაციის კომენტირებისას, იურისტებმა განმარტეს, რომ ფორმალურად, ფარცხალაძის ძველი ნასამართლეობა პოსტზე დარჩენას ხელს არ უშლის. მაგრამ ასეთ საქმეზე გასამართლებული მთავარი პროკურორი, ალბათ, მაინც ნონსენსია; ეს საიმიჯო მინუსებს უკავშირდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროკურატურის ყველა ბრალდება უნაკლო იქნება, ნებისმიერ ბრალდებულს შესაძლებლობა ექნება, თქვას: „თქვენს დამნაშავე პროკურორს მიხედეთ“ და სასამართლო პროცესი კლოუნადად გადააქციოს.

შეცდომა და გაუგებრობა ახალგაზრდობაში ბევრს მოსვლია და არ შეიძლება ადამიანს ის მუდამ შეახსენო. მაგრამ არის მედლის მეორე მხარეც — როდესაც ბიოგრაფიაში თუნდაც პატარა ლაქა გაქვს, მაღალი თანამდებობის დაკავებას, ალბათ, არ უნდა დათანხმდე, რათა მთავრობას და საკუთარ თავს დამატებითი პრობლემები არ შეუქმნა. სამწუხაროდ, ეს ყველას როდი ესმის.

ყოველივე ეს არ მოხდებოდა, რომ არა „ქართული ოცნების“ იდიოტური (მინდა ხაზგასმით გავიმეორო — იდიოტური) საკადრო პოლიტიკა. ცხადია, რომ სააკაშვილის რეჟიმი რამდენადმე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არ აჩერებდა ისეთ ჩინოვნიკებს, რომელთა გაკონტროლება არ შეეძლო, მათ შორის, იმიჯისთვის გამანადგურებელი ინფორმაციის გამოქვეყნების მუქარით. იმ წლებში მთელი უწყებები დაკავებული იყო ჩინოვნიკებზე კომპრომატების შეგროვებით და შექმნით (ცნობილი ვიდეოჩანაწერები და ა. შ.). ეს აქსიომაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახალმა ხელისუფლებამ მაინც გადაწყვიტა, „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში აღზევებულ კადრებს დაყრდნობოდა. რაც მიიღო ამის შედეგად, ყველამ ერთად ვიხილეთ და მსგავსი ინციდენტი, სავარაუდოდ, არაერთგზის მოხდება, თუ ხელისუფლება საკადრო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს არ შეცვლის. ალბათ, არავინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ „ნაციონალებს“ სხვა მაკომპრომენტირებელი ინფორმაცია (ფარცხალაძეს ეხება ის თუ სხვა ჩინოვნიკს) 100%-იანი გარანტიით აღარ აქვთ.

**ნებისმიერი, „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში ნამუშევარი ჩინოვნიკი „შენელებული მოქმედების ნაღმია“.** თუნდაც შესანიშნავი პიროვნება იყოს, გულწრფელად წუხდეს იმის გამო, რომ 2003-12 წლებში ზნეობრივ კომპრომისზე წასვლა მოუწია და მასზე დაკისრებულ მოვალეობას იდეალურად ასრულებდეს. მაგრამ შანტაჟმა და შიშმა, რომ კომპრომატს გამოუქვეყნებენ, შეიძლება ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება აიძულოს. ერთი ასეთი „ნაღმის“ აფეთქება შეიძლება იოლად გადაიტანო, მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთი მეორის მიყოლებით ან სულაც ერთდროულად აფეთქდებიან? ამომრჩეველთა უმრავლესობამ იმისთვის როდი ჩააბარა ხელისუფლება „ქართულ ოცნებას“, რომ მან ის საკუთარი უთავბოლობის გამო დაკარგოს და 2012 წლის 1 ოქტომბრის მონაპოვარი წყალში გადაყაროს.

როდესაც უამრავი კეთილმოსურნე „ოცნებას“ სახელისუფლო სტრუქტურებში საფუძვლიანი საკადრო წმენდის ჩატარებას ურჩევდა, მათი დიდი ნაწილი ეყრდნობოდა არა ემოციებს, არამედ რაციონალურ გათვლას. მის ქვაკუთხედს წარმოადგენდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ძველი მმართველები ამ ადამიანებზე კონტროლს (ან, როგორც მინიმუმი, მათი დისკრედიტაციის შესაძლებლობას) ინარჩუნებდნენ. ხელისუფლებამ ეს მიდგომა არ გაიზიარა.

**ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს, ალბათ, გაუჭირდება იმის წარმოდგენა, როგორ შეიძლება დანიშნო ადამიანი მთავარი პროკურორის პოსტზე, ისე, რომ მისი ბიოგრაფია დეტალურად არ შეისწავლო და ნეგატიურ ეპიზოდებთან დაკავშირებული საფრთხე არ შეაფასო. თანაც კრიტიკულ მომენტში, როდესაც სამართლიანობის აღდგენის პროცესი კულმინაციას უახლოვდება.**

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მონაწილეობა ამ შეტევაში ღარიბაშვილის მთავრობაზე მიიღეს ახალი პრემიერის მოწინააღმდეგეებმა მმართველი კოალიციიდან და არა მხოლოდ „ნაციონალმა“ მაღალჩინოსნებმა, რომელთაც ეს ეპიზოდი მხოლოდ ტაქტიკურ სარგებელს თუ მოუტანს (ბრალდებები დარჩება ბრალდებებად და მათ მაინც გაასამართლებენ; ამასთანავე, ოთარ ფარცხალაძის კარიერული წინსვლა სახელისუფლო სტრუქტურებში სწორედ მათი მმართველობის წლებში დაიწყო). თუმცა, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, ამ ვერსიას მოგვიანებით დავუბრუნდეთ, როდესაც მას შესაბამისი ფაქტები გაამყარებენ (მომავალში ეს აუცილებლად მოხდება). ერთადერთი რამ, რაც შეიძლება ამ მომენტისთვის განვიხილოთ, დაუდასტურებელი ინფორმაციაა იმის თაობაზე, რომ **მმართველი კოალიციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ფარცხალაძის ნასამართლეობის შესახებ უგულავას განცხადებამდე გაცილებით ადრე იცოდა, მეტიც, სკანდალის აგორებაში უშუალო მონაწილეობა მიიღო.** ამ კონტექსტში შეიძლება საინტერესო იყოს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების და ცალკეული პირების განცხადებების ანალიზი, რომელნიც ფარცხალაძის საქმესთან დაკავშირებით განსაკუთრებულ აქტიურობას ავლენს. ყველაზე საგულისხმო, ალბათ, ისაა, რომ ისინი ხელისუფლებას უცნაური, ენერგიული დაჟინებით ურჩევდნენ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ამ სიტუაციაში და მზა რეცეპტებს სთავაზობდნენ (ცხადია, არავინ ამტკიცებს, რომ ეს სცენარის ნაწილი იყო).

შემდგომ წუხილს ყოველივე მომხდარის გამო, აზრი, ალბათ, არ აქვს. ფაქტია, რომ ღარიბაშვილის მთავრობამ რთული მდგომარეობიდან გამოსასვლელად არაორდინალურ ძალისხმევას უნდა მიმართოს. ყრუ თავდაცვაზე ფიქრი მისი მხრიდან, ალბათ, დიდი შეცდომა იქნება; პირიქით, ის შეტევაზე უნდა გადავიდეს, მითუმეტეს, რომ საზოგადოების უმრავლესობის სიმპათიები, დაშვებული შეცდომების მიუხედავად, ჯერჯერობით მის მხარეზეა.

კონკრეტულ ნაბიჯებს იმდენად დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენადაც ძირითად პრინციპს — არ ითამაშო იმ წესებით, რომელთაც ოპონენტები გთავაზობენ და თავს მოახვიე თამაშის ახალი წესები. ძველად რომ იტყოდნენ, „ეშმაკთან ერთად სადილად არ დაჯდე, მას უფრო გრძელი კოვზი აქვს“. ზოგადად, ასეთ სიტუაციაში აუცილებელია მოწინააღმდეგისთვის ინიციატივის წართმევა და რეაგირების რეჟიმიდან პროაქტიურ მოქმედებაზე გადასვლა, მაგრამ კონკრეტულად ღარიბაშვილისთვის ამ სიტუაციაში აუცილებელია, მოწინააღმდეგეს ახალი წესებით თამაში აიძულოს.

ეს წესები, ალბათ, შემდეგ იდეებს უნდა დაეფუძნოს: სამართლიანობის აღდგენის პროცესისთვის შეუქცევადი ხასიათის მიცემა, არც ერთი ნაბიჯი კანონის უზენაესობის პრინციპის წინააღმდეგ, არანაირი კანონსაწინააღმდეგო შეღავათები ყოფილ მაღალჩინოსნებს, უარი თანამშრომლობაზე სააკაშვილის რეჟიმის მსახურებთან, ნეპოტისტური, გაუაზრებელი საკადრო პოლიტიკისთვის წერტილის დასმა, ფსევდომოკავშირეების პოლიტიკური იზოლაცია (მათ შეიძლება გაცილებით მეტი პრობლემა შექმნან ვიდრე „ნაციონალებმა“). ეს კურსი, სავარაუდოდ, მოსახლეობის დიდი ნაწილის მოწონებას დაიმსახურებს და მისი მხარდაჭერა ღარიბაშვილის მთავრობას შესაძლებლობას მისცემს, ყველა წარმოსადგენი წინაღობა გადალახოს, თანაც ისე, რომ დემოკრატიის ჩარჩოებში დარჩეს. შეიძლება ოდნავ პათეტიკურად გაიჟღეროს, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილმა უნდა გააკეთოს არჩევანი კოჰაბიტირებულ, დეგრადირებულ ელიტასა და მის მხარდამჭერ ამომრჩევლებს შორის — მათ დიამეტრალურად განსხვავებული იდეალები და მისწრაფებები აქვთ და ორივეს ერთდროული დაკმაყოფილება, უბრალოდ, ვერ მოხერხდება. ამ არჩევანს ახალი პრემიერმინისტრის (და მისი მფარველის, ბიძინა ივანიშვილის) ნაცვლად ჩვენ ვერ გავაკეთებთ. ერთი კი ფაქტია, თუ ღარიბაშვილი ძალიან აქტიურად არ ამოქმედდება, მას ძალიან მალე, მარტივად რომ ვთქვათ, „შეჭამენ“. რაც შეეხება „ნაციონალებს“, რა განცხადებაც უნდა გააკეთონ, სავარაუდოდ, მამაზეციერიც ვეღარ უშველით.

როდესაც ახალი ხელისუფლების გულშემატკივრები ამბობენ: „რევოლუცია უნდა გაგრძელდეს!“, ეს არც პოეზიაა და არც ემოციური აღმაფრენა, ეს სავსებით რაციონალური და, დიდი ალბათობით, ერთადერთი შესაძლებელი გამოსავალია. ხალხი ხელისუფლებისგან გაცილებით კარგ, პატიოსან პოლიტიკას, მთელი სისტემის საფუძვლიან გადაფორმატებას მოითხოვს და მისი მოტყუება, როგორც ეს 2003 წლის ნოემბერში მოხდა, აღარ გამოვა, რადგან ძალიან სერიოზული გამოცდილება დაუგროვდა. ადრე თუ გვიან, ის აიძულებს ელიტას, მისი მოთხოვნები დააკმაყოფილოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბულდოზერივით გადაუვლის. არის საკმარისზე მეტი პრინციპული მნიშვნელობის მქონე პრობლემა, რომელთა გადაჭრის გადადება აღარ შეიძლება. ეს პრობლემები არსად გაქრება და მათი მნიშვნელობა არ შემცირდება. **ახალ ხელისუფლებას შეუძლია, სათავეში ჩაუდგეს ამ რევოლუციას ან, პირიქით, მისი ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახდეს.** და ბოლოს, ალბათ, ურიგო არ იქნება, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, ჰანა არენდტის ცნობილი ციტატა, რომელიც მკაფიოდ აფიქსირებს ზღვარს ნამდვილ რევოლუციასა და (მაგალითად) იმ საცირკო წარმოდგენას შორის, რომელიც 2003-ში ვიხილეთ; მთავარია შინაარსი, ფორმას კი არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. „მხოლოდ იქ, სადაც წარმოდგენილია განახლების პათოსი და განახლება თავისუფლების იდეას ერწყმის... და გათავისუფლება დათრგუნვისგან, სულ მცირე, მიზნად თავისუფლების დამკვიდრებას ისახავს, ჩვენ გვაქვს უფლება, რევოლუციაზე ვისაუბროთ“.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ცხადია, სერიოზული მკვლევარები მას შემდეგ, რაც 2012 წელს მოხდა, „ენ-დი-აის“ პოლიტიკურ რეიტინგებს აღარ მიეკარებიან, მაგრამ სხვა თემებთან დაკავშირებით ამ მონაცემების გაცნობა, ალბათ, მაინც საინტერესოა.

# რამდენი ქართველი ოცნებობს ევრაზიის კავშირზე?

**შარშან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მართალია, რადიკალური გაუმჯობესება არ მომხდარა, მაგრამ მწვავე კონფრონტაციის საფრთხემ აშკარად იკლო, რიტორიკა შერბილდა, დაიწყო რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების პროცესი და საუბარი ისეთ მასშტაბურ პროექტებზე, როგორიცაა აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა. წელიწადი ოპტიმისტურ ნოტაზე დასრულდა — რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შესაძლებლად მიიჩნევს საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებას, ხოლო პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საპასუხო განცხადებაში ვლადიმერ პუტინის მზაობა, საქართველოსთან ურთიერთობები გააუმჯობესოს, დადებითად შეაფასა. როგორ განვითარდება ორი ქვეყნის ურთიერთობა 2014-ში და რა საფრთხეები ემუქრება ნორმალიზაციის პროცესს?**




## რას ფიქრობს ხალხი?

„ენ-დი-აის“ ბოლო გამოკითხვის (3 915 რესპონდენტი) შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართულ საზოგადოებას ამ დროისთვის შექმნილი მდგომარეობა არ აკმაყოფილებს. კითხვას „მოგწონთ თუ არა საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობა რუსეთთან?“ დადებითი პასუხი გამოკითხულთა მხოლოდ 22%-მა გასცა, ხოლო უარყოფითი — 72 %-მა (5%-მა პასუხი არ იცის, 1% კი პასუხზე თავს იკავებს). მოლაპარაკებები ქართული აგრარული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების შესახებ მისაღებია გამოკითხულთა 90%-ისთვის, მიუღებელი კი — მხოლოდ 5%-ისთვის (ამდენივე პასუხისგან თავს იკავებს). სოხუმის გავლით რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას მხარს რესპონდენტების 70% უჭერს, 19% — ეწინააღმდეგება, 11% კი თავს იკავებს. საქართველოს მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში მისაღებია გამოკითხულთა 66%-ისთვის, მიუღებელი — 17 %-ისთვის, დანარჩენი თავს იკავებს. ეს მონაცემები აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობა რუსეთთან ურთიერთობაში მეტ დადებით დინამიკას ითხოვს და მხარს უჭერს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც პერსპექტივაში ხელს ორი ქვეყნის დაახლოებას შეუწყობს.

ალბათ, აქვე ორიოდე სიტყვა იმ ორგანიზაციის რეპუტაციაზე უნდა ითქვას, რომელმაც ეს მონაცემები გამოაქვეყნა. **ამერიკულ „ენ-დი-აის“ სახელი საქართველოში მას შემდეგ გაუტყდა, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მან პოლიტიკური პარტიების არაადეკვატური რეიტინგების გამოქვეყნება დაიწყო, რომელთა მიხედვით „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვება გარდაუვალი ჩანდა, მაშინ, როდესაც სხვა უცხოელი და ქართველი სოციოლოგების მონაცემები (თუ სათვალავში რამდენიმე მარგინალურ ორგანიზაციას არ ჩავაგდებთ) საპირისპიროზე მიუთითებდა.** აქედან გამომდინარე, „ენ-დი-აის“ კვლევებს საქართველოში ეჭვის თვალით უყურებენ, თუმცა, ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პოლიტიკოსებისა და პარტიების რეიტინგს არ ეხება, ის რეალობასთან და სხვა ორგანიზაციების გამოკითხვების შედეგებთან, ასე თუ ისე, მიახლოებულ შედეგებს აქვეყნებს (ამის გადამოწმება არც ისე რთულია). **ცხადია, სერიოზული მკვლევარები მას შემდეგ, რაც 2012 წელს მოხდა, „ენ-დი-აის“ პოლიტიკურ რეიტინგებს აღარ მიეკარებიან, მაგრამ სხვა თემებთან დაკავშირებით ამ მონაცემების გაცნობა, ალბათ, მაინც საინტერესოა.**

კიდევ რამდენიმე პუნქტი „ენ-დი-აის“ გამოკითხვიდან, რომელსაც, ალბათ, ყურადღება უნდა მივაქციოთ: გამოკითხულთა 36%-ის შეფასებით, „რუსეთი საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ ეს საფრთხე გაზვიადებულია“; 35%-ის აზრით,

## ახალ იმპულსებს ჩრდილოეთიდან, დიდი ალბათობით, სოჭის ოლიმპიადის დასრულებისთანავე ვიგრძნობთ

„რუსეთი საქართველოსთვის რეალურ და არსებულ საფრთხეს წარმოადგენს“; 23% მიიჩნევს, რომ „რუსეთი საქართველოსთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს“, 6%-ს კი შეკითხვაზე პასუხი არ აქვს (ინტერპრესნიუსი). ამ მონაცემების უკან აშკარად იკითხება ალერგიული რეაქცია სააკაშვილის დროინდელ ანტირუსულ პროპაგანდაზე, რომელმაც ბოლოსკენ აშკარად შიზოფრენიული ხასიათი მიიღო. ამასთანავე, რესპონდენტების უმრავლესობა დადებითად აფასებს საქართველოს ახალი მთავრობის (პრინციპში, საკმაოდ გაწონასწორებულ) რეაქციას კონფლიქტის რეგიონში რუსი სამხედროების მიერ მავთულხლართის გაბმასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 48% მთავრობის პოზიციას მისაღებად მიიჩნევს, 28% — მიუღებლად, 23 %-ს პასუხი არ აქვს. დადებით პასუხში ერთმანეთს, სავარაუდოდ, ერწყმის ზოგადი მხარდაჭერა ახალი ხელისუფლების მიმართ და ნეგატიური დამოკიდებულება შესაძლო ესკალაციისადმი.

და ბოლოს, „ენ-დი-აის“ კითხვაზე „საქართველო უნდა გაწევრიანდეს თუ არა ევრაზიის კავშირში, რომელიც დაფუძნებულია რუსეთის ფედერაციის მიერ?“, რესპონდენტთა 4%-მა უპასუხა, რომ აღნიშნულს „სრულად ეთანხმება“, 7%-მა კი განაცხადა, რომ უბრალოდ „ეთანხმება“. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც „ენ-დი-აის“ კვლევებში ეს თემა დაფიქსირდა. 11%, ერთი შეხედვით, ცოტაა, თუმცა აგვისტოს ომისა და ათწლიანი, სახელისუფლო პროპაგანდის კვალობაზე ეს ციფრები შეიძლება საკმაოდ საინტერესოდ მოგვეჩვენოს და მათზე საუბარს, ალბათ, გარკვეული დრო უნდა დავუთმოთ. მითუმეტეს, რომ საზოგადოების ეს ნაწილი, სავარაუდოდ, წარმოადგენს ერთგვარ „პლაცდარმს“, რომელზე დაყრდნობით კრემლი შეეცდება, „რბილი ძალის“ გამოყენებით გააფართოოს გავლენა საქართველოში და პერსპექტივაში ის ევრაზიული ინტეგრაციის პროცესში ჩართოს.

## წარმოდგენები ევრაზიის კავშირის შესახებ საქართველოში მნიშვნელოვანწილად მითოლოგიზებულია

### საბჭოთა კავშირიდან ევრაზიის კავშირამდე

წარმოდგენები ევრაზიის კავშირის შესახებ საქართველოში მნიშვნელოვანწილად მითოლოგიზებულია. მოსახლეობის დიდი ნაწილი განიხილავს მას, როგორც საბჭოთა კავშირის მოდერნიზებულ ვარიანტს, ხოლო დამოკიდებულება ამ უკანასკნელის მიმართ საქართველოში არაერთგვაროვანია. გასულ კვირას „გელაპმა“ გამოაქვეყნა ფრიად საგულისხმო კვლევის შედეგები, რომლებიც 11 პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ჩაატარა. კითხვა შემდეგი იყო: **„საბჭოთა კავშირის დაშლამ მეტი ზარალი მოგიტანათ თუ სარგებელი?“.** „მხოლოდ აზერბაიჯანელები, ყაზახები და თურქმენები ხედავენ მეტ სარგებელს, ვიდრე ზარალს, — წერენ თავიანთ კომენტარებში „გელაპის“ მკვლევარები, — ქართველების აზრი გაიყო“. გამოკითხულთა 37% მიიჩნევს, რომ სსრკ-ის დაშლით მეტი სარგებელი ვნახეთ, 33% თვლის, რომ საქართველო ამით დაზარალდა, 9% არც ერთ ამ მოსაზრებას არ იზიარებს, 21% პასუხზე თავს იკავებს ან არ იცის, რა უპასუხოს. ამ 33%-ის უკან, სავარაუდოდ, დგას არა მხოლოდ ნოსტალგია, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება „37-მანეთიანს“ ეძახდა, არამედ გადაღლილობა ომებისგან და უკიდურესი გაჭირვებისგან სამხედრო-პოლიტიკური და სოციალური უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის პირობებში. არადა, ბევრს შეიძლება გაუჭირდეს იმის დაჯერება, რომ სააკაშვილის ხელისუფლების უპრეცედენტო პროპაგანდისტული ძალისხმევის შემდეგ საქართველოში გამოკითხულთა 33% საბჭოთა კავშირის მიმართ ასეთ დამოკიდებულებას აფიქსირებს.

ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნოსტალგია სსრკ-ის მიმართ („გელაპის“ მონაცემები არ შეიძლება ჩაითვალოს უშუალო ინდიკატორად, თუმცა მის არსებობას, ალბათ, ვერავინ უარყოფს) და „ენ-დი-აის“ რესპონდენტების 11%-ის არჩევანი ევრაზიის კავშირის სასარგებლოდ ფიქსირდება იმ პირობებში, როდესაც ოფიციალური მოსკოვი არაფერს ამბობს საქართველოს მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობაზე და სეპარატისტულ რესპუბლიკებში მისი ჯარები დგანან. ვლადიმერ პუტინმა საქართველოს მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობაზე მხოლოდ ორი ბუნდოვანი მინიშნება გააკეთა (სადისკუსიო კლუბ „ვალდაიში“ და ევგენი პრიმაკოვის იუბილეზე). ამაზე შორს ის, სავარაუდოდ, არც წავა იმ მომენტამდე, ვიდრე არ დაინახავს, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, რუსეთთან მჭიდრო ინტეგრაციას დათანხმდეს. მაგრამ, თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ მომავალში კრემლი საჯაროდ დააფიქსირებს, რომ საქართველოს მთლიანობის აღდგენა შესაძლებელია ევრაზიის კავშირის ქოლგის ქვეშ, დამოკიდებულება ამ გაერთიანების მიმართ საქართველოში, სავარაუდოდ, რადიკალურად შეიცვლება. ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრ „აი-პი-ელ“-ისა და გაზეთ „ბანკები და ფინანსების“ სოციოლოგიური ჯგუფის მიერ ჩატარებულ გამოკითხვა: როდესაც რესპონდენტებს ჰკითხეს, რას გააკეთებენ ისინი, თუ დადგებიან დილემის წინაშე — „ნატოში შესვლა ან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ და 93,4%-მა განაცხადა, რომ უყოყმანოდ მთლიანობის აღდგენას მიემხრობა.

რუსეთმა, საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის სანაცვლოდ, საქართველოს მთლიანობის ეტაპობრივი აღდგენის „საგზაო რუკა“ რომც შემოგვთავაზოს, ჩვენი ქვეყნის მთავრობას არ აქვს შესაძლებლობა, ევრაზიული ინტეგრაციის მიმართულებით თუნდაც ერთი ნაბიჯი გადადგას. მას გააჩნია ვალდებულებები ამერიკე- ▶

„მე არც ერთი შემთხვევა არ მახსენდება, მათ კვლევებს რეალური სურათი რომ აესახოს. ისინი ყოველთვის თავიანთი პოლიტიკური დამფინანსებლების დავალებებს ასრულებდნენ და მათი ნება-სურვილის მიხედვით მოქმედებდნენ, სანაცვლოდ კი სოლიდურ დაფინანსებას იღებდნენ.“

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...ლი პარტნიორების მიმართ, ამასთანავე, პარლამენტში თავმოყრილი პროდასავლური ჯგუფები ამის გამო ნამდვილ ომს გამოუცხადებენ, რომელსაც შეიძლება გადატრიალება ან უკრაინული ,ევრომაიდანის მსგავსი პროცესები მოჰყვეს.

მაგრამ ვითარება იცვლება, ყოფილი მმართველი პარტიის დასუსტება გრძელდება, ხოლო მისი რესურსების გარეშე რესპუბლიკელები, ალასანიას ჯგუფი და მათი ალიანსის პოტენციური მხარდამჭერები საზოგადოებაში, სავარაუდოდ, განსაკუთრებულს ვერაფერს მიაღწევენ. ქართული პოლიტიკური სივრცის ტრანსფორმაციის პარალელურად, მოსკოვი, დიდი ალბათობით, შეეცდება გააფართოვოს „11%-იანი პლაცდარმი“ (პირობითად ასე ვუწოდოთ) და საქართველოს მოსახლეობისთვის ევრაზიული ინტეგრაციის იდეა უფრო მიმზიდველი გახადოს, რათა მან გააძლიეროს ზეწოლა მთავრობაზე „ქვემოდან“ და მას ამავე მიმართულებით უბიძგოს. მოსკოვი, სავარაუდოდ, ძალისხმევას არ დაიშურებს იმისთვის, რომ მოახდინოს ქართველების ანტიდასავლური განწყობების კონვერტირება პრორუსულ განწყობებში, გააუმჯობესოს რუსეთის იმიჯი საქართველოში, რაშიც მნიშვნელოვან როლს ახალი ჰუმანიტარული კონტაქტები და ეკონომიკური პროექტები შეასრულებს.

### გეოპოლიტიკური ოლიმპიადის მედლები

**შარშან რუსეთმა საგარეო არენაზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, უპირველეს ყოვლისა, სირიასა და უკრაინაში. ის, ვინც ყურადღებით აკვირდებოდა კიევში განვითარებულ პროცესებს, ალბათ, მიაქცია ყურადღება იმას, რომ, ატეხილი ხმაურის მიუხედავად, აშშ-მა იანუკოვიჩის წინააღმდეგ შესაძლებლობების მთელი სპექტრი არ აამოქმედა, რითაც პუტინს ტაქტიკური წარმატების მოპოვება გაუადვილა (ბრძოლა უკრაინისთვის ამით არ დასრულებულა, თუმცა კრემლმა პოზიციები მკვეთრად გაიუმჯობესა).**

ვაშინგტონი იძულებულია, კონცენტრირება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონზე მოახდინოს, გაცილებით მეტი ყურადღება ჩინეთს დაუთმოს და პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთს სულ უფრო ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს. 2014 წელს კრემლი, სავარაუდოდ, შეეცდება, ახალ გარღვევას მიაღწიოს არამხოლოდ უკრაინაში, არამედ სამხრეთ კავკასიაშიც, სადაც გასულ წელს სომხეთი საბაჟო კავშირში შესვლაზე დაითანხმა. საქართველოში რუსების სავარაუდო გააქტიურებას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას უკავშირებენ, მიუხედავად იმისა, რომ კრემლი ამას (უკრაინისგან განსხვავებით) მნიშვნელოვან საფრთხედ არ განიხილავს. მაგრამ მიზეზი ამ შემთხვევაში, ალბათ, მეორეხარისხოვანია, მთავარია ის, რომ არაერთი სერიოზული ანალიტიკოსი საუბრობს იმაზე, რომ მალე კრემლი საქართველოსა და აზერბაიჯანში გაცილებით აქტიურად ამოქმედდება.

ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად გაიზრდება ანტიდასავლური განწყობები საქართველოში. ევროპელი პოლიტიკოსების მიერ სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნების ადვოკატირებამ, ამ მხრივ, შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორის როლი შეასრულოს და შემჭიდროებულ ვადებში ძალზე პოპულარული გახადოს ლოზუნგი „არ გვინდა ასეთი დასავლეთი“. აგრეთვე, ანტიდასავლური განწყობების ზრდას, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს ევროპის პოზიცია საქართველოში ლგბტ-ს უფლებების დაცვასთან და ზოგიერთ სხვა საკითხთან დაკავშირებით. კრემლი, თავის მხრივ, შეეცდება, რომ ყოველივე ეს საკუთარი ამოცანების გადასაჭრელად გამოიყენოს. ამასთანავე, მიაღწიოს იმას, რომ ქართველმა კონსერვატორებმა და ტრადიციონალისტებმა (აქ იგულისხმებიან შესაბამისი შეხედულებების მქონე ადამიანები და არა ამავე სახელწოდების მქონე პარტიები), რომელნიც უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ხელისუფლებაში (უპირველესად კი, პარლამენტში) მათი რაოდენობის არაპროპორციული წარმომადგენლობა ჰყავთ, იპოვონ საკუთარი ადგილი ანტიგლობალისტური ძალების იმ მობილიზაციაში, რომელიც ვლადიმერ პუტინმა თავის ყოველწლიურ მიმართვაში გამოაცხადა და რუსეთში მოკავშირე დაინახონ. ვაშინგტონზე ორიენტირებული ძალების წინააღმდეგ, „ნაციონალების“ დასუსტების გარდა, აგრეთვე, მუშაობს ის ფაქტორი, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობაში, დასავლეთის უპირატესობებზე საუბრისას, ისინი კვლავინდებურად სააკაშვილის დროინდელ პრიმიტიულ პროპაგანისტულ შტამპებს იყენებენ, არ ამბობენ არაფერს ახალს და მხოლოდ იმას იმეორებენ, რომ „ამ გზას ალტერნატივა არ აქვს“. საზოგადოებას კი მსგავსი შელოცვები დიდი ხანია აღარ აკმაყოფილებს და ის უფრო სერიოზულ დისკუსიას, კონკრეტულ პლიუსებსა და მინუსებზე საუბარს მოითხოვს (თუნდაც იმავე ევროასოცირებასთან დაკავშირებით).

**2014 წელი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, სავარაუდოდ, ძალიან ბევრ საინტერესო სიახლეს დაუკავშირდება. ერთის მხრივ, ცხადი გახდება, რომ ნორმალიზაციაზე ორიენტირებული შემხვედრი ნაბიჯების ლიმიტი ამოიწურა და საჭიროა რაღაც ახალი, რაც ფუნდამენტური პრობლემების გადაჭრასთან მიგვაახლოებს.** საზოგადოებაში შეიძლება გაჩნდეს განცდა, რომ პროცესი ჩიხში შევიდა (ეს უკვე დღეს იგრძნობა). მეორე მხრივ კი, რუსეთი საკმაოდ ბევრს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს მთავრობისა და საზოგადოების პოზიცია ევრაზიული ინტეგრაციის სასარგებლოდ შეცვალოს, რაც მას, თუნდაც საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, საკმაოდ მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნია. ახალ იმპულსებს ჩრდილოეთიდან, დიდი ალბათობით, სოჭის ოლიმპიადის დასრულებისთანავე ვიგრძნობთ.

**დიმიტრი მონიავა**

# ელიზბარ ჯაველიძე: რა ობიექტურობაზეა საუბარი?! NDI-ს ყველა თანამშრომელი საქართველოდან გასაყრელია!

**საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი NDI-ს — აშშ-ის საერთაშორისო ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სხვადასხვა სახის კვლევა, რომელთა შედეგებიც ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის! საქართველოს მოსახლეობისთვის ცალსახაა, რომ აღნიშნული ორგანიზაცია სულაც არაა დაინტერესებული რეალური სურათის ასახვით, პირიქით, მისი თითოეული თანამშრომლის მიზანი კვლევის შედეგების გაყალბებით ფინანსების მოძიებაა. ვის აინტერესებს მსგავსი კვლევების ჩატარება და რა მიზანს ემსახურება ის, უნდა იკრძალებოდეს თუ არა ოფიციალურად მათი საქმიანობა საქართველოში და ვინ დგას ამ ყველაფრის უკან — სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძესა და კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრ სოსო ჯაჭვლიანს დაუკავშირდა.**



**ელიზბარ ჯაველიძე:**

— მე ამ კვლევებს არავითარ შემთხვევაში არ ვენდობი, რადგან მისი თითოეული წარმომადგენელი უშუალოდ ამერიკის დაკვეთით მოქმედებს და ამ ქვეყნის დავალებებს ასრულებს. ამ კვლევის არც ერთი შედეგი არ არის რეალური და ობიექტური, რადგან ის ქართველი ხალხის ნების გამომხატველი არასოდეს ყოფილა. **ამ ორგანიზაციის თითოეული თანამშრომელი საზოგადოებაში ძალიან დიდ ზიზღს იწვევს და ეს ზიზღი სწორედ მათი კვლევების მიკერძოებულობიდან გამომდინარეობს. მე არც ერთი შემთხვევა არ მახსენდება, მათ კვლევებს რეალური სურათი რომ აესახოს. ისინი ყოველთვის თავიანთი პოლიტიკური დამფინანსებლების დავალებებს ასრულებდნენ და მათი ნება-სურვილის მიხედვით მოქმედებდნენ, სანაცვლოდ კი სოლიდურ დაფინანსებას იღებდნენ.** ამ კვლევის შედეგების გაყალბების უამრავი ფაქტია, მაგრამ ერთს გავიხსენებ მხოლოდ, რადგან ზუსტად ვიცი, რომ ასეც იყო: ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ბოკერიას მისწერა, გადაეცით ჩვენს ერთგულ თანამებრძოლებს, რომ წინასწარ უნდა იყოს შემდეგი გადანაწილებაო — 60% მარგველაშვილს, 30% ბაქრაძეს და 10% ბურჯანაძეს. ეს შედეგები შემდეგ გამოაქვეყნეს და მთელმა მსოფლიომ ნახა, რომ ყველაფერი ასეც მოხდა. რა ობიექტურობაზეა საუბარი?! ამ ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი გასაყრელია ჩვენი ქვეყნიდან! მათ უკან ის მასონური ჯგუფები დგანან, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოს განაგებენ. სწორედ მათი ინტერესია გარკვეული ქვეყნების განადგურება, ერთა კულტურის გაუფასურება და მოსპობა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირები სწორედ მათ მიერ არიან ხელდასმულები ხელისუფლებაში.

სწორედ NDI იყო ის ორგანიზაცია, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე მიხეილ სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ ღირსეულად ემსახურებოდა. ალბათ, გახსოვთ კიდეც, ახლახან გამოქვეყნებული მათი კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, ივანიშვილი მესამე ადგილზე გავიდა, ხოლო მოწინავე პოზიციები სააკაშვილსა და გიორგი თარგამაძეს ერგოთ. ეს ხომ სრული სიყალბეა და მეტი არაფერი!

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს კვლევები აუცილებლად უნდა აიკრძალოს და სწორედ მაშინ მიხვდება ქართველი ხალხი, თუ როგორი სიბრიყვეა ამ კვლევის ყველა შედეგი! მის ნაცვლად კი უნდა შეიქმნას ობიექტური ორგანიზაცია, რომელიც არ იქნება მიკერძოებული და არ ექნება პოლიტიკური სარჩული. **კვლევითი ორგანიზაციის თითოეულმა თანამშრომელმა კვლევის შედეგებით ზუსტად უნდა ასახოს რეალობა და ჩვენი ქვეყნის სინამდვილე. მისი თითოეული შედეგი ქართველი ხალხის განწყობას ზუსტად უნდა ირეკლავდეს და ასახავდეს.** სწორედ ესაა კვლევითი ორგანიზაციის უმთავრესი მიზანი, რომელიც არანაირად არ აქვს გათავისებული NDI-ს.



**სოსო ჯაჭვლიანი:**

— სიმართლე გითხრათ, მე ამ კვლევების შედეგებს მაინცდამაინც არ ვენდობი. შეიძლება რაღაცაში ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვას, მაგრამ ეს მაინც არ ასახავს რეალურ სურათს. NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევები არ მოდის თანხვედრაში ქართულ მენტალობასთან. გარდა ამისა, აქამდე რა ტიპის კვლევებიც არ უნდა ჩაგვეტარებინა, რეალობასთან მიახლოებულ შედეგებს მაინც ვერ მივიღებდით და იცით, რატომ?! — იმიტომ, რომ **ხალხი დიდი ხნის განმავლობაში ტერორისა და შიშის ქვეშ იმყოფებოდა და დაბალი სოციალური მდგომარეობის გამო დეპრესიაში იყო ჩავარდნილი. როგორ გინდა, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხისგან ზუსტი ინფორმაცია მიიღო?!** ეს აბსოლუტურად გამორიცხულია, რადგან ყოველი კითხვის დასმის დროს ის მრავალ რამეს ითვალისწინებს — მის ამჟამინდელ ყოფასა და მომავალს აანალიზებს და შემდეგ სცემს პასუხს. მე ამით, იცით, რისი თქმა მინდა?! თუნდაც მსგავსი ტიპის ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ობიექტურები ყოფილიყო, მაინც ვერ მოგვცემდა რეალურ სურათს. ყველაფერი თავისუფლებას უკავშირდება. მთელი ამ ხნის განმავლობაში თავისუფლების გარეშე დარჩენილი საზოგადოებისგან რომ ზუსტ პასუხებს ვერ მივიღებდით, რა გასაკვირია! ზემოთქმულის ნათელი მაგალითია 1 ოქტომბრის არჩევნები. მანამდე ხალხი თავისი პოზიციის ღიად დაფიქსირებისგან თავს იკავებდა, მაგრამ, როგორც კი ხმის მიცემისას საკუთარ თავთან მარტო დარჩა, საკუთარი პოზიცია თამამად დააფიქსირა. სწორედ ამიტომაა, რომ დღეს ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნებაა“.

ახლა კი NDI ორგანიზაციის საქმიანობის აკრძალვას რაც შეეხება: **ჩვენ ვერავის ვერაფერს ავუკრძალავთ. ამით შეიძლება უფრო ცუდი შედეგი მივიღოთ, რადგან აკრძალვა უკურეაქციას იწვევს და შეიძლება მეორე მხარის უფრო მეტი ინტერესი გამოიწვიო.** ეს ფიზიკის კანონივით არის. პირიქით, ყველას ყველაფერი ისე უნდა ავუხსნათ და გავაგებინოთ, როგორც შეგვიძლია. კულტურა სხვანაირად ვერ ჩამოყალიბდება და ვერც საზოგადოება გაიზრდება. ვფიქრობ, რომ ყველანაირი კვლევა მაინც ზოგადია. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ერთ-ერთი ბოლო კვლევის მიხედვით, თურმე რეიტინგით „ქართული ოცნება“ ლიდერობს. უნდა გავვოცდეთ თუ რა უნდა ვქნათ?! რა გასაკვირი ესაა, რომ „ნაციონალების“ მიერ ჩადენილი საშინელებებისა და სისაძაგლეების მერე „ქართული ოცნება“ ლიდერობდეს! ძნელი წარმოსადგენია?! **ადრე თუ გვიან ყველა აგებს პასუხს ჩადენილი დანაშაულის გამო. მე არ ვამბობ, რომ ყველა „ნაციონალი“ დასაჭერია. ყველგან არის ცუდი და კარგი, ამიტომ ყველაფერი ისე უნდა იყოს მიყვანილი ბოლომდე, რომ პატიოსანი ადამიანები შუაში არ მოექცნენ და არ დაზარალდნენ.** ამასწინათ, მოგეხსენებათ, ერთი ამბავი და აჟიოტაჟი მოჰყვა ჩემსა და ბარამიძეს შორის მომხდარ გაუგებრობას. კაცი ამბობს, დამკითხონო და გეკითხებით, როგორ უნდა დაკითხონ ადამიანი, როდესაც ვიცესპიკერი და დეპუტატია?! თუ ასეთი მაგარია, მოიხსნას სადეპუტატო მანდატი და გამოძიებასთან ითანამშრომლოს, როგორც ეს, თავის დროზე ლევან პირველმა გააკეთა. მე უკვე მრავალჯერ მივეცი პირობა საკუთარ თავსა და საზოგადოებას, რომ, თუ გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად ბარამიძე გამართლდება, მე მას საქვეყნოდ ბოდიშს მოვუხდი!

ჩაიწერა
**შორენა ღვაჩლიანმა**

## სოსო ჯაჭვლიანი: ყველა «ნაციონალი» დასაჭერია!

საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არც აფხაზეთი და სამაჩაბლო დაბრუნდება, არც ჩვენი კულტურა და ხელოვნება აყვავდება და არც ჩვენი სახელმწიფო რელიგია შეგვრჩება, თუ რუსეთის ორბიტას არ დავუბრუნდებით.“**

# რა პერსპექტივა აქვს საქართველოს დასავლურ ინტეგრაციას და რა სიგნალი მიიღო თბილისმა 19 დეკემბერს მოსკოვისგან?

**მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა უკრაინასთან დაკავშირებით სრული კრახი განიცადა, დღის წესრიგში საქართველოს საკითხი დადგა — ბებერ კონტინენტზე უკვე ღიად მსჯელობენ იმაზე, რომ ოფიციალურ თბილისთან, შესაძლოა, დაჩქარებული წესით გააფორმონ ასოცირების ხელშეკრულება. პარალელურად გააქტიურდა რუსეთიც. 19 დეკემბერს ვლადიმერ პუტინმა ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ სიტუაციის ისე განვითარება, როგორსაც ახლა ვხედავთ, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შესაძლებლობას იძლევა. მისივე თქმით, მას საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება შეეცვალა, თუმცა ქართველი ხალხისადმი ისევ იგივე შეხედულებები აქვს. კონფერენციაზე კრემლის მესვეურმა უკრაინაში მიმდინარე პროცესებზეც გაამახვილა ყურადღება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ყველაფერს 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან საერთო არაფერი აქვს. რა გზავნილებს შეიცავდა ვლადიმერ პუტინის განცხადებები და რა შემხვედრი ნაბიჯები შეიძლება ჩვენი მხრიდან გადაიდგას — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიომ“ აზრის გამოთქმა კომპეტენტურ ადამიანებს სთხოვა.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— ვლადიმერ პუტინს არაერთხელ გაუკეთებია პოზიტიური განცხადებები საქართველოს მისამართით, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ხელისუფლება, ისე ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, არ აღმოჩნდა მზად ამისთვის. კერძოდ, რას ვგულისხმობ: ჩვენთან რატომღაც დამკვიდრდა ისეთი შეხედულება, რომ რუსეთი ჩვენი მტერია, რომ ის არის ბოროტი სახელმწიფო და მასთან საერთო ენის გამონახვაზე ფიქრიც ზედმეტია. ამან საბოლოოდ მიგვიყვანა იქამდე, რომ ნდობა სრულიად დაკარგა, იმ კონსტრუქციულ ნაბიჯებს კი, რომელსაც დგამს ჩრდილოელი მეზობელი, ხალხი იმთავითვე უყურებს ეჭვით. ეს არის სიტუაცია, რომელსაც პირობითად შეიძლება მოჯადოებული წრე დავარქვათ. უკვე 20 წელია, ამ წრეზე ვტრიალებთ და ვერ გამოვდივართ; საუბედუროდ, არც ნება არსებობს ამის და არც შემსრულებელი. საქართველო, ფაქტობრივად, გახდა რაღაც დაკონსერვებული სახელმწიფო, პოლიტიკური თვალსაზრისით, რომელთაც ვიღაცას აქვს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება, ვიღაცას — არა.

**— თქვენ თქვით, რომ ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად რუსეთიდან წამოსული პოზიტიური სიგნალებისთვის. კონკრეტულად რაში გამოიხატა ეს?**

— ეს ჩანს იმ განცხადებებში, რომელსაც მმართველი გუნდის წარმომადგენლები აკეთებენ ირიბად. მათ რიტორიკაში აშკარად იკვეთება ის, რომ ისინი რაღაც მზაკვრულს ხედავენ ოფიციალური მოსკოვის პოზიციაში. ანალოგიურ აზრზეა ე. წ. ქართული პოლიტოლოგიაც, რომელსაც თეთრი და შავი ვერ გაურჩევია. ჯამში კი ამ გაუთავებელ ვაკქანალიას მივყავართ ისევ იქ, სადაც 20 წელი ვიტრიალეთ სრულიად უშედეგოდ.

**— თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს საქართველომ, რომ პუტინის განცხადების შემხვედრ ნაბიჯად ჩაითვალოს?**

— კარგის მთქმელს კარგი გამგონე უნდა, — პუტინმა გააკეთა ძალიან მკაფიო მინიშნებები, რაც საერთოდ ახასიათებს მას, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არანაირად არ არის მზად რუსეთთან დიალოგისთვის. მეტსაც გეტყვით, მას არ აინტერესებს მეზობელ სახელმწიფოსთან მოლაპარაკება და, რაც გვესმის განცხადებების დონეზე, რომ თურმე მზად არიან თანამშრომლობისთვის, ეს, უბრალოდ, სიტყვის მასალაა.

**— ქართული პოლიტოლოგია ახსენეთ და კონკრეტულად ვის ან რას გულისხმობდით?**

— მოისმინეთ სულ რამდენიმე დღის წინანდელი განცხადებები, რომლებიც გააკეთეს ჩვენმა ე. წ. პოლიტოლოგებმა; მაგალითად, ცისკარიშვილმა, სოსო მყავს მხედველობაში, კიდევ გოგოლაშვილია ერთი, ვიღაც სულელი და სხვები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი საბჭოთა პერიოდში არიან დაბადებულნი, გაზრდილები და საბჭოთა ძუძუ უწოვიათ, ისეთ სისულელეებს ამბობენ, შეიძლება გაგიჟდე...

**— პოლიტოლოგების პოზიცია, ალბათ, ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარია, ხელისუფლება იყოს მოწოდების სიმაღლეზე?**

— ხელისუფლება, რომ თავის დონეზე იდგეს, იმ სისულელეს კი არ იტყვის, რაც მაია ფანჯიკიძემ ბრძანა, — რუსეთთან პოლიტიკური მოლაპარაკება არ დაიწყება, ვიდრე ცხინვალსა და სოხუმში იქნება მათი საელჩოებიო. რუსეთის საელჩოები ცხინვალსა და სოხუმში კარგა ხანს იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო არ აპირებს მეზობელ სახელმწიფოსთან დიალოგს.

**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ვითარებაში შესაძლებელია რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმება?**

— სავიზო რეჟიმი თავის დროზე, რუსეთმა კი არა, საქართველომ შემოიღო. ეს გააკეთა „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულმა ფრთამ, კერძოდ სააკაშვილმა, ჟვანიამ და სხვებმა. სხვათა შორის, იმ დროს საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი და ჩემთან მოვიდა რუსეთის მაშინდელი ელჩი საქართველოში ფელიქს სტანევსკი, რომელმაც გაოცებით მკითხა, — რად გინდათ ქართველებს ამ სავიზო ხელშეკრულების შემოღებაო. არ ვიცოდი, რა მეპასუხა, მაგრამ რა ხდებოდა, იცით, მაშინ იყო ასეთი მოარული ფრაზები მომავალ „ნაციონალებში“: რუსეთთან სავიზო ხელშეკრულების დადება იმის გარანტია იქნება, რომ საქართველო გამოვიდეს კრემლის ორბიტიდანო. აი, ამგვარმა მიდგომამ წარმოშვა უამრავი პრობლემა და დაღუპა სახელმწიფო.

**— ვის ინტერესებში შედიოდა ეს ყველაფერი?**

— ადრეც არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ ეს მარტო „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულ ფრთას არ მოუაზრებია. ამის უკან იდგა დასავლეთი, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატები, ვინაიდან ისინი დაბეჯითებით ითხოვდნენ საქართველოს რუსეთთან დისტანცირებას და დაშორებას.

**— რა მიიღეს საქართველოში მოქმედმა პროამერიკულმა ძალებმა რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღებით?**

— მიიღეს ის, რომ ორი ქვეყანა დაშორდა ერთმანეთს, გაწყდა ეკონომიკური და, რაც მთავარია, ნათესაური კავშირები. ამან, ბუნებრივია, უმძიმეს სოციალურ მდგომარეობაში ჩააგდო მთელი საქართველო და ვფიქრობ, ეს ისეთივე დანაშაულია, როგორიც სხვა მრავალი, რომლებიც ჩაიდინა შემდგომში სააკაშვილმა და მისმა „ნაციონალურმა“ ბანდამ. რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, გამუდმებით რომ გვიკიჟინებს ეს სულელი ხელისუფლება, ჩვენი გზა არის ევროკავშირი და უნდა შევიდეთ ევროპულ ოჯახშიო, ჯერ ერთი, იქ არავინ გიღებს და მეორეც, რომც მიგიღონ, რას გვაძლევს ეს ჩვენ?! მე გულახდილად შემიძლია გითხრათ ერთი რამ — ამ ასოცირებული წევრობის მთავარი მიზანი არის ის, რომ სამი პოსტსაბჭოთა ქვეყანა — ბელარუსი, უკრაინა, საქართველო — დააშორონ რუსეთს, დააყენონ რიგში და ეს რიგი იყოს სამარადისო, ანუ დაიახლოვონ, მაგრამ ბოლომდე არ დაიახლოვონ.



**ირინა სარიშვილი, პარტია „იმედის“ თავმჯდომარე:**

— დავიწყოთ იმით, რომ რუსეთის პრეზიდენტის ის განცხადება, რომელიც წინა კვირას გაკეთდა და შეეხებოდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დალაგების პერსპექტივას, ამის არა ნაბიჯი, არამედ მინიშნება. ლაპარაკია იმაზე, საით შეიძლება წავიდეს რუსულ-ქართული ურთიერთობები, თუ საქართველოს მხრიდანაც იქნება კონკრეტული ადეკვატური ქმედებები. თავის მხრივ, პუტინის განცხადება ამ შემთხვევაში უკვე დაგეგმილი ნაბიჯის გადადგმას არ ნიშნავს და ეს უფრო ინფორმაციული სიგნალი იყო, რომელიც უნდა მოესმინა ყველას. აწი დანარჩენი — რას გააკეთებს ჩვენი ხელისუფლება, ძნელი სათქმელია, მაგრამ დაწყებული პრეზიდენტიდან, დამთავრებული „ოცნების“ რიგითი წევრით, არც ერთი მათგანის განცხადებით არ შეგვიძლია რამე კონკრეტული შეფასების გაკეთება.

**— ისე, ამ ხელისუფლების მიმართ ოპონენტების მხრიდან იმთავითვე ისმოდა „ბრალდებები“ მის პრორუსულობასთან დაკავშირებით.**

— ყოველ შემთხვევაში ჩვენ ამას ვერ ვხედავთ რეალურ ქმედებებში და, ბრალდებებს რაც შეეხება, პრორუსულობის თაობაზე ეს, შესაძლოა, თვითონ ხელისუფლების ინტერესებში შედიოდეს, რომ ბუნდოვანი გახადოს საკუთარი ნაბიჯები, ძალიან ძნელი საპროგნოზოა, რა მიმართულებით განვითარდება პროცესები. ჯერჯერობით ყველაფრიდან ჩანს, რომ არაფრის შეცვლას არ აპირებს „ქართული ოცნება“, ანუ პირებს ისევ შეერთებული შტატების პარტნიორობას და ევროკავშირის გაუგებარი გზით სვლას, თუმცა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არც ნატოში და არც ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

**— საქართველოს რას მისცემს დღევანდელ ვითარებაში რუსეთთან დაახლოება?**

— რუსეთთან დაახლოებაზე კი არაა საუბარი, თვითონ ეს ტერმინიც შესაცვლელია. აქ, უბრალოდ, ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველო არ აღმოჩნდეს ისეთ დაჯგუფებებში, იქნება ეს, უბრალოდ, ნატო თუ ევროკავშირი, რომლებსაც ჩვენი გამოყენება უნდათ რუსეთის წინააღმდეგ. პირველ რიგში, ესაა მოსაგვარებელი და შემდეგ ამას ავტომატურად მოჰყვება კრემლთან ურთიერთობის დარეგულირება. ისე, რა თქმა უნდა, რაც უფრო ადრე გადაიდგმებოდა ასეთი ნაბიჯები, ზარალი ნაკლები გვექნებოდა, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ასეთი ნაბიჯების გარეშე ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან რეალურად ურთიერთობის მოგვარება არის სრულიად წარმოუდგენელი.

**— როგორ ფიქრობთ, თუ კი საქართველო შეეცდება რუსეთთან რეალური დიალოგის დაწყებას, ხომ არ გაგვირთულებს ეს ურთიერთობას დასავლეთთან? როცა ამაზე საუბრობენ, ხშირად მოჰყავთ ხოლმე უკრაინის მაგალითი...**

— საქართველომ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იმოქმედოს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და არა იმის მიხედვით, ვინ რა პოზიციას დაიკავებს მის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე. ახლა რაც შეეხება უკრაინას: ჩვენ, ჯერ ერთი, არ გვინახავს იქ მიმდინარე პროცესების დასასრული და მეორეც, ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ანუ ქვეყნის გაყოფა ინტერესების სფეროებად, ეს უკვე მოხდა საქართველოში 2008 წელს, როდესაც სააკაშვილმა მიიღო მონაწილეობა წინასწარ წაგებულ ომის გათამაშების დანაშაულებრივ შეთქმულებაში ამერიკელებთან. სხვა დანარჩენი, კიდევ ვიმეორებ, აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, იმიტომ, რომ ხელისუფლების მოქმედებები ბუნდოვანია, მაგრამ სახელმწიფომ უნდა იცოდეს ერთი რამ — არ შეიძლება, შენი ერის უსაფრთხოებაზე, მის ინტერესებზე მაღლა დააყენო სხვისი რაღაც სტრატეგიული ამოცანა. ამას ყოველთვის მოსდევს ქვეყნის დასუსტება, დაუძლურება და სულ უფრო მძიმე მდგომარეობაში ყოფნა, რასაც ბოლო 9 წლის განმავლობაში ყველა ვხედავდით.



**გრიგოლ ონიანი, საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე:**

— რამდენიმე დღის წინ ვიყავი გორში, სადაც უნდა დადგმულიყო სტალინის ძეგლი. ამ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ყაზახეთიდან ჩამოვიდა ისტორიკოსი-აკადემიკოსი ცოლშვილით და ისეთი გაწბილებული დარჩა იმის გამო, რომ ძეგლი არ დაიდგა, აღშფოთებას ვერ მალავდა. მე რისი თქმა მინდა: არც სტალინის ძეგლი დაბრუნდება თავის ადგილზე, არც აფხაზეთი და სამაჩაბლო დაბრუნდება, არც ჩვენი კულტურა და ხელოვნება აყვავდება და არც ჩვენი სახელმწიფო რელიგია შეგვრჩება, თუ რუსეთის ორბიტას არ დავუბრუნდებით. ახლა რას ნიშნავს რუსული ორბიტა: ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა გვქონდეს საზღვარი აფხაზეთთან, სამაჩაბლოსთან, რუსეთთან და უნდა ვიცხოვროთ ისე, როგორც გვიცხოვრია. სვანებმა იციან თქმა: გზა უნდა გავიყვანოთ ნაგზაურზე და ხიდი გავდოთ ნახიდარზეო. რაც უფრო მალე გავა გზა ამ ნაგზაურზე და რაც უფრო მალე გავდებთ იმ ხიდს, რომელიც ჩვენ ჩავტეხეთ, მით უფრო ბედნიერ ცხოვრებას ეწევა საქართველო. რაც შეეხება პუტინის განცხადებას, რა თქმა უნდა, ეს რუსეთისა და მისი პრეზიდენტის კეთილი ნებაა, ამიტომ ყველა ქართველმა უნდა ავიტაცოთ და ვიაროთ ისე, როგორც გვივლია ისტორიულად.

**— რამდენად გაქვთ იმედი, რომ დღევანდელი ხელისუფლება ამ ნაბიჯებს გადადგამს?**

— ყოველ შემთხვევაში ამ ხელისუფლების იმედი იმდენად არ მაქვს, რამდენადაც მაქვს რუსეთის ძლიერების. ის არსად წამსვლელი არაა კავკასიიდან, რამდენიც არ უნდა ასავსავონ ვიღაცებმა ხელები და მე მაინც მჯერა, რომ რუსულ-ქართულ მრავალსაუკუნოვან მეგობრულ ურთიერთობას საფრთხე არ ემუქრება. ჩვენ გვაკავშირებს დიდი ხნის ძმობა და ერთობა, ამიტომ ვერავინ ამ ორი სახელმწიფოს კეთილმეზობლობაში ვერ ჩაერევა.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**აზერბაიჯანი იზრდება 34 პროცენტით პერსპექტივაში, თურქეთი— 20 პროცენტზე მეტით, ხოლო სომხეთი — 7 პროცენტით. ერთადერთი საქართველოა, რომლის მოსახლეობაც შემცირდება 28 პროცენტით. ასე რომ, აქ არის უმძიმესი ვითარება და ამას დროულად თუ არ მივხედეთ, საქართველო, ფაქტობრივად, გადაშენების პირასაა.**

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ანზორ თოთაძე:

# თუ დასავლეთი მიწების გაყიდვას გვთხოვს, ასეთი არც ევროპა მინდა და არც მათი კავშირები

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დემოგრაფი, სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანზორ თოთაძე.**



**— ბატონო ანზორ, წინა და დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთხმად გვარწმუნებენ, რომ, თუკი საქართველო ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდება, ჩვენი ეკონომიკა მნიშვნელოვნად წინ წაიწევს. თქვენი აზრით, რას მოგვცემს ევროპულ ოჯახში შესვლა ამ თვალსაზრისით და, რაც მთავარია, როგორ შეიძლება, ეს აისახოს ჩვენს დემოგრაფიაზე?**

— უწინარესად, უნდა ითქვას ის, რომ დაპირებები, რომლებსაც გვაძლევს ევროკავშირი, თითქოს ჩვენ იქ გავწევრიანდებით და სხვა, ჰაერში ჰკიდია, თუმცა თქვენ იცით ქვეყნები, რომლებიც, უკვე მრავალი წელია, ამ კავშირში არიან, მაგრამ მაინც ძალიან მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან. ჩემი აზრით, თუ მიგვიღებენ, რაც, კიდევ ვიმეორებ, არარეალური მგონია, ჩვენ შეგვექმნება უამრავი პრობლემა, ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, და საბოლოო ჯამში ამ ბარიერების გადალახვას დასჭირდება უდიდესი ძალისხმევა, რაც, შესაძლოა, ვერც მოვახერხოთ. რაკი კონკრეტულად დემოგრაფიაზე მკითხეთ, ამ თვალსაზრისითაც ეს ევროპული ოჯახი არაფრისმომცემია. პირიქით, აქ შეიძლება პროცესები უკუღმა შემოტრიალდეს და არამარტო დემოგრაფიულად მივიღოთ უარესი სურათი, არამედ ტერიტორიულადაც. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლება ამ საფრთხეებს ვერ აღიქვამდა საფრთხეებად და დაღუპვის პირამდე მიგვიყვანა. უბედურება კი ის არის, რომ, მიუხედავად ამდენი უბედურებისა, რომელიც განსაკუთრებით ბოლო 9 წლის მანძილზე გამოიარა ქართველმა ხალხმა, რეალური საშველი ჯერჯერობით არ გამოჩნდა.

**— დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, რა დემოგრაფიული სურათი შეიძლება გვქონდეს უახლოეს წლებში?**

— პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას ერთ რამეს: ხომ გვეუბნებიან, ევროკავშირში შესვლით ეკონომიკა აყვავდებაო, რაც უნდა კარგად ვიცხოვროთ და გაიზარდოს ხელფასები, პენსიები, დაბალი შობადობის პირობებში დემოგრაფიული წინსვლა არ იქნება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ 80-იან წლებში საქართველოში დაიბადა 455 ათასი ბავშვი. ხოლო ბოლო ათწლეულში, ანუ 2000-დან 2010-მდე — 236 ათასი. ეს, იცით, რას ნიშნავს? ახლა ვინც იბადება, მათი დედები იმ 80-იან წლებში დაბადებული გოგონები არიან; და, თქვენ წარმოიდგინეთ, 2000-2010 წლებში დაბადებულები რომ გახდებიან მშობლები, რა დაბალი იქნება მატება.

**— რა შეიძლება გაკეთდეს ამ პროცესის შესაჩერებლად?**

— ამას სჭირდება ხანგრძლივი კომპლექსური მიდგომა, მაგრამ დღეს ამაზე ასე ერთი ხელისმოსმით ვერ ვისაუბრებთ. ზოგადად, რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი მიზანია, როგორმე ეს პროცესი შევანელოთ და შემდეგ, როცა გავა ერთი დემოგრაფიული თაობა, რომელიც მოიცავს 28 წელს, მოსახლეობის გამრავლებაზე ვიზრუნოთ.

**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ხელისუფლების პრიორიტეტი რამდენად არის დემოგრაფია? რამდენად შესამჩნევია ეს მათ პოლიტიკაში?**

— მე ერთი რამის თქმა შემიძლია: ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ერი არამხოლოდ სულიერად, არამედ რაოდენობრივადაც. ეს არის მთავარი, რაც, პირველ რიგში, უნდა მოგვარდეს, დანარჩენი — მერე, როგორ გავაკეთებთ ამას, რა ღონისძიებებით, სხვა საკითხია.

**— ფაქტია, რომ ცალსახად პროდასავლური პოლიტიკა საქართველოს მუდმივად საფრთხის ქვეშ ამყოფებს სოციალურადაც და ეკონომიკურადაც. ეს ხომ დემოგრაფიაზეც აისახება?**

— რასაკვირველია, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ეს განხილვის საგანია. ჩვენ, უბრალოდ, კარგად უნდა დავფიქრდეთ, რა ჯობია — ის, რომ რუსეთს ყოველდღე ვაგინოთ, როგორც ეს იყო სააკაშვილის პერიოდში, თუ ცოტა სხვაგვარად მოვიქცეთ.

**— საერთოდ, დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება დიდ თანხებს და სხვადასხვა რესურსს მოითხოვს. რამდენად აქვს დღეს საქართველოს ამის შესაძლებლობა?**

— აბსოლუტურად სწორი შეკითხვაა. ამ ყველაფერს უზარმაზარი ფინანსური რესურსი სჭირდება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მაგრამ ჩვენ უნდა გავატაროთ ისეთი დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც პირველი რიგისაა. დღეს მთავარ პრობლემას წარმოადგენს შობადობა და ამას უნდა მივხედოთ. აი, ამის შემდეგ კი უკვე შეიძლება ფიქრი დანარჩენი საკითხების გადაჭრაზე, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია. ისე, ცხადია, ყველაფერს ერთბაშად ვერ მივხედავთ, ამას მთელი ჩვენი ბიუჯეტი არ ეყოფა...

**— საინტერესოა, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში რა მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით? ამას, ალბათ, აქვს ჩვენთვისაც მნიშვნელობა.**

— მეზობელ ქვეყნებში გაცილებით უკეთესი ვითარებაა. მაგალითად, აზერბაიჯანი იზრდება 34 პროცენტით პერსპექტივაში, თურქეთი— 20 პროცენტზე მეტით, ხოლო სომხეთი — 7 პროცენტით. ერთადერთი საქართველოა, რომლის მოსახლეობაც შემცირდება 28 პროცენტით. ასე რომ, აქ არის უმძიმესი ვითარება და ამას დროულად თუ არ მივხედეთ, საქართველო, ფაქტობრივად, გადაშენების პირასაა; არაერთხელ მითქვამს, რომ მალე აღმოვჩნდებით სერიოზული დემოგრაფიული ექსპანსიის საფრთხის წინაშე და მოგვიწევს ტერიტორიების დათმობაც...

— ექსპანსია რადგან ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, აისახებოდა ჩვენს დემოგრაფიაზე ის სავიზო და საიმიგრაციო პოლიტიკა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას ჰქონდა? მოგეხსენებათ, მათ 118 სახელმწიფოსთან შემოიღეს უვიზო მიმოსვლა.**

— რა უნდა ვთქვა ამაზე, ეს იყო მოღალატეობრივი პოლიტიკა. წარმოიდგინეთ, რა ხდება: ქართველმა ხალხმა უზარმაზარი სისხლი დაღვარა თავისი სამშობლოს, მიწა-წყლისა და თვითმყოფადობის გადასარჩენად. ახლა კი მოდის გადამთიელი, რომელიც, ალბათ, რუკაზე ვერ მოგიძებნის საქართველოს და იწყებს აქ ცხოვრებას. ეს საშინელებაა. ვინც რაც უნდა, ის იფიქროს, მაგრამ ყველა ტიტულოვანი ერი ცდილობს, თვითონ იყოს უმრავლესობაში და არ გაქრეს. ჩვენ რა გვჭირს, რა ხელგაშლილობა აგვივარდა?! სადმე უცხო ქვეყანაში ქართველს მიიღებენ იმხელა პატივით, ჩვენ რომ სხვებს ვლებულობთ?!

**— დასავლური ღირებულებები ლიბერალურ პოლიტიკას მოითხოვს.**

— იცით რა, თუ დასავლეთი ჩვენგან მოითხოვს, რომ მიწა გავყიდოთ, მაშინ ასეთი არც ევროპა მინდა და არც მათი კავშირები. ეს ნიშნავს საკუთარი თავის გაქურდვას და თვითლიკვიდაციას.

**— სხვანაირად ევროინტეგრაციას საფრთხე დაემუქრება.**

— ამ ევროინტეგრაციას შესწირა სააკაშვილმა ყველაფერი. მეტიც, პოსტსაბჭოთა სივრცეში და საერთოდ, ევროპაში, ჩვენ ვართ ერთადერთი სახელმწიფო, რომელშიც არც ერთი დემოგრაფიული ღონისძიება არ განხორციელებულა. სამაგიეროდ „ნაცმოძრაობის“ ბატონობის 9-წლიან პერიოდში ქვეყანაში აშენდა პრეზიდენტის სასახლე, პარლამენტის შენობა — ქუთაისში, უფუნქციო ხიდი — მტკვარზე, ორი უცნაური შენობა — რიყეზე და ა.შ. ჯამში ყველაფერი ეს დაჯდა, სულ მცირე, სამი მილიარდი ლარი, რომელიც მაშინდელმა ხელისუფლებამ ხალხის ჯიბიდან ამოიღო. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: ამ თანხით შეიძლებოდა მესამე ბავშვის წასახალისებლად ოჯახისთვის ყოველთვიურად მიგვეცა 200 ლარი, სანამ ბავშვი არ მიაღწევდა 16 წლამდე. ეს კი იქნებოდა უდიდესი სტიმული ერისთვის და დემოგრაფიული პრობლემები მნიშვნელოვანწილად გადაიჭრებოდა. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლება ამით არც დაინტერესებულა, თითქოს ეს საკითხი საერთოდ არც იდგა და არც მოითხოვდა გადაწყვეტას. შედეგად მივიღეთ ის, რომ გადაშენების პირას მივედით. ახლა რა შეიძლება იყოს გამოსავალი, კიდევ ვიმეორებ: ამაზე ბევრი ფიქრია საჭირო.

**აქვე სულმნათი ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებით დავასრულებ საუბარს, რომელიც მან ანდერძად დაგვიტოვა:**

## «მალე აღმოვჩნდებით დემოგრაფიული ექსპანსიის საფრთხის წინაშე და მოგვიწევს ტერიტორიების დათმობაც...»

### გზავნილი შთამომავალს!

**„ახლო და შორეულ ქართველობას მივმართავ თხოვნით, იფიქრონ და იმოქმედონ ერის სიმრავლისთვის.**

**XXI საუკუნის დასაწყისში ჩვენმა ერმა გადალახა რიცხობრივი კლების ის დონე და ზღუდე, რომლის იქით ძველი სიმრავლისთვის მხოლოდ ოცნებაა შესაძლებელი. ასე მცირერიცხოვანი ერები წყვეტენ არსებობას ცისა ქვეშე და ისტორიას მოგონებადღა შემორჩებიან ხოლმე.**

**ჭკუითა და ამ მიზნით იცხოვრეთ, მომავლის ქართველებო! ჩემს თანამედროვე ქართველ ერს ეს საჭიროება განუწყვეტლივ ვუქადაგე, მაგრამ ყოველივე დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.**

**მომავალ თაობათა და მაღალი ღმერთის შემწეობის იმედად გავლევ სიცოცხლეს“.**

**ჭაბუა ამირეჯიბი, 1 მაისი 2008 წელი**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## საქართველოს მოქალაქეებმა დიდი ბრიტანეთის ვიზის მისაღებად ტუბერკულოზზე შემოწმება უნდა გაიარონ

**საქართველოს ყველა მოქალაქემ, რომელთაც სურთ დიდი ბრიტანეთის ხანგრძლივ ვიზაზე საბუთების შეტანა, 2013 წლის 31 დეკემბრიდან უნდა გაიარონ წინასწარი შემოწმება ტუბერკულოზზე.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოში ბრიტანეთის საელჩოდან აცნობეს, დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 31 დეკემბრიდან საქართველოში ძალაში შედის წინასწარი შემოწმება ტუბერკულოზზე (TB).

როგორც საელჩოში განმარტავენ, ეს გადაწყვეტილება უკავშირდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის განცხადებას, რომელიც გაკეთდა 2012 წლის მაისში, როცა ითქვა, რომ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ამ შემოწმების მოთხოვნა გავრცელდება დამატებით 67 ქვეყანაზე, მათ შორის საქართველოზე.

ამ ცვლილებით დიდი ბრიტანეთი ისეთი ქვეყნების რიგებს მიუერთდა, როგორიცაა აშშ, კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია, სადაც მსგავსი შემოწმებები უკვე პრაქტიკაშია.

აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში ტურისტის ან სხვა სახის ვიზიტორის სტატუსით გამგზავრების მსურველებს წინასწარი შემოწმება ტუბერკულოზზე არ ესაჭიროებათ. გამონაკლისს წარმოადგენს განაცხადები საქმროს/საცოლის (იგივე საქორწინო) ვიზებზე.

მოთხოვნა ვრცელდება ყველა იმ მოქალაქეზე, რომელსაც სურს, მოიპოვოს ბრიტანეთის ვიზები 6 თვეზე მეტი ხანგრძლივობით. მ

თავად პროცესი ითვალისწინებს შემდეგს: გამგზავრების მსურველებმა, ვიზაზე საბუთების შემოტანამდე უნდა მიმართონ დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს (Home Office) მიერ აღიარებულ სამედიცინო ცენტრს საქართველოში, გაიარონ სრული შემოწმება ტუბერკულოზზე და აიღონ სერტიფიკატი, რომელიც დაადასტურებს, რომ ისინი ტუბერკულოზის მატარებლები არ არიან. ეს ცნობა მათ უნდა დაურთონ სავიზო განაცხადს.

წინასწარი შემოწმება ტუბერკულოზზე 2013 წლის 31 დეკემბრიდან შედის ძალაში.

მათ, ვისაც ესაჭიროება, გაიაროს წინასწარი შემოწმება ტუბერკულოზზე, უნდა დაუკავშირდნენ შესაბამის კლინიკას და ჩაეწერონ პროცედურის გასავლელად. სკრინინგის გადასახადი უნდა მოხდეს უშუალოდ ამ სამედიცინო დაწესებულებაში. შემოწმებაზე ჩაწერა უნდა განხორციელდეს მხოლოდ 31 დეკემბრიდან.

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მართალია, ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსი კობა ხარშილაძე დააკავეს კიდეც, თუმცა მხოლოდ გამწვანებისა და მერიის ტენდერების ირგლივ, როგორც კომპანია „გრინსერვისის“ ხელმძღვანელი და ისიც, გირაოს სანაცვლოდ, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.**

# 2013 წლის სკანდალური საქმეები — რა ვერ შეასრულა ხელისუფლებამ?!

2013 წელი ვისთვის იმედიანი, ვისთვის სკანდალური და ვისთვის კიდევ იმედების გაცრუების წელიწადი იყო, როცა ოცნებები საპნის ბუშტივით გაქრა და მხოლოდ დეკლარირებულ სიტყვებად წინასაარჩევნო ლოზუნგებში შემორჩა.

„საქართველო და მსოფლიომ“ თვალი გადაავლო გახმაურებულ საქმეებს, რომელთა გახსნასაც ხელისუფლება გვპირდებოდა. რამდენად მოახერხა ახალმა ხელისუფლებამ დაპირებების შესრულება, რომლებიც სამართლიანობის აღდგენასა და ყოფილი კორუმპირებული ჩინოვნიკებისთვის პასუხის მოთხოვნას შეეხებოდა?! ვინ დაიჭირეს, ვისზე მხოლოდ საქმე აღძრეს ორთქლის გამოსაშვებად, ვინ გირაოთი გამოუშვეს და ვინ კიდევ პირშიჩალაგამოვლებული დატოვეს მისი კუთვნილი ქონებისა და სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში?

2013 წლის დასაწყისში ხელისუფლებამ არაერთი გახმაურებული საქმის გამოძიების შესახებ ინფორმაცია დააანონსა, თუმცა რეალურად მხოლოდ ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის საკანში ყოფნა ვიხილეთ, ისიც დღემდე დაუმთავრებელი, საკმაოდ უსუსური ბრალდებებით, მოწმეებითა და გაურკვეველი განაჩენით. ასევე გიგი უგულავას სასამართლო პროცესები, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, გიგი უგულავასთვის მარჟის აწევასა და, ნებით თუ უნებლიეთ, მის „პიარს“ უფრო ემსახურება, ვიდრე დაჭერის მცდელობას.

საქმეებს, ზოგიერთს, დაწყებაც კი არ ღირსებია ან სულაც არაკომპეტენტური ძიების წყალობით მასზე მოკვლევა კი დაიწყო, მაგრამ შედეგი დღემდე არ დამდგარა. ერთადერთმა პროკურატურამ ხელისუფლების ცვლილებისთანავე მხოლოდ „ელიტ ბურჯის“ საქმე და ივანიშვილისთვის 80 მილიონის ჯარიმის საქმე გამოიძია და, არაკანონიერი მოტივაციის გამო, აღნიშნული თანხა ბიზნესმენს უკან დაუბრუნდა. სამაგიეროდ, სამართალს დღემდე ელოდება ის ასეულობით ბიზნესმენი, რომლებსაც ქონება სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში „აახიეს“ და, როგორც ახლა ირკვევა, უკან დაბრუნების განხილვას პროკურატურა აღარც აპირებს. ცალკეა გახმაურებული საქმეები, რომლებიც 2013 წლის განმავლობაში ამაოდ „იკერებოდა“. „საქართველო და მსოფლიომ“ ყველა მნიშვნელოვანი სისხლისსამართლებრივი თუ ეკონომიკური საქმეები ამოსწია, რომლებიც, წესით, ამ ხელისუფლებას უნდა გამოეძიებინა.





## ზურაბ ჟვანიას საქმე

**ჯერჯერობით ყოფილი პრემიერის გარდაცვალების ფაქტის** ირგვლივ მიმდინარე გამოძიების თაობაზე მხოლოდ მისი ძმის იმედიანი ანონსები გვესმის და არაფერი კონკრეტული. მართალია, ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსი კობა ხარშილაძე დააკავეს კიდეც, თუმცა მხოლოდ გამწვანებისა და მერიის ტენდერების ირგლივ, როგორც კომპანია „გრინსერვისის“ ხელმძღვანელი და ისიც, გირაოს სანაცვლოდ, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

## 7 ნოემბერი — სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, კოდუა და სხვანი

2007 წლის 7 ნოემბრის პოლიტიკური მოვლენების ირგვლივ პროკურატურის საგამოძიებო მოქმედებების დაწყების შესახებ ანონსი არამხოლოდ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელმა თინა ხიდაშელმა დააანონსა, არამედ პროკურატურა ოფიციალურადაც აპირებდა 7 ნოემბრის მოვლენების, აქციების დარბევისა და პატარკაციშვილთან დაკავშირებული საქმეების მოკვლევას. აღნიშნული საქმის ირგვლივ არამხოლოდ ქვეყნის უმაღლესი პირების, არამედ სხვა პოლიტიკური პერსონების საკითხის დადგომაზე საუბრობდნენ. მაგრამ ამ საქმეს მსვლელობა არ მისცემია და მხოლოდ საჯარო განხილვებისა და „ფოჩიანი კანფეტის“ ამპლუაში დარჩა.

რაც შეეხება 26 მაისის ბურჯანაძის ცნობილი საპროტესტო აქციების დაშლის საგამოძიებო მოქმედებებს, გამოძიებას ერთადერთ „საკბილოდ“ ივანე მერაბიშვილი ამოურჩევია, თუმცა **2011 წლის 26 მაისის აქციაში სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ბოკერია, ახალაიები, გოგა გრიგალაშვილი,შალვა ჯანაშვილი და სხვა პირებიც ფიგურირებდნენ.** ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე მთავარ პროკურორს 2011 წლის 21-26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით რიგი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასა და მათ პასუხისგებაში მიცემას სთხოვდა. ადვოკატმა მასალები დაკვალიფიცირებული მუხლებით მთავარ პროკურატურას უკვე მიაწოდა. **ანალოგიურ „ცალყბად“ გამოძიების პროცესშია გირგვლიანის მკვლელობის გახმაურებული საქმეც,** რეალურად აქაც მხოლოდ საჯარო განცხადებებით გვესმის გირგვლიანის საქმის ირგვლივ მაღალჩინოსანთა დაკითხვები მხოლოდ მოწმის სახით.

## ლაფანყურის სპეცოპერაცია — მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია

პროკურატურაში შესული იყო საჩივარი ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი არჩილ ჩოხელის ოჯახის წევრების მიერ. პროკურატურა გამოძიებას შსს-ს სპეცრაზმის თანამშრომლების — სოლომონ წიკლაურისა და არჩილ ჩოხელის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის გამოძიების მუხლით დაიწყებდა, თუმცა კონკრეტულად როგორ დაკვალიფიცირდა სპეცოპერაციის შესახებ საგამოძიებო მოქმედებები და ვის აქვს ბრალი წაყენებული, დღემდე უცნობია.

## ბუტა რობაქიძის საქმე და პროკურატურის მაღალჩინოსნები

პროკურატურამ, წარმოებაში მიიღო წერეთლის გამზირზე საპატრულო პოლიციის მიერ მოკლულის — ბუტა რობაქიძის მამის, სოსო რობაქიძის, განცხადება მკვლელობის ფაქტზე გამოძიების თავიდან დაწყების მოთხოვნით. ოჯახი კონკრეტულად ყოფილი იუსტიციის მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის, ქალაქის მაშინდელი პროკურორის, გიორგი ღვინიაშვილის და შსს-ს რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის დასჯას ითხოვდა. პროკურატურაში შეტანილ მასალებში ფიგურირებს დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორის — ირაკლი წერეთლის გვარიც, რომელიც ამ საქმის გამომძიებელი იყო. თუმცა გამოძიებას ამ დრომდე მხოლოდ მაიზერ ლიპარტელიანი (საქმეში რიგითი პატრული) ჰყავდა დაკავებული, ისიც პრეზიდენტის შეწყალებით გარეთ გამოვიდა; დღემდე ბრალი ვერ დაუმტკიცდა ვერც გურამ დონაძეს, ვერც გვაზავას და პოლიციის ვერც ერთ მაღალჩინოსანს. ბუტა რობაქიძის მამის პროტესტიც ამის გამოძახილია.

## კილაძის საქმე — მერაბიშვილი, გიორგი არველაძე, შალვა ჟღენტი

კიდევ ერთი საქმე, რომელიც ამჯერად მთავარ პროკურატურაში განაცხადის სახით „უფლებადამცველთა გაერთიანებამ“ შეიტანა, ჯაშუშობის საქმეზე დაკავებულ სიმონ კილაძის საქმეს შეეხებოდა. სიმონ კილაძე პროკურატურისგან მის რეაბილიტაციას და საქმის დამკვეთებად დასახელებულ ვანო მერაბიშვილის, სააკაშვილის და უშუალო შემსრულებლების — კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილის, შალვა ჟღენტისა და გიორგი არველაძის დაპატიმრებას მოითხოვდა. მაგრამ გამოძიებას ამ ბრალდებით არც გიორგი არველაძე და არც ჟღენტი არ დაუკავებია და არც ვინმე უცვნია დამნაშავედ.

## ხათუნა კალმახელიძე და ციხეები

მოქალაქე ლია ზერეკიძე მეუღლის, ივერი ზერეკიძის, მკვლელობაში ბრალს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების ყოფილ მინისტრ ხათუნა კალმახელიძესა და რუსთავის მე-6 საპატიმროს ყოფილ დირექტორ დავით მარგებაძეს სდებს და გამოძიების დაწყების მოთხოვნით პროკურატურას მიმართავს. საქმე 2011 წლის 16 აგვისტოს რუსთავის მე-6 საპყრობილის საკანში განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ივერი ზერეკიძის გარ- ►



სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააქციო საზოგადოება „თბილისის საავიაციო ქარხნის“ დამფუძნებელ პანტიკო თორდიასაც ძალადობრივი გზით, კერძოდ კი, პატიმრობაში აყვანის მუქარით ჩამოართვეს საკუთრება.

◀ დაცვალების ფაქტს ეხება, რისი მიზეზიც, გამოძიების ოფიციალური ვერსიით, დენის დარტყმა გახდა. თუმცა ოჯახის მიერ ჩატარებული ალტერნატიული ექსპერტიზის შედეგებმა აჩვენა, რომ სიკვდილის მიზეზი ბლაგვი საგნის ჩარტყმა გახდა. გარდაცვლილის მეუღლე ლია ზერეკიძე პროკურატურისგან მოითხოვს, გამოიძიონ და პასუხისგებაში მიეცენ საპყრობილის მაშინდელი დირექტორი დავით მარგებაძე და მინისტრი ხათუნა კალმახელიძე. ამასთან, ხათუნა კალმახელიძეს ციხეებთან მიმართებაში მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით არ ადანაშაულებენ. არადა, რეალურად ციხის კადრები ხომ სწორედ მისი მინისტრობის დროს იჭედებოდა?! ამიტომაც გაურკვეველია, რატომ დასეირნობს ასე თავისუფლად კალმახელიძე და ციხის კადრების გამო რატომ შეიძლება მხოლოდ ჭაკუა და ახალაია იდევნებოდნენ?!

## საქმეები დავით საყვარელიძის წინააღმდეგ

პატიმარი დავით ჯინჭარაძე ყოფილი მთავარი პროკურორის მოადგილისა და ამჟამად დეპუტატ დავით საყვარელიძის წინააღმდეგ პროკურატურისგან სასწრაფოდ საქმის გამოძიებას ითხოვდა. პატიმარი, რომელიც მოქმედი ადვოკატი იყო, საყვარელიძეს მოქალაქე ბესარიონ ხვინთელიანის საქმეზე 70 000 დოლარის გამოძალვაში ადანაშაულებდა. მისი ადვოკატის განცხადება კბილაშვილის უწყებაში შესული იყო. თუმცა ეს დავით საყვარელიძის წინააღმდეგ პროკურატურის ხელთ არსებული ერთადერთი მასალა არაა, ბიზნესმენი გიორგი გიგუაშვილი რაიონისა და ოლქის ყოფილი პროკურორების, დავით ჭანტურიძისა და დავით საყვარელიძის, ასევე შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორის — ლადო ვარძელაშვილის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას ითხოვს. გიგუაშვილმა, ჩვენი ინფორმაციით, უკვე მიმართა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს. გიგუაშვილის განაცხადის თანახმად, ჭანტურიძემ, საყვარელიძემ და ვარძელაშვილმა დაშინების გზით მისი კუთვნილი ქონება — გორის საცურაო აუზი უკანონოდ მიითვისეს. აღნიშნულთან დაკავშირებით საყვარელიძე პროკურატურაშიც კი არ დაუკითხავთ.

## ვაზაგაშვილის საქმე — ლევან გვაზავა და შსს-ს მაღალჩინოსნები

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს, კორტების სპეცოპერაციის დროს მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის საქმის ხელახალი გამოძიების მოთხოვნით მიმართავდა. საიამ უკვე გადააგზავნა პროკურატურაში დაცხრილულ ავტომობილში გადარჩენილთაგან ერთადერთის — ბუბა ფუთურიძის ჩვენება, რომლის თანახმადაც მან აღიარებითი ჩვენება ზეწოლის შედეგად მისცა. აღნიშნულ საქმეში შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანი ფიგურირებს, მათ შორის, ირაკლი კოდუა, ლევან გვაზავა, ირაკლი ფირცხალავა და კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანი, თუმცა მათ წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ვაზაგაშვილის მამა დღემდე მოითხოვს მათ დასჯას, გამოძიებას კონკრეტულად არც ერთისთვის ბრალი არ წაუყენებია.






## აფრასიძეების საქმე — გიორგი ბარამიძე

უკვე გაცხადებულია, რომ აფრასიძეების ოჯახის წევრები პროკურატურისგან ამ საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვენ, თუმცა აფრასიძეების საქმის ირგვლივ გამოძიებას ჯერ კონკრეტულად არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დაუსვამს. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის წევრები ამას კატეგორიულად მოითხოვენ.

## იგორ გიორგაძის თანაპარტიელთა საქმე

**2006 წლის 6 სექტემბრის სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით დაკავებულთა მაია ნიკოლეიშვილისა და გიორგაძის სხვა მხარდამჭერთა საქმეების ხელახალი გამოძიებისთვის პროკურატურას, სამწუხაროდ, მსვლელობა არ მიუცია. ყოველ შემთხვევაში, ამ საქმის გამო სააკაშვილის ხელისუფლებიდან არც ერთი ყოფილი მაღალჩინოსნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დამდგარა.**

**რა თქმა უნდა, ეს სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მიერ ჩადენილი და გამოსაძიებელი საქმეების სრული ნუსხა არაა, ცალკეა ეკონომიკური ხასიათის დანაშაულები და ის ბიზნესმენები, რომლებიც ამაოდ ელოდებიან საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თუ ბიზნესის დაბრუნებას.**

## ფინანსური პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნები და ადნარ აქიარის საქმე

აღნიშნული საქმე ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლის შემდგომ გამოიკვეთა და ბიზნესმენი ადნარ აქიარი მანამდე აღნიშნული საქმის დეტალებს არ ახმაურებდა. უცხოელი ბიზნესმენი ფინანსური პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნების მხრიდან მისი ბიზნესის დატერორებაზე საუბრობს და პროკურატურისგან სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს. ჩვენების თანახმად, ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნებმა მას აყიდვინეს ავტომანქანები, რომელთაგანაც სამით სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული შოუბიზნესის წარმომადგენლები დადიან, ხოლო რამდენიმეით — სახელმწიფო მოხელეები. აქიარის ადვოკატის — ხაჭაპურიძის თქმით, აქიარს ფინანსური პოლიციის ყოფილი უფროსი დავით ქარსელაძე ყოველთვიურად სძალავდა თანხას, შემდეგ კი აქიარი უკანონო ბრალდებით დააკავეს და გათავისუფლებისთვის 200 000 ლარი გადაახდევინეს.

## ქიბარ ხალვაშის საქმე

„არტი ჯგუფისა“ და ტელეკომპანიების — „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ წილის ყოფილი მფლობელი ქიბარ ხალვაში აცხადებდა, რომ ხელისუფლებამ მისი კომპანიები უკანონოდ დააყადაღა და გააკოტრა მას შემდეგ, რაც მისი მეგობარი ირაკლი ოქრუაშვილი ხელისუფლებას დაუპირისპირდა და ოპოზიციური პარტია ჩამოაყალიბა. კომპანია „არტი ჯგუფი“, რომელიც 1996 წელს დაფუძნდა, საქართველოში „პროქტერ ანდ გემბელის“ პროდუქციის ექსკლუზიური შემომტანი იყო. კომპანია 2007 წლის 24 სექტემბერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა ახსნა-განმარტების გარეშე დალუქა. მოგვიანებით კომპანია საბაჟო წესების დარღვევაში დაადანაშაულეს და სოლიდური ჯარიმის გადახდა დააკისრეს. გერმანიაში ემიგრირებული ქართველი ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში, რომელიც საქართველოში არც ერთ აქტივს აღარ ფლობს, „არტი ჯგუფის“ ქონებაზე სასამართლო დავას საერთაშორისო სასამართლოში აგრძელებს.



## ბიზნესმენი დალაქიშვილი, ბიზნესმენი ბეგიაშვილი, მამია სანადირაძე და „ახეული“ ქონება

დალაქიშვილის ადვოკატის, თოდუას მიერ პროკურატურაში შეტანილი განაცხადის თანახმად, ადეიშვილი უშუალოდ იყო დაინტერესებული ბიზნესმენის დაპატიმრებით და აჭარის პროკურატურის გამომძიებელ ოთარ ცეცხლაძეს პირადად დაავალა ამ საქმის შესრულება, რაკი პროკურორმა ეს არ გააკეთა, ეს მისი სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი გახდა. მოწმეების მტკიცებულებები თბილისის პროკურატურაში უკვე შესული იყო და გამოძიებასაც, წესით, მალევე უნდა აღედგინა სამართლიანობა. ანალოგიურად მის წინააღმდეგ არსებული საქმეების ხელახალ გამოძიებას და შსს-ს და პროკურატურის პირველი პირების დასჯას დღემდე მოითხოვს ჟენევაში მყოფი „ვაკე 5“-ისა და „ალბატროს ჯგუფის“ დამფუძნებელი ბიზნესმენი დავით ბეგიაშვილი, თუმცა ამაოდ. ასევე დღემდე ამაოდ ითხოვს მფლობელობაში **„კავკასუს ონლაინის“ დაბრუნებას მისი ყოფილი დამფუძნებელი მამია სანადირაძე.** აღნიშნული და სხვა საქმეების განხილვაზე, როგორც იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, შესაძლოა, საქმის განხილვები აღარც კი მოხდეს.

## ანზორ ქოქოლაძის საქმე

„ელიტ ელექტრონიქსის“ ყოფილი მფლობელი ანზორ ქოქოლაძე ერთ-ერთი ბიზნესმენია, რომელსაც წინა ხელისუფლებამ კუთვნილი კომპანია აართვა. ქოქოლაძე სასჯელს 22 თვე იხდიდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ანზორ ქოქოლაძეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლებას ედავებოდა:თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიზნესმენს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.ქოქოლაძესთვის პროკურატურას ჯერ არაფერი დაუბრუნებია .

## „აგარის შაქარი“ და ძასოხოვი

„აგარის შაქრის“ მფლობელმა გოჩა ძასოხოვმა საქართველო 2008 წლის აგვისტოში დატოვა. ძასოხოვი, რომელიც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციისა და საზოგადოება „დინამოს“ პრეზიდენტი იყო, პეკინის ოლიმპიადიდან საქართველოში აღარ დაბრუნდა. ამჟამად ის რუსეთში მოღვაწეობს. 2008 წლის აგვისტოში შემოსავლების სამსახურმა დააყადაღა ძასოხოვის კუთვნილი საწარმოები: აგარის შაქრის ქარხანა „ქართული შაქარი“, ვაშლის, ყურძნისა და მანდარინის კონცენტრატების ქარხნები გურჯაანში, ქობულეთსა და აგარაში, პომიდვრის საცდელი მეურნეობები მარნეულში, ხეხილის ბაღები შიდა ქართლსა და კახეთში, „აგროინვესტბანკი“ და სასტუმრო „ივერია“ ქობულეთში. ქონების ნაწილს სახელმწიფო დაეპატრონა, ნაწილს კი — ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები.

## „მაგნატი“ და ჯემალ ლეონიძე

დაკავებამდე ბიზნესმენ ჯემალ ლეონიძეს შპს „მაგნატი 2006“-ის 75 პროცენტი ეკუთვნოდა. კომპანია ქვეყნის ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო ქსელების 8-10%-ის მფლობელი იყო. „მაგნატს“ გააჩნდა 4 ნავთობტერმინალი, 42 ბენზინგასამართი სადგური, სამი რესტორანი, მეფრინველეობის ფაბრიკა. კომპანიის ქსელებიდან ყოველთვიურად 5,5 მილიონი ლიტრი ნავთობპროდუქტების რეალიზაცია ხორციელდებოდა. ჯემალ ლეონიძე 2009 წლის აგვისტოში სსკ 180-ე და 362-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის დააპატიმრეს. მას თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენის სახით განუსაზღვრა 10 წლითა და 6 თვით პატიმრობა და სახელმწიფოს სასარგებლოდ 50 000 ლარის ზარალის ანაზღაურება. ჯემალ ლეონიძის ადვოკატი ზურაბ თოდუა ამბობს, რომ ხელისუფლების მიზანი იყო მისი განეიტრალება და ბიზნესიდან ჩამოშორება: „მაგნატის“ ქსელი ხელში ჩაიგდო კომპანია „გალფმა“, რომელიც ხელისუფლებასთან იყო დაკავშირებული, არავითარ მაქინაციასა და თაღლითობაში ლეონიძე არ მონაწილეობდა. სისხლის სამართლის საქმე არის შეთითხნილი. ახლა ლეონიძის საქმე სტრასბურგშია, ყოფილი ბიზნესმენი კი გამოუშვეს, თუმცა მისთვის ფინანსური ზარალი არავის აუნაზღაურებია.

## „ნება ინვესტი“ და ბაკურაძე

ბიზნესმენმა ბაკურ კილურაძემ, რომელიც ჯაშუშობაში იყო ბრალდებული, კომპანია „ნიბა ინვესტი“ 2004 წელს დააფუძნა. კომპანია თბილისში ახორციელებდა მრავალმილიონიან დეველოპერულ პროექტ „ნიბა დელისს“. კილურაძე დაკავებას სწორედ ამ პროექტიდან მისი გაძევების მცდელობას უკავშირებს. ბაკურ კილურაძის საქმემ ქართული სასამართლოს ყველა ინსტანცია მოიარა. ბიზნესმენი, რომელიც თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს, სამართალდამცავებმა 2010 წლის 13 ივლისს დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო სსკ-ს 314-ე მუხლის 1 ნაწილით (ჯაშუშობა) და 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. განაჩენი უცვლელად დატოვა ყველა ზემდგომმა ინსტანციამ. 12-ტომიან საქმეს მინიჭებული აქვს საიდუმლო გრიფი. მთავარი ნივთმტკიცებები კი, როგორც ამბობენ, განადგურებულია.

## ქარხნების ბედი

სააქციო საზოგადოება „თბილისის საავიაციო ქარხნის“ დამფუძნებელ პანტიკო თორდიასაც ძალადობრივი გზით, კერძოდ კი, პატიმრობაში აყვანის მუქარით ჩამოართვეს საკუთრება. ამ საქმეში პრეზიდენტთან ერთად ბაჩო ახალაიაც ფიგურირებს. ის აღნიშნავდა, რომ თვითონ მას კვირა დღეს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის შეიარაღებული პირების გარემოცვაში და ნოტარიუსის თანხლებით ეკონომიკის სამინისტროში ამ უწყების იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მონაწილეობით გადააფორმებინეს წილი. ქარხნის დანარჩენ 26 აქციონერს კი აქციების დათმობა უკვე მეორე დღეს, თბილისში მარჯანიშვილის 5-ში მდებარე ნოტარიუსის შენობაში აიძულეს. დაახლოებით, ანალოგიური ისტორია აქვთ თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მესაკუთრეებსაც. ამ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარეს, ავთო საყვარელიძესა და ამავე ქარხნის გენერალურ დირექტორ მირიან დეკანოიძეს.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**P.S. ეს, რა თქმა უნდა, ფაქტებისა და საქმეების არასრული ნუსხაა და კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი, გახმაურებული თუ გაუხმაურებელი საქმე ვერ მოხვდა აღნიშნულ სტატიაში, რომლებიც დღემდე თაროზე შემოდებულები ამაოდ ელოდებიან, რომ სამართალმა პური ჭამოს! თუმცა ხელისუფლებას, იმედია, 2014 წელს მაინც ეყოფა პოლიტიკური თუ სამართლებრივი ნება, რომ აღნიშნული საქმეები ბოლომდე მიიყვანოს.**

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„იმის თქმა, რომ რუსეთმა წაგვართვა ტერიტორიები ცოტა დილეტანტური საუბარია. იურიდიულად ასე არ არის. ჩვენ ეს უნდა დავინახოთ და პროვოკაციას არ უნდა წამოვეგოთ.“

# სოსო ცინცაძე: ქართველი არასოდეს შეეგუება იმას, რომ ერთადერთი ვაჟი, რომელმაც მისი გვარი უნდა გააგრძელოს, პედერასტი იყოს

**2013 წლის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება ითვლება. როდესაც ეს ამბავი მოხდა, მაშინ ნათლად დავინახეთ, კოაბიტაცია რასაც ნიშნავდა, რადგან ძველი და ახლი მთავრობის წევრები დიდი სიხარულით, სიყვარულითა და სინაზით ერთმანეთს მადლობას უხდიდნენ გაწეული სამუშაოსთვის. იმ წუთში ყველას დაავიწყდა, ხალხი ევროპასთან პარაფირებას ელოდა თუ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას, ფინანსურ კეთილდღეობას და ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებას თუ ლგბტ ადამიანების პატივისცემის დაძალებას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიწების დაკანონებას თუ ამ მიწებზე თურქი მესხების დასახლებას. მოკლედ, როგორც მაშინ, „ნაცების“ დროს, დღესაც, ხალხს რა უნდა, არავინ კითხულობს. როგორი იყო ახალი მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები? საით მივდივართ? რა დავალება მოგვცეს ქართველ ხალხს სასწრაფოდ შესასრულებლად? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო მსოფლიო“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს შეხვდა.**



**— ბატონო სოსო, როგორი იყო ახალი მთავრობის ერთი წელიწადი?**

— წელიწადი მდორე იყო! ჩატარდა უინტერესო არჩევნები, რომელმაც კითხვის ნიშნები დასვა, კითხვის ნიშნებს ვამბობ, რადგან ვერავინ დამაჯერებს, რომ „ნაცმოძრაობა“ ბურჯანაძეზე ორჯერ პოპულარულია. არავისი მხარდამჭერი არ ვარ, მაგრამ ვხედავ იმას, რა განწყობაცაა ხალხში, მეც მათთან ერთად იმადგაცრუებული ვარ. ჩვენი საზოგადოება უფრო ამაყი მეგონა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ერთი კაცის კარნახით გაკეთდებოდა ბევრი რამ. საქართველოში ბევრად უარესიც გვინახავს, მაგრამ სხვა მოლოდინი გვქონდა... ჩვენ ხომ მაინც აღმოსავლელები ვართ...

**— თუმცა გვაჯერებენ, რომ ევროპელები ვართ.**

— სულ ტყუილად. ევროპელი ჩინოვნიკი 20 ათასს პრემიას არ იღებს, განა იმიტომ, რომ ეშინია, არა, მას სხვა მორალური ვალდებულება აქვს. ამიტომ დავანებოთ თავი იმას, რომ ევროპელები ვართ. **ქართველი ევროპელი ვერ გახდება, ქართველი არასოდეს შეეგუება იმას, რომ ერთადერთი ვაჟი, რომელმაც მისი გვარი უნდა გააგრძელოს, პედერასტი იყოს.**

— რატომ მოიტანეთ ეს მაგალითი, ეს არის ევროპა?

— **ევროპამ რაც მოთხოვნები წამოგვიყენა, მათი ნახევარი ქართული მენტალობისგან განდგომას მოითხოვს. ქართველთა დიდი ნაწილი შეუგნებლად ევროპის მომხრეა, ხოლო ნაწილი, ასევე შეუგნებლად, — რუსეთის მომხრე. ქვეყანაში არ დარჩნენ ადამიანები, რომლებიც საქართველოს მომხრეები არიან.** ჩემთვის კლასიკური მაგალითია იაპონია, სადაც ყველა იაპონელი სამურაია. დღევანდელმა ევროპამ ვერაფერი შეინარჩუნა. **ევროპის ერთ-ერთმა ინსტიტუტმა 2007 წელს კვლევა ჩაატარა, რის შემდგომაც დაიწერა წიგნი „ევროპის დასასრული“, მათ იდენტურობა დაკარგეს. ვერ წარმომიდგენია ნატო გეების არმიით.**

**— დავუბრუნდეთ ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.**

— ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება იყო სწორად გადადგმული პირველი ნაბიჯი მათთვის, ვისაც ევროკავშირში გაწევრიანება სურთ, მაგრამ რას ნიშნავს პარაფირება? ათასგვერდიანი ხელშეკრულება თითქმის არავის წაუკითხავს, დეტალურად არც მე ვიცი, თუმცა ვიცი, რომ მასში წერია ის ვალდებულებები, რომლებიც საქართველომ უნდა შეასრულოს.

**პარაფირება არის ორი ტექსტის შეთანხმება და შეჯერება. მე გაოცებული დავრჩი, როდე-** ▶

**ქართველთა დიდი ნაწილი შეუგნებლად ევროპის მომხრეა, ხოლო ნაწილი, ასევე შეუგნებლად, — რუსეთის მომხრე. ქვეყანაში არ დარჩნენ ადამიანები, რომლებიც საქართველოს მომხრეები არიან**



# გულბაათ რცხილაძე: ლიტვასა და ლატვიაში საშუალო ხელფასი 400-500 ევროა და, 300 ევრო რომ მხოლოდ შუქისა და გათბობის გადასასახადი მოგივა, როგორია?

**ევრაზიის ინსტიტუტი რუსეთ-საქართველოს დაახლოების მიზნით სახალხო მოძრაობას იწყებს. უკვე დიდი ხანია, რაც აღნიშნულ საკითხზე ორგანიზაციის წევრები მუშაობენ. მათი ინიციატივით, საზოგადოებრივი დისკუსიაც არაერთხელ გაიმართა. რა სიახლეს სთავაზობს ევრაზიის ინსტიტუტი ამჯერად საზოგადოებას? სამომავლო გეგმებისა და ინიციატივების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი, პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძე ესაუბრა.**

— რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე, დაახლოებით 14 წელიწადია, აქტიურად ვმუშაობ, ვწერ, ვსაუბრობ, ღონისძიებებს ვმართავ. თუმცა ამჯერად ევრაზიის ინსტიტუტში გაჩნდა სახალხო მოძრაობის დაწყების იდეა, რომლის მიზანიცაა, ხალხს დაუთმოს ტრიბუნა. ეს არის უნიკალური პროექტი, რომელიც საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გაწევრიანდეს ჩვენს ორგანიზაციაში და გამოთქვას საკუთარი აზრი, უჭერს თუ არა მხარს რუსეთთან ურთიერთობის ინტენსიფიკაციას.

**— საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ „რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა არ გამოვა, სანამ საქართველოს 20% ოკუპირებულია“. როდესაც რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაზე საუბრობთ, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ტერიტორიების დაბრუნების გარეშე ამ ურთიერთობის აღდგენა?**

— არ ვიცი, რატომ აკეთებს ქალბატონი მაია ასეთ განცხადებებს, მეორე მინისტრიც მყავს ასეთ სიცხარეში შემჩნეული ალექსი (ბუკა) პეტრიაშვილი და ეს ორი მინისტრი ამ მიმართულებით რატომღაც ძალიან აქტიურობენ და, ალბათ, სჯობს, პრემიერსა და პრეზიდენტს წინ ნუ გადაასწრებენ, ვინაიდან ღარიბაშვილიცა და მარგველაშვილიც ძალიან ზომიერები არიან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ არის რუსეთის ფედერაციის ნაწილი. ეს ტერიტორიები რუსეთს თავის საკუთრებად არ გამოუცხადებია. რუსეთმა, უბრალოდ, აღიარა მათი დამოუკიდებლობა, რადგან სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რათა ეს მომხდარიყო. მან აიძულა რუსეთი, ასე მოქცეულიყო. ამიტომ იმის თქმა, რომ რუსეთმა წაგვართვა ტერიტორიები ცოტა დილეტანტური საუბარია. იურიდიულად ასე არ არის. ჩვენ ეს უნდა დავინახოთ და პროვოკაციას არ უნდა წამოვეგოთ.

დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა არანაირ აღიარებას არ ნიშნავს. თუ ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შესაბამის განცხადებაში ისეთ დეკლარაციას მოაწერენ ხელს, რომელშიც დაფიქსირებული იქნება, რომ ეს პრობლემა არსებობს და ერთი მხარე არ ცნობს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობას, მეორე მხარე კი ცნობს, მაგრამ, ვინაიდან მხრეები აცნობიერებენ, რომ აუცილებელია დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, რადგან საქართველოს და რუსეთს სხვა საკითხებში კონფლიქტი არ აქვთ, ამ საკითხის ლოკალიზება უნდა მოხდეს. დიპლომატიური ურთიერთობა აღდგეს კულტურული, ჰუმანიტარული, ეკონომიკური, პოლიტიკური მიმართულებით.

**— ევროკავშირმა საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის დაჩქარება გადაწყვიტა. რას მოუტანს ეს საქართველოს?**

— საქართველო ამით არაფერს არ მიიღებს. ახლახან გამოჩნდა, რომ ევროკავშირი ბანკროტია, ის კრედიტს ვერ აძლევს უკრაინას. ამ შემთხვევაში რუსეთი აბსოლუტურად გამარჯვებული გამოვიდა. მე ტრაგედიას ვერ ვხედავ ამ ასოცირების ხელშეკრულებაში. კი, ბატონო, თუ მთავრობას სურს, წავიდეს ამ გზით, მაგრამ ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვისაუბროთ, ევროკავშირი გვინდა თუ რუსეთის საბაჟო კავშირი, ჯერ უნდა გავაცნობიეროთ, რა მოგებას მივიღებთ ან ერთისგან ან მეორისგან და შესაბამისად მოვიქცეთ. ჩვენთან ასე არ ხდება: თუ მთავრობა დაგვიმტკიცებს, რომ ეს უკეთესია საქართველოსთვის, კი, ბატონო; ხოლო, თუ ისეთი გენიალური მთავრობა გვეყოლება, რომ ორივეს შეუთვსებს ერთმანეთს, მთლად უკეთესი იქნება.

**— თქვენ გაქვთ ურთიერთობა ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან, რომლებიც უკვე არიან ევროკავშირის წევრები. რამდენიმე ხნის წინ თბილისშიც მოიწვიეთ ისინი. რა მოუტანა მათ ქვეყნებს ევროკავშირში გაწევრიანებამ?** ▶

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტიკაში მოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც იგივე შეცდომები დაუშვეს და გაიმეორეს, რომლებიც „ნაციონალების“ დროს იყო. მათ გზადაგზა დაიწყეს ქვეყნის მართვის სწავლა. ივანიშვილმა ერთგული ადამიანებით დააკომპლექტა მთავრობა, მაგრამ ერთგული ადამიანი არ ნიშნავს, რომ ის საქმის მცოდნეა და პროფესიონალი.**

** საც რამდენიმე პარლამენტარმა განცხადება გააკეთა, რომ ამ ტექსტში შესაძლებელია ცვლილებების შეტანაო. პარაფირების ტექსტში ცვლილებების შეტანა შეუძლებელია.**

**თუ ჩვენ გვინდა ევროკავშირში შესვლა, მაშინ ეს სასიხარულო ფაქტი იყო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩვენ უნდა დავიცვათ სექსუალური უმცირესობების უფლებები. ევროკავშირში არასოდეს მიგვიღებენ ამის გარეშე.**

**— თუ ტექსტი არ წაგიკითხავთ, რა იცით, რომ ამაზეა საუბარი?**

— ვიცი, ეს სტანდარტულია. ამას გარდა, იქ საუბარია თურქი მესხების ჩამოსახლებასა და რეგიონული ენების სტატუსზე.

**— თუ ჩვენ ეს პირობები არ შევასრულეთ და ქართველი ხალხი ამაზე თანახმა არ იქნება, ასოცირებას ხელს მოვაწერთ?**

— კი, **ასოცირებას ხელს, ალბათ, ივლისში მოვაწერთ, მაგრამ ეს ნუ შეგვაშინებს, რადგან ასოცირებიდან წევრობამდე ასკილომეტრიანი გზა გვაქვს გასავლელი.**

**დიდი ხანია, რაც ისლანდიამ ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა, მაგრამ ვიდრე უკრაინა მიიღებდა გადაწყვეტილებას, რეიკიავიკმა უკან გამოითხოვა თავისი განცხადება და მოლაპარაკება შეაჩერა, რადგან ევროკავშირმა 2 500 მოთხოვნა ხელახლა წაუყენა.**

**— ბევრი ქვეყანა, რომლებიც ევროკავშირის წევრია, დღეს უმუშევრობას უჩივის, ბევრმა გადაწყვეტილება მიიღო, რომ საერთოდ უარი თქვას ევროკავშირზე, ახლა ამ ქვეყნების ჩამოთვლას არ დავიწყებ, თქვენ უკეთ იცით. დადგება თუ არა დღე ჩვენს ცხოვრებაში, როდესაც სომხეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის გზას დავადგებით?**

— კვიმატი შეკითხვაა და მტკივნეულიც. ევროკავშირში როდესაც წევრიანდება ესა თუ ის ქვეყანა, პირველ პერიოდში ეკონომიკა ეცემა. ევროკავშირს აქვს ასეთი წესი: ის დიდ დახმარებას უწევს ახლადგაერთიანებულ ქვეყნებს, მაგალითად, კვიპროსს ორი მილიარდი უცებ მისცეს, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც ევროკავშირი ფულში იხრჩობოდა. დღეს კი, გერმანია რომ არ დახმარებოდა, საბერძნეთი გაკოტრებული იყო.

**ახლახან შტეფან ფულე გამოვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ ჩვენ არ გვაქვს ფული, რომ უკრაინას დავეხმაროთ. უკრაინას რუსეთი მიხედავს და შეინახავს კიდეც. ჩვენ რა უნდა ვქნათ?**

2013 წელი იმედებისა და მოლოდინის წელი იყო. იმედი რეალობას ყოველთვის წინ უსწრებს. რასაც ველოდით, ის ნამდვილად არ მოხდა.

**— რას ელოდით?**

— ველოდი, რომ რუსეთის მიმართულებით სერიოზული გარღვევა მოხდებოდა. ევროკავშირი კარგია და პირადად მე ის ადამიანი ვარ, რომელსაც ეს სურს, თუმცა სხვაზე უკეთ ვიცი, რომ ევროკავშირში არ მიგვიღებენ.

ეს წელიწადი კი იყო წარმატებულიც და წარუმატებელიც. ის, რომ ღიად ვსაუბრობ და დაჭერის არ მეშინია, უკვე კარგია.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

— ისტორიულად ბალტიისპირეთი მაინც ყოველთვის ევროპის ნაწილი იყო. ჩვენ ჩამოვიყვანეთ კიდეც მათი წარმომადგენლები და უშუალოდ მათგან მომისმენია, რა პრობლემებიც აქვთ. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, მათ სერიოზული პრობლემები გაუჩნდათ, გაძვირდა ცხოვრება. მაგალითად, ლიტვასა და ლატვიაში საშუალო ხელფასი 400-500 ევროა და, 300 ევრო რომ მხოლოდ შუქისა და გათბობის გადასახადი მოგივა, როგორია? არადა, ლიტვას ჰქონდა თავისი ატომური ელექტროსადგური, რომელიც მთელ ლიტვას ამარაგებდა და ექსპორტზეც გადიოდა ელექტროენერგია, თუმცა ევროკავშირმა გააჩერებინა მას ეს ატომური ელექტროსადგური და თავის ელექტროენერგიაზე დამოკიდებულად აქცია, ანუ კონკურენტი მოიშორა, სამაგიეროდ, საშინელ ფასად ყიდიან ლიტვაზე ამ ელექტროენერგიას. ამან ლიტვაში არეულობა გამოიწვია. 2009 წელს ხალხი გამოვიდა ქუჩაში, ასევე — ლატვიაში, სადაც რამდენიმეჯერ გადადგა მთავრობა. რიგას რომ გასცდებით 50 კმ რადიუსით, ვერ იგრძნობთ, რომ ეს ევროკავშირის ქვეყანაა. გაპარტახებულია მეურნეობა. მაგალითად, ლატვიას ჰქონდა საზღვაო-სათევზაო ფლოტი, რომელიც ჯართად გაყიდეს, მაშინ, როცა დიდძალი შემოსავალი ჰქონდა აქედან ლატვიას. ყოველი საწარმოს დახურვის შემდეგ ხალხს ტაშს აკვრევინებდნენ, რადგან, როგორც ჩანს, ფარულად ამ ხალხში კომუნიზმისკენ ლტოლვა იყო გამჯდარი — სურთ, არ იმუშაონ და კარგი ცხოვრება ჰქონდეთ. ჩვენთანაც უნდათ, რომ ევროკავშირმა გვარჩინოს. იმიტომ უნდათ ევროკავშირი. მცდარია ასე ფიქრი, არავინ გარჩენს.

ბულგარეთი და რუმინეთი 2004 წლიდან არიან ევროკავშირში, არ ვიცი, რამე უკეთესობა თუ დაეტყო ამ ქვეყნებს. ინტერნეტში უამრავი რეპორტაჟია და ნახავთ, როგორ ცხოვრობს ეს ხალხი. არაფერი პოზიტიური იქ თითქმის არ ხდება.

**— მოგეხსენებათ, აზერბაიჯანმა და უკრაინამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებაზე უარი განაცხადეს. გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელი რუსეთის მიერ ინიცირებულ საბაჟო კავშირში გაწევრიანებას აპირებს. რა გავლენას მოახდენს ეს ყველაფერი საქართველოზე?**

— თუ ალექსი პეტრიაშვილსა და მაია ფანჯიკიძეზე იქნება დამოკიდებული, ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს და, თუ მთავრობა გონივრულად იმოქმედებს, რაღაც დასკვნებს, ალბათ, გააკეთებს.

ესაუბრა **შორენა ცივქარაშვილი**

მამუკა არეშიძე:

# პარაფირებამ მუსლიმანი მესხების ჩამოსახლების საკითხი გაააქტიურა

**„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის სრული ერთი წელი მიითვალა. ამ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი რამ მოხდა: ჩატარდა საპრეზიდენტო და შუალედური არჩევნები, წავიდა ივანიშვილი და დაგვიტოვა ახალი პრემიერი, გარღვევა მოხდა რუსეთთან ურთიერთობაში, ხელი მოვაწერეთ ევროპასთან ხელშეკრულების ასოცირების პარაფირებას, ხალხს მაინც აქვს შეგრძნება, რომ ქვეყანას მთავრობა არ ჰყავს, რადგან არ აღდგა სამართლიანობა, უფრო მეტიც, არც აპირებენ ამის გაკეთებას, ციხეებში კვლავ სხედან უდანაშაულო ადამიანები, მთავრობა თავისი გადაწყვეტილებების თაობაზე ხალხს ინფორმაციას ისევ არ აწვდის, ისევ მოუწესრიგებელია ჯანდაცვის სფერო, მძვინვარებს უმუშევრობა, ისევ მაღალია კომუნალური გადასახადები და ა. შ. მოკლედ, ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.**

**რამ გამოიწვია ხალხის იმედგაცრუება? რას უნდა ველოდოთ მომავალში, რა სასიკეთო ნაბიჯები გადაიდგა 2013 წელს? შესაძლებელია თუ არა, რომ წარმატებულად ჩავუთვალოთ „ქართულ ოცნებას“ განვლილი 2013 წელი? ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიო“ ექსპერტს კავკასიის საკითხებში — მამუკა არეშიძეს ესაუბრა.**



**— ბატონო მამუკა, გავიხსენოთ 2013 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა...**

— ძირითადად, მინდა ვილაპარაკო დაპირებებზე, რომლებმაც გარკვეულწილად „ოცნების“ გამარჯვებას ხელი შეუწყო: ღირსების დაბრუნება, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ დაპირებების პარალელურად ივანიშვილი სულ ამბობდა, რომ პირველი წელი იქნება რთული, მეორე — უკეთესი და ა. შ. ის, რომ პოლიტიკიდან წავიდოდა, პირადად მისგან, ხშირად მომისმენია, პროტესტის გრძნობაც სულ მქონდა და ვფიქრობდი, რომ მას მყარი საფუძველი უნდა ჩაეყარა თავისი დაპირებების შესრულებისთვის და მერე წასულიყო. **სამწუხაროდ, ივანიშვილი ისე წავიდა, რომ ბაზა არ შეუქმნია, ჩემი მთავარი პრეტენზიაც მის მიმართ სწორედ ეს არის.**

სამართლიანობის აღდგენის პროცესს ხელი შეუშალა გაუთვალისწინებელმა ფაქტორებმა. ეს არის დასავლეთის პოზიცია, რომლის გაუთვალისწინებლობაც შეუძლებელი იყო, ისევე, როგორც შეუძლებელი იყო, გვცოდნოდა იმ ფარული სქემების თაობაზე, რომლებიც საქართველოს ეკონომიკაში ხდებოდა. **მაგალითად, წარმოდგენა არ გვქონდა, რომ უცხოურ კომპანიებს სახელმწიფოს წინაშე, თავისი პირდაპირი მოვალეობების გარდა, სხვა ვალდებულებებიც ჰქონდათ, მათი სახსრები სხვა მიმართულებითაც იყო გადასროლილი. „სოკარმა“ არჩევნების შემდეგ განაცხადა, რომ ის მონაწილეობდა ინფრასტრუქტურულ პროექტებში.** მას წინა ხელისუფლებამ სხვა პრეფერენციები გაუჩინა, რაც არჩევნების შემდეგ ახალ ხელისუფლებას წარუდგინა. შეუძლებელია, ყველაფერი ეს „ქართულ ოცნებას“ სცოდნოდა. ასე მოხდა ბიუჯეტში არსებულ თანხებთან დაკავშირებითაც. ახალ ხელისუფლებას ბევრი წყალქვეშა დინება დახვდა, რამაც ხელი შეუშალა და მანევრის საშუალება არ მისცა. დასავლეთის მყარმა პოზიციამ, რომელსაც ლობისტური კომპანიები აწარმოებდნენ და რაშიც დიდი წვლილი „ნაციონალებს“ მიუძღვით, იმაზე მეტყველებს, რომ კარგად მუშაობდნენ. მათ ყველაფერი ჰქონდათ გაკეთებული, რათა არ დამდგარიყო იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს.

**„ქართული ოცნება“ მზად არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამ სიტუაციას გამკლავებოდა, მას საამისოდ კადრებიც არ ეყო, არც კომპეტენცია. „ქართულმა ოცნებამ“ ტყუილად შეწყვიტა ლობისტური კომპანიების მუშაობა, როცა მიხვდნენ, რომ შეცდომა დაუშვეს, აღადგინეს, მაგრამ უკვე ბევრი დრო იყო დაკარგული. ამის გამო მივიღეთ ეკლექტური მდგომარეობა როგორც ყოველდღიურ ყოფაში, ისე ეკონომიკაში, პოლიტიკაში, ასე ვთქვათ, დაშლილი სახელმწიფო მივიღეთ.**

**— საკმაოდ პატივსაცემი ადამიანებისგან მოვისმინე ასეთი სიტყვები: ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს.**

— **საქმე ისაა, რომ პოლიტიკაში მოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც იგივე შეცდომები დაუშვეს და გაიმეორეს, რომლებიც „ნაციონალების“ დროს იყო. მათ გზადაგზა დაიწყეს ქვეყნის მართვის სწავლა. ივანიშვილმა ერთგული ადამიანებით დააკომპლექტა მთავრობა, მაგრამ ერთგული ადამიანი არ ნიშნავს, რომ ის საქმის მცოდნეა და პროფესიონალი. არადა, საქართველოში არის პროფესიონალი ადამიანების რესურსი, მაგრამ ივანიშვილი საპირისპიროში დაარწმუნა მისმა გარემოცვამ.** შესაძლებელია, პატიოსნები არიან, მაგრამ პატიოსნებას პროფესიონალიზმიც სჭირდება. **დღეს ხელისუფლებაში პროფესიონალიზმის დეფიციტია.**

**— ბატონო მამუკა, გადავიდეთ საგარეო პოლიტიკაზე. რა მოხდა საინტერესო?**

— ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება ჩვენი ქვეყნისთვის საინტერესო იყო, სხვა საქმეა, როგორ გამოიყენებს ამას საქართველო. ეს ხელშეკრულება, მგონია, რომ კარგი სავაჭრო თემა უნდა გახდეს. ჩვენ შეგვიძლია ევროპასთანაც და რუსეთთანაც ერთნაირად ვივაჭროთ. პოლიტიკაში ასე ხდება. იანუკოვიჩმა გადააჭარბა. ის რასაც აპირებდა, გვეგონა, ორი თვის წინ გააკეთებდა, მაგრამ ბოლომდე მიიყვანა საქმე და დავეჭვდით, მართლა ხომ არ წავიდოდა ევროპისკენ? მას ეს ნაბიჯი თავის დროზე რომ გადაედგა, მაედანი არ ექნებოდა და იმავეს მაინც მიიღებდა. იანუკოვიჩმა ვერ ივარგა.

**— ჩვენები ივარგებენ?**

— ეს სხვა საქმეა, დრო გვიჩვენებს. ჩვენი აქტივობა ორივე მხარეს განსაკუთრებული ვალდებულებების გაჩენას მოგვიტანს. პირადად მე დასავლური ორიენტაციის ვარ, მაგრამ მინდა საზოგადოებამ იცოდეს, ყველაფერს თავისი ფასი აქვს. **დასავლური ორიენტაციის შემთხვევაში ჩვენ ჩვენი ვალდებულებები გვაქვს. პარაფირებამ მუსლიმანი მესხების ჩამოსახლების საკითხი გაააქტიურა. საქართველოს ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაჭრილი აქვს, მაგრამ ბევრიც გასაკეთებელია... მეორე არის რეგიონული ენების სტატუსი, მზად ვართ ამის მოსაგვარებლად?** გარდა ამისა, არის თავისუფალი ბაზრის საკითხი, რისთვისაც საჭიროა, რომ ჩვენი ეკონომიკა ფეხზე მყარად იდგეს, არ ვიყოთ გათელილები და არ დაგვემართოს ის, რაც დაემართა ლატვიას, რუმინეთს, ჩვენ სლოვენიასავით ძლიერი უნდა ვიყოთ. ვართ თუ არა მზად ამ ყველაფრისთვის?

**ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების სურვილს აცხადებს სირია, ასევე ამერიკის მოკავშირე ისრაელი, ამ სიტუაციაში კი გვმართებს, ყველაფერი კარგად გავთვალოთ, მარტო დასავლეთის ყურება არ არის სწორი, არც მხოლოდ რუსეთისკენ ყურებაა მართებული. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რა არის საქართველოსთვის მომგებიანი და არა ის, რომ ვიძახოთ — ჩვენ ასე გვინდა! იქნებ დღეს ყველაზე მომგებიანია, რომ პაუზა გავაკეთოთ და ვივაჭროთ, დრო გავწელოთ?!**

ევრაზიული კავშირის დოკუმენტებში, რომლებიც უკვე შექმნილია, გაწერილია, რომ საქართველო 2018-19 წლებში ამ კავშირის წევრი გახდება, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს საქართველოს ამ რელსებზე დასაყენებლად. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვამბობ, რომ იქნებ პაუზა და დაფიქრება ჯობია?!

**— როგორ ფიქრობთ, გუნდი, რომელიც საგარეო პოლიტიკას ხელმძღვანელობს, ამდენ გათვლას გააკეთებს?**

— თქვენი კითხვა იმას გულისხმობს, რომ ეჭვი გეპარებათ და ისინი ამას ვერ გათვლიან. მეც ეჭვი მეპარება. ეჭვი შემაქვს იმ რესურსზე და იმ ადამიანების პოტენციალში, რომლებიც დღეს ამ საკითხებზე მუშაობენ.

მარტო მუშაობა მომწყინდა. უნდა შეიქმნას არასახელმწიფოებრივი ორგანო, ინსტიტუტები უნდა შეიქმნას. სომხეთში არსებობს ასეთი ინსტიტუტი — „კავკასიის კვლევის ინსტიტუტი“, მასში უამრავი ხალხი მუშაობს. ასეთი ინსტიტუტები არსებობს რუსეთშიც, ჩვენთან კი არა, მხოლოდ ერთი — საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობს. არადა, საქართველოში აუცილებელია კავკასიის საკითხების შემსწავლელი ორგანიზაციების არსებობა. დღეს ვინმემ იცის, რა პოლიტიკა უნდა გატარდეს ისლამთან დაკავშირებით? ძალით სიტუაციის დაჭერა ვერაფერს მოგვიტანს. ქვეყანაში არიან მუსლიმანები, რომლებიც მზად არიან, საქართველოს სამსახურში ჩადგნენ.

**ამ წელს წარმატებულს ვერ დავარქმევ. ვერც იმას ვამჩნევ, რომ მომავალი წელიწადი უკეთესი იქნება, ეკონომიკური გარდატეხის ბაზას ვერ ვხედავ. ღარიბაშვილის პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ გამოუცდელია, მას უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია, ის არის ურთულეს რეგიონში უმძიმესი სტრუქტურის მქონე ქვეყნის ხელმძღვანელი.**

თებერვალში დავოსში კონფერენცია გაიმართება. მაინტერესებს, რა წინადადებებით, როგორი პაკეტით წავა პრემიერი და იქიდან რას ჩამოიტანს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

საქართველო და მსოფლიო
ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმის გამო, რომ ოპოზიცია ჯამში ვერ მიიღებდა საკმაო ხმებს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სიტუაცია ჩიხში შევიდა, სისტემა დინამიკას ველარ მართავდა, ხოლო პროექტი „დემოკრატიის შუქურა“ და პროექტი „ფერადი რევოლუციები“ სწორედ ამისთვის იყო დაწერილი, რომ მუდამ ყოფილიყო დემოკრატიული არჩევნების ილუზიები.**

# რატომ შემოვიდა ივანიშვილი პოლიტიკაში, რატომ შემოიკრიბა დისკრედიტებული პოლიტსუბიექტები და რატომ გავიდა ნაადრევად თამაშიდან?

**კონფიდენციალურმა წყარომ „საქართველო და მსოფლიოს“ მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქართულ პოლიტიკაში, კულუარებში, სერიოზული დაძაბულობაა, რომელიც ჯერ კიდევ 2012 წელს დაიწყო და რომლიდანაც გამოსავალი დღესაც არ არის მოძებნილი (წყარო „ქართული ოცნების“ ზედა ეშელონების წარმომადგენელია, რომელიც ვინაობას თავისი უსაფრთხოების დასაცავად არ ამჟღავნებს, ერთადერთი, რისი თქმის უფლებაც მოგვცა, არის ის, რომ უშუალო თანამონაწილეა ყველა პოლიტიკური პროცესის 2012 -დან დღემდე). წყარო გვთავაზობს დღევანდელი პროცესების ახსნას, გვიმხელს ყველაფერს, რაც იცის. ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ გადაწყვიტა, მაინცდამაინც ახლა ამ ყველაფრის მოყოლა, მისი პასუხი ასეთია — „კოაბიტაციის დამთავრებას არ დაადგა საშველი და საზოგადოებამ ახლა მაინც უნდა გაიგოს სიმართლე“...**



— გაინტერესებთ, რეალურად რატომ შემოვიდა ივანიშვილი პოლიტიკაში, ამ ბინძურ თამაშში, ან რატომ გავიდა ნაადრევად? რატომ შემოიკრიბა დისკრედიტებული პოლიტიკოსები? საიდუმლო ძალიან მარტივია — **სინამდვილეში საქართველოში შეიქმნა პოლიტიკური სისტემა, რომელიც არ არის დასავლური ტიპის დემოკრატიული, არამედ ე. წ. იმიტაციური დემოკრატიის სისტემაა, სადაც უნდა არსებობდეს ორპარტიული სისტემა — მმართველი პარტია და მართული ოპოზიცია.** მოიაზრება, აგრეთვე, ამ მართული ოპოზიციის მართული საპირწონე ე. წ. არასაპარლამენტო ოპოზიცია. ყველა პოლიტიკოსი უნდა იყოს მართული, ასევე მართული უნდა იყოს საინფორმაციო საშუალებები და ფინანსური ნაკადები. ბუნებრივია, სააკაშვილის რეჟიმს კარგად ესმოდა ეს მოთხოვნები, თავიდან ამ სქემის ფარგლებში კარგად მუშაობდა, ბოლოს კი ველარ „გაქაჩა“. ხალხიც ველარ ეგუებოდა „ნაციონალთა“ რეჟიმს, ასევე გასაგები გახდა ოპოზიციის როლიც – ჩვენი ე. წ. ოპოზიციის სრული დისკრედიტაცია მოხდა. **იმის გამო, რომ ოპოზიცია ჯამში ვერ მიიღებდა საკმაო ხმებს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სიტუაცია ჩიხში შევიდა, სისტემა დინამიკას ველარ მართავდა, ხოლო პროექტი „დემოკრატიის შუქურა“ და პროექტი „ფერადი რევოლუციები“ სწორედ ამისთვის იყო დაწერილი, რომ მუდამ ყოფილიყო დემოკრატიული არჩევნების ილუზიები.** პროექტი საფრთხის წინაშე დადგა — მოსალოდნელი იყო ხალხის არჩევნებზე არ მისვლა ან რევოლუცია (უკვე უმართავი), შესაბამისად, რაღაც უნდა ელონათ და იმ მართულმა ჩრდილოვანმა და კონცეპტუალურმა მთავრობამ, რომელსაც საქართველოში ევალება პოლიტიკური სცენარების დამუშავება, ახალ სქემას მიმართა.

**— და კონკრეტულად ვის ევალებოდა პოლიტიკური სცენარების დამუშავება?**

— კონცეპტუალურ მთავრობას თავისუფლების ინსტიტუტი წარმოადგენს: გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი... მათ პირდაპირი კავშირი აქვთ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსთან (ისინი ნაწილობრივ ჯერ კიდევ მიშას ხელით მართავდნენ ქვეყანას), ესენი მის ფილიალს წარმოადგენენ. არ აგერიოთ ცეერუში, ამერიკის უსაფრთხოების სააგენტოა. ეს სააგენტო ამერიკის კონგრესის წინაშე ანგარიშვალდებული არ არის. ის ბილდერბერდის კლუბს, სამასთა კომიტეტსა და ფედერალურ რეზერვს ემსახურება. ამერიკის მთავრობასაც კი არ ექვემდებარებიან, წარმოადგენენ ე. წ. ნეომუნდიალისტებს, მსოფლიო გლობალისტებს და მათი იდეოლოგიაა ეს ნეოლიბერალიზმი. ეს არის პირდაპირ მესამე ქვეყნების მართვის ინსტრუმენტი. მილიარდერებსაც აკონტროლებენ, როდესაც სჭირდებათ, იყენებენ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის. ჰოდა, სწორედ ამ კრიზისის დასაძლევად მოხდა შეთანხმება ივანიშვილთან, მას უნდა მოეხდინა მართული ოპოზიციის გათეთრება, შეეყვანა ისინი პარლამენტში, როგორც რეალური ოპოზიცია. დიახ, ეს პირდაპირი დავალება იყო და მას ამისთვის დაჰპირდნენ რუსეთიდან გარკვეული კაპიტალის გამორიდებასა და ამერიკულ კრიშას. ვინ იყო შუამავალი მათ შორის? — ბოკერია. ის იყო ამ სქემის გამტარი. შეთანხმების დეტალები როგორი იყო? — შეთანხმება გულისხმობდა პროპორციას 40X60-ზე, არჩევნებზე 40% — „ოცნებას“, 60% — „ნაცებს“.

**— ივანიშვილს რაში სჭირდებოდა პოლიტიკა, ხომ შეეძლო, მილიარდერ ქველმოქმედად დარჩენილიყო?**

— ივანიშვილს არავინ ეკითხებოდა, შემოვიდოდა თამაშში თუ არა, ეს იყო მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობაც შეუძლებელი იყო. ამავე დროს, ჩადებული იყო ბიძინას პიროვნული ინტერესებიც, მისი ოჯახის უსაფრთხოება, ასევე კაპიტალის უსაფრთხოება. როგორც გითხარით, შეთანხმების არსი მდგომარეობდა პოლიტიკური პროცესის მოჩვენებითი დინამიკის შექმნაში, რომელიც უნდა ეკისრა ბიძინას, ამისთვის ის პროპორცია იყო შეთავაზებული, რომელზეც ივანიშვილი თანახმა იყო, სააკაშვილი — არა. ამ სქემას ხელს უწყობდა პიროვნული კონფლიქტიც, რომელიც ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის იყო, სააკაშვილი ეჭვიანობდა, ამბობდა, 24%-ზე მაღალი შედეგი არ დაუწერონო. ეს იყო მიშას პირობა, თუმცა ამის წინააღმდეგი იყო ბოკერია, რომელიც ამბობდა, რომ **ამ შემთხვევაში მძიმე იქნებოდა ეფექტი მოსახლეობისთვის, ამიტომ ბოლო წინადადება, რომელზეც მიშაც დაითანხმეს, იყო 32% — „ოცნებას“, 8% — სხვა პარტიებს, დანარჩენი — „ნაცებს“. შემდეგ დაგეგმილი იყო ივანიშვილის მიერ ოპოზიციის ფორმირება, რის შემდეგაც ბიძინა განაცხადებდა, რომ მიაღწია დიდ წარმატებას — საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა და მისი აღიარების მერე ხალხიც ხმას აღარ ამოიღებდა; საქართველოს მიულოცავდნენ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას აშშ და სხვა ქვეყნები და გაგრძელდებოდა „ნაცების“ მმართველობა, იმ განსხვავებით, რომ 2000-კაციანი დასაჭერი სია უკვე გამზადებული ჰქონდათ და ის აქტიური „მეოცნებეები“, რომლებიც ამას არ შეეგუებოდნენ, აღმოჩნდებოდნენ მე-8 საპყრობილეში.** ვიმეორებ, 2000 კაციანი სია არსებობდა და ამის შესახებ კარგად იცის დღევანდელმა ხელისუფლებამ. აი, ასეთი უზნეო გარიგება დაიდო ხალხის ზურგსუკან.

**— ხალხი ასე ადვილად სამართავი ეგონათ?**

— მიმდინარეობდა კიდეც საზოგადოებრივ აზრზე გარკვეული ზემოქმედება... ეს ყველაფერი იცოდა მხოლოდ ვიწრო წრემ, სხვები გაოგნებულნი იყვნენ ბიძინას სვლებით, ხვდებოდნენ, გამარჯვების არანაირი შანსი არ იყო იმ ტემპებით, თუმცა მაინც შეჰყურებდნენ, როგორც მხსნელს, მამასა და მარჩენალს. და მოხდა სასწაული, ვგულისხმობ, ციხის კადრების გასაჯაროებას. დამიჯერეთ, არავინ იცოდა, რომ მზადდებოდა გარკვეული ინფორმაციული დარტყმა, რომელსაც „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ჯგუფი ამზადებდა. მეცინება, რომ ამბობენ, ბიძინამ იცოდა, რაც დაიდებოდაო. ვიმეორებ: ყველასთვის მოულოდნელი იყო იმ კადრების დადება და, როდესაც ეს გასკდა ბომბასავით, ყველა დაიბნა. შემდეგ სახალხო მღელვარების პირობებში აშშ-ის ელჩმა ახალი კონფიგურაცია შექმნა: დაალაგა 40X60-ზე, ოღონდ პირიქით — რეალურად „ნაცებს“ 15% არ აულიათ. აი, ეს გამოიწვია მოულოდნელად ციხის კადრების გასაჯაროებამ. ახლა კი ხედავთ, ბიძინამ რაც გააკეთა — შეასრულა დავალება, შეინარჩუნა „ნაცები“. პირდაპირ ვამბობ: უამრავი კადრი აქვთ ადამიანის გაუპატიურების, მკვლელობის, თუნდაც ერთხელ რომ მოეხდინათ ამ კადრების დემონსტრირება, „ნაცების“ ამბავი დამთავრებული იქნებოდა, მაგრამ ეს არ გააკეთეს. ვერც გააკეთებდნენ, რადგან ასეთი არ არის მათი მფარველის — ამერიკის უსაფრთხოების სააგენტოს ნება. დიახ, ყველა დეპუტატზე, გარდა რამდენიმესი, არსებობს კომპრომატები. გადაღებულია, რომ ვიღაცას აქვს სექსუალური კავშირი თავის ძმაკაცის ცოლთან, არის უამრავი მამათმავალი და ა.შ. ასეთებს აწინაურებენ, რატომ? იმიტომ, რომ ასეთები სჭირდებათ, მორჩილი ხალხია. სადეპუტატო კორპუსი მართული უნდა იყოს, ეს ამ სისტემის აუცილებელი პირობაა. აი, ეს იყო ბიძინას პოლიტიკურ ველზე ელვისებური შემოჭრისა და გაქრის საიდუმლო. უნდოდა თუ არა წასვლა? დიახ. ბიძინა ოკულტიზმითაა გატაცებული, თავი არხარი ჰგონია და ამ არხარობის ხარისხი გულისხმობს იმას, რომ ფარულად უნდა მართოს პოლიტიკური პროცესი. წაკვეთილი პირამიდაა, პირამიდის თავზე არიან ეს მარიონეტები, ის კი კულისებიდან მართავს მათ. საპრეზიდენტო ხელისუფლება, რომელიც ნომინალურია იმავე სააგენტოს წარმომადგენლის — მარგველაშვილის ხელშია. უსუფაშვილიც იმავე სააგენტოს წარმომადგენელია, რომელიც ყველაზე გავლენიანი ფიგურაა დღეს საქართველოში. შუაშია გაჩხერილი ღარიბაშვილი, რომელიც მათი გუნდის წევრი არ არის და ამ მოვლენებზე არავითარი წარმოდგენა არ აქვს (გამოცდილებაც არ აქვს), შესაბამისად, მალე დაეცემა, მსხვერპლი გახდება ამ ორი ფიგურის, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლება გულისხმობს პასუხისმგებლობას. **ღარიბაშვილმა საქმე უნდა აკეთოს, მაგრამ საქმეს არავინ გააკეთებინებს. ცოტა ხანში მას და მის ძალოვან ბლოკს მოუწევს, ამათი მხრიდან საკუთარ თავზე განიცადოს საინფორმაციო დარტყმების მთელი სიმწვავე.**

**— ეს დაძაბულობა რით დასრულდება?**

— ესენი საქართველოში გავლენას ბოლომდე მოიპოვებენ, თუ კვლავ არაპროგნოზირებული მოვლენები არ მოხდა. ვერ ხედავთ, ჯანსაღი ოპოზიცია განეიტრალებული ჰყავთ... თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ კონფლიქტი მოხდება... აქ მარტო ერთი მოთამაშე არ არის, მოთამაშეები ბევრია, აქტიურდება რუსეთიც, რომელიც არევს ამ პოლიტიკურ პასიანსს. ღარიბაშვილს დავუბრუნდეთ, მას მთლიანად ივანიშვილი მართავს. გაწირავს თუ არა? — არა, თუ საქმეს დასჭირდა, გვერდზე გაწევს. აქვე გეტყვით, ყველა ბიზნესს შსს აკონტროლებს — თამაზაშვილის გუნდი: ზედელაშვილი, ჭანყარაშვილი, მოადგილეები. რაც შეეხება სხვებს, ხუხაშვილმა რისხვა დაიმსახურა, ბევრი ფინანსები შეჭამა, უფრო მეტის გადაყლაპვა მოინდომა, ვიდრე მონელება შეეძლო. ნაცვლიშვილმაც. ნაცვლიშვილი დასაჭერად არის გამზადებული, ძალიან დიდ თანხებზეა ლაპარაკი, ჩხატარაშვილმა მის წინააღმდეგ უკვე ჩვენება მისცა. მას მალე დაიჭერენ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დატოვა. რესპუბლიკელები კი ცდილობენ, პოლიტიკური მეთოდებით ებრძოლონ შსს-ს, ბიზნესების კონტროლის გამო. თავად რესპები ელიტურ პოლიტიკურ კორუფციაში არიან ჩაფლულნი. მათი დაფინანსების წყაროები სხვა მხრიდანაა, ვერ დაიჭერ კორუფციაზე, სწორედ ამით არიან ძლიერნი. ისინი აკონტროლებენ და უნისონში მღერიან ლიბერალურ საინფორმაციო ქსელთან, რომლებისგანაც წამოვა დარტყმები აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, ვინაიდან, როგორც გითხარით, ისინი მათი გუნდის წევრები არ არიან.



**„საქართველო და მსოფლიოს“ კომენტარი ადვოკატ მამუკა ნოზაძეს სთხოვა:**

— უტყუარი ინფორმაცია მოუწოდებია თქვენს წყაროს. სწორედ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს დავალებით მოვიდა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში და მოიყვანა ხელისუფლებაში ამ სააგენტოს მიერ მართული ვაიპოლიტიკოსები. ეს სააგენტო, კარგა ხანია, მართავს ბოკერიასა და მის გუნდს, ყველასთვის ცნობილ თავისუფლების ინსტიტუტს. ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოა ის სამსახური, რომელიც უცხო ქვეყნებში თავისი ინტერესების გატარებას ცდილობს და, როგორც ხედავთ, ამას ჩვენს ქვეყანაში მშვენივრად ახერხებს. გარდა ამისა, ქმნის არასამთავრობო ორგანიზაციებს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოში აშშ-ის ინტერესების გამტარნი არიან. რაც შეეხება ნაცვლიშვილს, როგორც ამბობენ, თურქეთში იმყოფება, გაიქცა, რადგან, ჩემი ინფორმაციით, მთავარ პროკურორს მის მიმართ სერიოზული კითხვები აქვს, დიდი ფული აქვს შეჭმული, ადეიშვილის მეთოდებით მოქმედებდა, ატერორებდა ბიზნესმენებს.

ესაუბრა **ქეთი ხომერიკი**

**ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა, ქვეყანაში ისეთი გარემო შექმნას, რომელიც დოვლათის ჯეროვან ზრდას შეუწყობს ხელს. ხელისუფლებამ ისეთი სამეწარმეო ფონი უნდა შექმნას, რომ ნებისმიერი ბიზნესმენი დარწმუნებული იქნეს, რომ სახელმწიფოს „საჭიროებისთვის“ ბიზნესს არ წაართმევენ.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იოსებ არჩვაძე: გაისად მარტო ვალების მომსახურებაში 120 მილიონი აშშ დოლარის გადახდა მოგვიწევს

**წლის მანძილზე არაერთი კრიტიკა და შემაშფოთებელი პროგნოზი მოვისმინეთ ქვეყნის ეკონომიკური ვითარების გაუარესების, ინფლაციის, ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებასთან დაკავშირებით, თუმცა როგორი იყო მთლიანობაში 2013 წელი საქართველოსთვის და წლის ეკონომიკური ვითარება სამომავლოდ რამდენად საიმედო პროგნოზების საფუძველს გვაძლევს, „საქართველო და მსოფლიოს“ ეკონომიკის ექსპერტი, სტატისტიკის სპეციალისტი, პროფესორი იოსებ არჩვაძე ესაუბრა.**



— წლის მანძილზე, არსებული ეკონომიკური ვითარების გამო, ხელისუფლების მიმართ კრიტიკა მართლაც გვესმოდა, თუმცა ეს წელი შეიძლება უიმედობისა და პესიმიზმის დაძლევის წლადაც ჩაითვალოს. მართალია, ეკონომიკური ზრდის ტემპი არ იყო მაღალი, მაგრამ წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ ადგილი ჰქონდა დეფლაციას, ფასების შემცირებას, რითაც ყველაზე მეტად შედარებით დაბალშემოსავლიანმა ადამიანებმა ისარგებლეს. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ასეთი რამ არ მომხდარა. მთელ რიგ კომუნალურ გადასახადებზე — შუქზე, ბუნებრივ აირზე, განსაზღვრული კატეგორიის მოსახლეობისთვის ტარიფები შემცირდა. ასევე სოფლად მცხოვრებთათვის გარკვეული შეღავათი იყო სუბსიდირების განხორციელება. ამიტომ, როდესაც მოსახლეობის კეთილდღეობას ვითვლით, უნდა ჩავთვალოთ არამარტო ის თანხა, რომელიც უშუალოდ ხელზე მიიღო მოსახლეობამ, არამედ ის შეღავათები და სარგებელიც, რომლებიც არამონეტარული ფორმით განხორციელდა. მთლიანობაში 2013 წელს სოციალური კუთხით სერიოზულ შემობრუნების წლად შევაფასებდი. სახელმწიფო უფრო მეტ დახმარებას ავლენს სოციალური კუთხით, ვიდრე საქართველოს ეკონომიკას ამის შესაძლებლობა და რესურსი გააჩნია.

**— რაც შეეხება საგარეო ვალს, გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს ისედაც უამრავი ვალი ჰქონდა, საქართველოს საგარეო ვალმა ახალი ხელისუფლების პირობებში 13 მილიარდს მიაღწია. მილიარდობით ვალის პირობებში რა ელის სახელმწიფოს და დადგენილ სტანდარტებს აჭარბებს თუ არა ეს ვალი?**

— ეს ვალი არ არის მხოლოდ სახელმწიფო ვალი. უბრალოდ, უარყოფითი მხარე, რაც ამ ყველაფერს ახლავს, არის ის, რომ ჩვენ ვალის გამო გარკვეულ თანხას ვუხდით კრედიტორებს, შესაბამისად, ეს თანხა აკლდება მოსახლეობის კეთილდღეობას. მაგალითად, გაისად, უკვე დაახლოებით 120 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტის მარტო ვალების მომსახურების თანხის გადახდა მოგვიწევს. კარგადაა ცნობილი, 500 მილიონი ევროს ოდენობის ე. წ. ევრობონდების თანხაც, რის გამოც მთლიანობაში დაახლოებით 900 მილიონ ევროზე მეტის გადახდა მოგვიწევს. ჩვენ მდიდარი სახელმწიფო არ ვართ და, ფაქტობრივად, გამოდის, რომ სამომხმარებლო დოვლათის მისაღებად ნებისმიერი პრიოდუქტი გაცილებით ძვირი გვიჯდება. უნდა ვეცადოთ, ჩვენი ეკონომიკა გავხადოთ არამარტო დინამიკურად მზარდი, არამედ მაქსიმალურად ეფექტური და შედეგიანიც, რათა ის საინტერესო იყოს ინვესტორებისთვის.

**— ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა „ნაციონალებს“ კრიტიკაზე უპასუხა, — თავიანთ აღებულ ვალს მიხედონო. რას ნიშნავს „ნაციონალების“ ვალი? ამ შემთხვევაში ეს არის თუ არა სახელმწიფოს დავალიანება და, თუ არამიზნობრივად გაიხარჯა ეს თანხა, რატომ არ დგება დამნაშავეების პასუხისმგებლობის საკითხი?**

— არ არსებობს ასეთი იურიდიული ცნება „სხვისი ვალი“, ვინაიდან გარანტად დგას სახელმწიფო. თქმა იმისა, რომ ეს სხვისი ვალია, არ შეიძლება. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რამდენად ეფექტურად ხდება ამ თანხის გამოყენება ქვეყნის შიგნით, რამდენად საჭირო იყო იმ ღონისძიებების დაფინანსება, რომლებისთვისაც ამ სახსრების მოზიდვა განხორციელდა. თუ ხელისუფლებას სურს, დაიმკვიდროს ავტორიტეტი, წინა ხელისუფლებასთან შედარებით, მან მიღებული ფინანსური სახსრების უკეთ გამოყენება უნდა შეძლოს.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი საკითხი, რომელიც საზოგადოებაში ეჭვს ბადებს, შესაბამისი სტრუქტურების მიერ მოკვლევისა და ჭეშმარიტების დადგენის ამოცანას წარმოადგენს. ფინანსების სფერო იმდენად სენსიტიურია, მის მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესი გასაკვირი არ



იოსებ არჩვაძე

არის. შესაბამისად, ხარჯვების მართლზომიერება, გამოყენების ეფექტურობა მუდმივი მონიტორინგის ქვეშ უნდა იყოს.

**— ეკონომიკური დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი გარკვეულ სასჯელს და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევასაც ითვალისწინებს, რათა დაზარალებულებს დაუბრუნდეთ უკანონოდ წართმეული ქონება. რაკი ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ ეტაპზე ამის რესურსი არ გააჩნია, რატომ არ ხდება აღნიშნული გზით ამ ადამიანებისთვის ქონების დაბრუნება?**

— ძალიან საფრთხილო საკითხია, რათა სამართლიანობის აღდგენის პროცესში ერთი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ახალი უსამართლობა არ დავუშვათ. საზოგადოებაში უნდა არსებობდეს იმის განცდა, რომ დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება. ეს საკითხი ეკონომიკურ ამოცანებს სცილდება და გარკვეულ რესურსებთანაცაა დაკავშირებული, საჭიროა განსაზღვრული კონტინგენტი, რომელიც ამ საქმეებს გამოიძიებს. მახსოვს, ყოფილ გენერალურ პროკურორს, გია მეფარიშვილს, ჰქონდა იდეა, შექმნილიყო სპეციალიზებული სამსახური, რომელიც მხოლოდ აღნიშნულ პრობლემებზე იმუშავებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქვეყანაში კადრების დეფიციტია.

ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა, ქვეყანაში ისეთი გარემო შექმნას, რომელიც დოვლათის ჯეროვან ზრდას შეუწყობს ხელს. ხელისუფლებამ ისეთი სამეწარმეო ფონი უნდა შექმნას, რომ ნებისმიერი ბიზნესმენი დარწმუნებული იქნეს, რომ სახელმწიფოს „საჭიროებისთვის“ ბიზნესს არ წაართმევენ. აუცილებელია, ამ ადამიანებს სტიმული ჰქონდეთ, თანხის ინვესტირება განახორციელონ. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა სამეურნეო პოლიტიკის ქვაკუთხედი უნდა გახდეს. პირობითად, ადამიანს, რომელიც წარმოებას ხელმძღვანელობდა, ბევრის აღება საკუთარ თავზე არ შეეძლო, რადგან ყველაფერი ხელისუფლებასთან უნდა შეეთანხმებინა და შესაძლებელი იყო, დღევანდელი მესაკუთრე ხვალ საპატიმროში აღმოჩენილიყო და საკუთრების უფლებაც ნებაყოფლობით გადაეცა სხვისთვის. ასეთი ფაქტები მასობრივად ხდებოდა. ასეთი ვითარება ბიზნესს არ უქმნის სტაბილურობის განცდას და საბოლოო ჯამში, ჩიხში შეყავს ეკონომიკა.

ამ ადამიანებისთვის ქონების დაბრუნებაზე უარი არავის უთქვამს. ვფიქრობ, დროის ამბავია და, ალბათ, ამ მიმართულებითაც გადაიდგმება გარკვეული ნაბიჯები, რათა დაზარალებულ ხალხს გარკვეული შეღავათები მაინც გაუწიონ, თუნდაც ფინანსური კომპენსაცია მისცენ, იმ მიუღებელი მოგებისა და განუხორციელებელი პროექტებისთვის, რომელთაც ხელი შეუშალა მათ მიმართ განხორციელებულმა რეპრესიულმა ქმედებებმა.

**— დროებითი გამყარების შემდეგ, არსებული მონაცემებით, ლარის კურსი კვლავ უფასურდება. არის თუ არა საგანგაშო ეს ვარდნა?**

— 90-იანი წლებიდან რამდენიმეჯერ მოხდა ევროსა და დოლარის კურსის რადიკალური ცვლილება. გვახსოვს, 90-იანი წლების ბოლოს ლარის კურსი ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა, შემდეგ კი კურსი გამყარდა. ფულის კურსი ცოცხალი ორგანიზმივითაა და ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მიმდინარე პროცესებზე რეაგირებს. ვფიქრობ, ამჯერად ეს უფრო სუბიექტურ ფაქტორებს უკავშირდება, ვიდრე ობიექტურ გარემოებებს. ამ ეტაპზე ლარის კურსის ვარდნას არ ველოდები, მაგრამ მსოფლიოში არც ერთ ვალუტას არ აქვს იმის გარანტია, რომ მყარად ფიქსირებული იქნება. ეროვნული ბანკის საბჭო და სავალუტო კომიტეტი თვალყურს უნდა ადევნებდეს პროცესებს და სიტუაცია უნდა კონტროლდებოდეს. ვალუტის კურსი ფაქიზი თემაა. სხვათა შორის, 2008 წელს, ომის შემდგომ, უცხოეთიდან მიღებული დახმარებების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ეროვნული ვალუტის გამყარებასა და დეფიციტის შევსებაზე დაიხარჯა.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**



## ილია მეორე: 100 წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ერთსქესიან ქორწინებას ოდესმე ვინმე დაიცავდა

**100 წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ისეთ იდეას, როგორიცაა თუნდაც ერთსქესიანი ქორწინება, ოდესმე ვინმე დაიცავდა. ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დღევანდელი საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.**

პატრიარქის თქმით, ადამიანმა უზარმაზარი ნაბიჯები გადადგა ცოდნასა და ტექნიკაში, მაგრამ ამავე დროს დიდი ნაბიჯები გადადგა უკან სულიერებასა და სულიერ ფასეულობებში.

**„ჩვენ ძალიან ხშირად გვესმის სიტყვები: „ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“. ნათელი ქრისტესი განანათლებს ყოველთა და განსაკუთრებით მათ, ვინც მზად არის, მიიღოს ეს ნათელი. ამასთან დაკავშირებულია უფლის სიტყვებიც — იყავით სრულყოფილი, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულყოფილ არს. შეუძლია თუ არა ადამიანს ეს?! რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ეს არის მითითება იმაზე, რომ ადამიანის სრულყოფა დაუსრულებელია. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როდესაც ადამიანმა უზარმაზარი ნაბიჯები გადადგა ცოდნასა და ტექნიკაში. მაგრამ ამავე დროს უზარმაზარი ნაბიჯები გადადგა უკან — სულიერებასა და სულიერ ფასეულობაში. ვინ წარმოიდგენდა, რომ მოვიდოდა დრო, როდესაც ისეთ იდეებს, როგორიცაა თუნდაც ერთსქესიანი ქორწინება, ვინმე დაიცავდა“,** — ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესის თქმით, საჭიროა განათლება, რაც გულისხმობს არამხოლოდ უმაღლესის დამთავრებას, არამედ ადამიანის ჰარმონიულ სრულყოფას ცოდნაში, ცხოვრებასა და ზრდილობაში. **„ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ცოდნაზე, მაგრამ გვავიწყდება, რომ ცოდნის მიღება ურწმუნო ადამიანის მიერ მეტად საშიშია იმ ადამიანისთვისაც და საზოგადოებისთვისაც, რადგან მან თავისი ცოდნა შეიძლება ბოროტად გამოიყენოს“,** — ბრძანა პატრიარქმა.

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაცებს“ „ფორმა“ არ დაუკარგავთ. საკუთარი ძალებითა და „ოცნებაში“ გადასროლილი „მეხუთე კოლონის“ მეშვეობით ადგილობრივ არჩევნებზე თავიანთ სიტყვას იტყვიან. ხოლო იმ ნამდვილ „მეოცნებეებს“, რომლებიც მათ ზრახვებს ამხელენ, რესპუბლიკელების მეშვეობით გაანეიტრალებენ.**

# ნაცმიტოზი

**გამრავლება არის ცოცხალი ორგანიზმების უნარი, წარმოქმნან თავისივე მსგავსი ორგანიზმი. თითოეული ორგანიზმის სიცოცხლის ხანგრძლივობა შეზღუდულია, მაგრამ გამრავლების მეშვეობით სახეობის არსებობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდება. გამრავლება უზრუნველყოფს სახეობის ძირითადი ნიშან-თვისებების თაობიდან თაობაში გადაცემას, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, გამრავლება არის ბიოლოგიური თვალსაზრისით სასიცოცხლო პროცესი, როდესაც ერთი არსება წარმოქმნის თავისსავე მსგავსს.**
**არსებობს უსქესო და სქესობრივი გამრავლება. უსქესო გამრავლება ეწოდება გამრავლებას, რომელშიც მონაწილეობს ერთი დედისეული ორგანიზმი. ახალი უჯრედები მხოლოდ ერთი მშობლიური უჯრედის მიტოზური დაყოფით მიიღება. მიღებულ თაობაში ყველა ინდივიდი გენეტიკურად მშობლის იდენტურია.**



რაღა დაგიმალოთ და, თუ აქამდე ბიოლოგიას პატივს ვცემდი როგორც მეცნიერების ერთ-ერთ რიგით მიმართულებას, ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ ეს დამოკიდებულება უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. ავიდა, რადგან აღმოვაჩინე, რომ ბიოლოგია და კონკრეტულად მისი ეს ნაწილი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარე პროცესებსაც ხსნის და სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებასაც იძლევა.

**ალბათ, უკვე მიხვდით, რომ მინდა განვიხილო რეგენერაციის (რეგენერაცია არის სხეულის დაკარგული ან დასახიჩრებული ნაწილის აღდგენა) იმგვარი ფორმა, რომელმაც როგორც მიტოზური გამრავლების შედეგად მიღებულმა წარმონაქმნმა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ არამხოლოდ გადარჩენის საშუალება მისცა, არამედ ნელ-ნელა გააძლიერა და სულ მალე შეიძლება უფრო გაძლიერებული მივიღოთ.**

ბევრს აღარ გავაგრძელებ და პირდაპირ ვიტყვი, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოს პარლამენტში მივიღეთ საპარლამენტო „უმრავლესობის“ საკმაოდ უცნაური ფორმა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსი სახის წარმონაქმნი მსოფლიოს არც ერთ პარლამენტში არ არის და არც ყოფილა (ქართველები აქაც პირველები ვართ), რადგანაც შეიქმნა ისეთი სახის „უმრავლესობა“, რომელშიც შემავალი ორგანიზაციები, ერთის მხრივ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ და ერთმანეთთან დაძაბული ურთიერთობა აქვთ (ანუ ერთი ოპოზიციაა, ხოლო მეორე — პოზიცია) და სხვადასხვა პოლიტიკურ დებატებში ძალიან მწვავედ უპირისპირდებიან ერთმანეთს. დიახ, ძალიან მწვავე დაპირისპირება აქვთ, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით, ეს დაპირისპირება მხოლოდ სატელევიზიო თოკშოუებში ან საინფორმაციო საშუალებებში გაკეთებულ მცირე განცხადებებში ვლინდება და ერთმანეთის მიმართ „პწკენაღრენას“ უფრო ჰგავს, ვიდრე აზრთა ჭიდილს, საქმიან კამათს და ქვეყნის მშენებლობისა და ხალხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისთვის გზების ძიებას. სიტყვა „უმრავლესობა“ ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ ასეთი გაერთიანება ოფიციალურად არ არსებობს და მას რაღაც ჩრდილოვანი ორგანიზაციის ფორმა აქვს.

მოკლედ რომ ვთქვა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მივიღეთ ფარული საპარლამენტო უმრავლესობა, რომელშიც გაერთიანდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად. იქ კიდევ არიან ე. წ. დამოუკიდებელი მაჟორიტარები, რომლებიც ისე უყვარს ხალხს და ისეთ პატივს სცემს მათ პოლიტიკურ შეხედულებებს თუ გამოცდილებას, რომ სულ რიკინ–რიკინით მიანიჭეს კანონმდებლის ეს მაღალი სტატუსი (მაგალითად, ნაძალადეველების რჩეული თამარ კორძაია). **არიან ე. წ. აპმსკნუვშმე კ ნმს, რომლებიც ოდესღაც „ეროვნულობდნენ“ და დღესაც ჩოხა-ახალუხით დადიან, მაგრამ „სულ სხვა რამისთვის უძგერთ გული“ (მაგალითად, რუსთავის მაჟორიტარი ზვიად ძიძიგური).**

არიან სხვებიც, მაგრამ მათზე თქვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებ.

**ისმის ძალიან მარტივი შეკითხვა: რატომ გაერთიანდა ეს ორი პოლიტიკური წარმონაქმნი და რა არის მათი „ჩახუტების“ მთავარი მიზეზი? (პრინციპში არსებული რეიტინგებიდან საზოგადოების დამოკიდებულებიდან და მხარდამჭერთა რაოდენობიდან გამომდინარე, „წარმონაქმნი“ უფრო რესპუბლიკური პარტიაა).**

თქვენ წარმოიდგინეთ და პასუხიც საკმაოდ მარტივია.

მსოფლმხედველობა! დიახ, მათ სწორედ რომ მსოფლმხედველობა, ანუ ქართველობასთან, მართლმადიდებლობასთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობაზე ზუსტად ერთნაირი შეხედულებები და პრინციპები აერთიანებთ. ბუნებრივია, რომ მათ შორისაც არის რამდენიმე მცირე განსხვავება, რომელთაგან უმთავრესი ფინანსებთან დამოკიდებულებაა.

თუ „ნაციონალური მოძრაობა“, უხეშად რომ ვთქვა, ფულს საკუთარი მოსახლეობის ყვლეფით შოულობდა, რესპუბლიკელები ამას ე. წ. დონორი ორგანიზაციებისა და მათ მიერ გაცემული გრანტების მეშვეობით აკეთებდა. ვიღაც იტყვის, რომ უცხოელებისგან გადმოგდებულ ფულზე არც „ნაცები“ ამბობდნენ უარსო. კი, ბატონო, დავეთანხმები. ნამდვილად არ ამბობდნენ, მაგრამ იმ გრანტების უმრავლესობა, რომლებსაც „ნაცები“ თქვლეფდნენ, ასე თუ ისე საქართველოს სახელმწიფოსთვის და საქართველოს მოსახლეობისთვის იყო გამიზნული, ხოლო რესპუბლიკელების მიერ მიღებული თანხები, კონკრეტულ იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურებოდა (ამ მიზნებზე ყურადღებას აღარ შევაჩერებ, რადგანაც ყველამ კარგად იცით).

**აქედან გამომდინარე, არის განსხვავება იმ ხალხს შორისაც, რომლებიც ამ ორი ორგანიზაციის მიზნების შემსრულებლები იყვნენ და არიან. თუ „ნაცები“ თავიანთი რეჟიმის გასამყარებლად ძალისმიერ მეთოდებს იყენებდნენ და ქვეყნის საკადრო პოლიტიკას მთლიანად აკონტროლებდნენ, რესპუბლიკელები გრანტების მოსაზიდად ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს „ქმნიდნენ“ და ბუნებრივია, ბოლომდე აკონტროლებდნენ ე.წ. პროექტების განსახორციელებლად ქვეყანაში შემოსულ თანხებს.**

თუ „ნაცები“ მოსახლეობაზე ზეწოლას ძალოვანების, გამგებლებისა და სხვადასხვა ჩინოვნიკის მეშვეობით ახორციელებდნენ, რესპუბლიკელები ამისთვის „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ და სხვა „გამჭვირვალე“ თუ „მემონიტორინგე“ ორგანიზაციებს იყენებენ. ადამიანის უფლებების დამცველის ნიღბის ქვეშ შემალული ეს ლიბერასტები გაცილებით უფრო მეტ ზიანს აყენებენ საზოგადოებას, ვიდრე რეზინის ხელჯოხებით შეიარაღებული „მასკიანები“; უფრო მეტ ზიანს, რადგან ძალას შეიძლება ძალით დაუპირისპირდე, მაგრამ იდეოლოგიურ ზეწოლასთან ბრძოლა, რომელიც ყოველ წუთს ცალმხრივად ხმიანდება ტელეეკრანებიდან, ძალიან ძნელია.

**აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ძალა ამ წლების განმავლობაში თანაბარი წარმატებით არბევდა ქართველ ხალხს. მაშინ, როდესაც მიშას ძალოვანები იტაცებდნენ, სცემდნენ, ქონებას ართმევდნენ, რესპუბლიკური პარტია და მისი დამქაშები ტელეეკრანებიდან ღრმად ინტელექტუალური სახეებით დასცინოდნენ და აკრიტიკებდნენ მართლმადიდებლობის, ქართველობის, ნორმალური ოჯახური ცხოვრების მსურველ ადამიანებს.**

მაგალითისთვის გავიხსენებ ლევან ბერძენიშვილს, რომელიც „გადაბრინჯული“ იჯდა ეკა ხოფერიას ეთერში, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში და დასცინოდა შაოსან ქალბატონს, რომელიც კინოთეატრ რუსთაველში ნაჩვენებ ფილმს „და ვინჩის დღიურები“ აპროტესტებდა (თქვენ წარმოიდგინეთ და ლევან ბერძენიშვილი, სწორედ ნაციდეოლოგიური მანქანების წყალობით შეიქმნა, როგორც საქართველოს ისტორიაში ყველაზე ინტელექტუალური ფიგურა. სასაცილოა, არა? არადა, 2004 წელს ჩატარებული გამოკითხვებიდან, ახალგაზრდობის უმრავლესობამ ყველაზე ინტელექტუალურ ქართველად სწორედ ის დაასახელა).

დავუბრუნდეთ ისევ ბიოლოგიას და კონკრეტულად უსქესო გამრავლების ფორმას — **მიტოზს**.

**„მიტოზი უზრუნველყოფს დედისეული უჯრედის ორ შვილეულ უჯრედად გაყოფას. შვილეული უჯრედი დედისეული უჯრედის იდენტურ გენეტიკურ მასალას შეიცავს. მიტოზი უზრუნველყოფს შვილეულ უჯრედებში მემკვიდრეული ინფორმაციის სრულად გადაცემას“.**

საინტერესოა ის „დედისეული უჯრედი“, რომლისგანაც წარმოიშვა „ნაციონალური მოძრაობა“ და რესპუბლიკური პარტია და რომლებმაც ბოლო წლების განმავლობაში თავიანთი მიტოზის საშუალებით მრავალი „უჯრედი“ წარმოშვეს.

პასუხი აქაც მარტივია.

ეს **„დედისეული უჯრედი“** ის მსოფლმხედველობა, იდეოლოგია და პოლიტიკაა, რომელთაც აქტიურად აწარმოებს ე. წ. დასავლეთი. ეს **„დედისეული უჯრედი“** ის მსოფლმხედველობა, იდეოლოგია და პოლიტიკაა, რომელსაც ევროპარლამენტარები — ლისეკი, ანა გომესი და სხვები გვახვევენ თავს. ეს **„დედისეული უჯრედი“** ის მსოფლმხედველობა, იდეოლოგია და პოლიტიკაა, რომლის წყალობითაც კოჰაბიტაცია, პარაფირება და სხვა მრავალი უაზრო ტერმინი მივიღეთ.ეს **„დედისეული უჯრედი“** ის მსოფლმხედველობა, იდეოლოგია და პოლიტიკაა, რომლის წყალობითაც მკვლელებს „ვაშლის გათლის“ ბრალდებით აკავებენ, ბიუჯეტის ქურდს, რომელმაც 120 მილიონი მოიპარა, 50 000 ლარის გირაოთი უშვებენ. სამართლიანობის აღდგენას ყველანაირი მეთოდებით ამუხრუჭებენ და მოძალადეებს დასჯის ნაცვლად აწინაურებენ. ეს **„დედისეული უჯრედი“** ის მსოფლმხედველობა, იდეოლოგია და პოლიტიკაა, რომელიც... ეს **„დედისეული უჯრედი“** ის მსოფლმხედველობა, იდეოლოგია და პოლიტიკაა, რომელიც...

ეს ყველაფერი მართლაც საინტერესო დაკვირვების საგანი იქნებოდა მაშინ, ეს რომ საქართველოში არ ხდებოდეს. საუბედუროდ, ეს ყველაფერი ჩვენს თავს ხდება და შეიძლება ითქვას, რომ დღეს უფრო დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ, ვიდრე აქამდე ვიყავით.

ნამდვილად არ ვაშინებ არავის, მაგრამ შევეგუეთ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ რესპუბლიკელების მთავარ პოლიტიკურ ძალად ყოფნას. მართალია, ვცდილობდით, რომ ჩვენი ხათრიანობა რესპუბლიკელების დასავლელი ლობისტებით გაგვემართლებინა, მაგრამ იმას არ ვამბობდით, რომ რესპებს და ნაცებს ერთი და იგივე ლობი ჰყავთ. არც იმას დავმალავ, რომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ასეთი გვერდიც შეიქმნა „ბატონო ბიძინა, გადახედეთ თქვენს გარემოცვას“, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. შევეგუეთ კოჰაბიტაციას. შევეგუეთ საზოგადოებისთვის დამამცირებელ საკადრო პოლიტიკას. შევეგუეთ სამართლიანობის აღდგენის გაურკვეველი დროით გადადებას. შევეგუეთ ხათრით და შედეგად ისეთი „საპარლამენტო უმრავლესობა“ მივიღეთ, როგორიც გვაქვს (ცხადია, მიხვდით, რომ ოფიციალურ უმრავლესობაზე არ ვამბობ). ისმის მოსაზრებები, რომ მალე ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ და რესპუბლიკელები გაერთიანდებიან და ახალ უმრავლესობას ჩამოაყალბებენ. არა, ეს ნამდვილად არ მოხდება, რადგან არც ერთს და არც მეორეს ამ „ძმობის“ „გაპრავება“ და საჯაროზე გამოტანა არ სჭირდებათ. რესპუბლიკელებს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე არანაირი პრეტენზია არ აქვთ (სამიოდე კინკილა წარმომადგენელი ჰყავდათ და ერთი მოუხსნეს). მათ თავიანთი ნიშა ძალიან კარგად აქვთ დაჭერილი და „მიცემულ დავალებებს“ ფრიადზე ასრულებენ.

„ნაცებს“ „ფორმა“ არ დაუკარგავთ. საკუთარი ძალებითა და „ოცნებაში“ გადასროლილი „მეხუთე კოლონის“ მეშვეობით ადგილობრივ არჩევნებზე თავიანთ სიტყვას იტყვიან. ხოლო იმ ნამდვილ „მეოცნებეებს“, რომლებიც მათ ზრახვებს ამხელენ, რესპუბლიკელების მეშვეობით გაანეიტრალებენ. ბოლოს მინდა წარმოგიდგინოთ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დაკვეთით ჩატარებული კვლევის რამდენიმე შედეგი, რომლის პრეზენტაციაც 20 დეკემბერს „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა.

**ამ კვლევის თანახმად, ყველაზე მოწონებული პოლიტიკური ფიგურების ხუთეული ასე გამოიყურება: დავით უსუფაშვილი 65%, კახა კალაძე 60%, ეკა ბესელია 53%, თინა ხიდაშელი 52% და დავით ბაქრაძე 48%.**

**როგორც ხედავთ, მიტოზის შედეგად გაჩენილ უჯრედს ყველაზე მოწონებად პოლიტიკოსებში სამი წარმომადგენელი ჰყავს.**

**ვერაფერს იტყვი. ამიტომ დაგემშვიდობებით და ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ.**

**გია გაბრიჭიძე**

**თუ არაცხინვალელი ოსები გვიყვარს, რატომ უნდა გვძულდეს ცხინვალელი ოსები? ჩვენ შორის გრძელდება ნათესაური კავშირების დამყარება. მაგალითისთვის, ჩემმა ბიძაშვილმა ორი თვის წინ ცხინვალელი ქალიშვილი შეირთო ცოლად!**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვაჟა ხაჭაპურიძე: სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას საფუძველი ბოროტმოქმედმა სააკაშვილმა ჩაუყარა

**2008 წლის აგვისტოს სისხლიანი ტრაგედია, რომელიც ორ ერს თავზე დაგვატეხა „პოტომაკდალეულმა" სააკაშვილმა თავისი „ნაციონალური" ბანდით, კიდევ დიდი ხნით აუტანელ ტკივილად გაგვყვება... მაგრამ ჩვენ ვალდებულები ვართ, შერიგებაზე ვიფიქროთ, ცხოვრება ხომ გრძელდება. მუდმივ მტრობას კარგი არაფერი მოაქვს.**
**ჩვენი გაზეთის სტუმარია საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი და დღევანდელი დევნილი ვაჟა ხაჭაპურიძე.**






**— ბატონო ვაჟა, გავიგე, რამდენიმე დღის წინ თქვენ ცხინვალელი სტუმრები გყავდათ, კერძოდ, კანცელარიიდან. თუ სახელმწიფო საიდუმლო არაა, რატომ ჩამოვიდნენ?**

— არავითარი საიდუმლო! ისე, საოცარი ხალხი ხართ ჟურნალისტები, ეშმაკიც ვერ დაგემალებათ! *(იცინის)* საიდან გებულობთ ამბებს ასე დეტალურად?! დიახ, მართლაც ხშირად მოდიან ჩემთან ცხინვალიდან ჩემი ყოფილი თანამშრომლები. ჩვენ არ შეგვიწყვეტია არც თანამშრომლობა და არც მეგობრობა! ამჟამად მანქანის საყიდლად იყვნენ. იყიდეს და მალევე წავიდნენ. დამიბარეს, ამ დღეებში კიდევ ჩამოვალთო ოჯახებთან ერთადო.

**— ბატონო ვაჟა, თქვენ ახსენეთ, — ყოფილ თანამშრომლებთან ვმეგობრობ და ვთანამშრომლობო. თანამშრომლობა როგორ გავიგოთ?**

— ოსი და ქართველი ხალხები ერთმანეთის მტრები რომ არ არიან, რად უნდა ამას დიდი ფილოსოფია?! ორივენი პოლიტიკური პროვოკაციების მსხვერპლნი ვართ. აი, მაგალითად, თქვენ როგორ უყურებთ იმ ასი ათას ოსს, რომლებიც ცხინვალის გარეთ ცხოვრობენ?

**— ძალიან დადებითად, მეტიც, დიდი სიყვარულით და პატივისცემით!**

— ჰოდა, თუ არაცხინვალელი ოსები გვიყვარს, რატომ უნდა გვძულდეს ცხინვალელი ოსები? ჩვენ შორის გრძელდება ნათესაური კავშირების დამყარება. მაგალითისთვის, ჩემმა ბიძაშვილმა ორი თვის წინ ცხინვალელი ქალიშვილი შეირთო ცოლად! აქვე მინდა გითხრათ, რომ არ მესმის, რატომ მივდივართ ერთმანეთთან შესარიგებლად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ვმართავთ იქ, ჩემი აზრით, არაფრისმომცემ მოლაპარაკებებს?! დიდი სირცხვილია ეს და ერთმანეთისადმი უპატივცემულობა! რად გვინდა ჩვენ ვიღაც უცხო შუამავალი?! რა იცის გადამთიელმა ჩვენი ისტორიული ურთიერთობების შესახებ?! ამიტომაც ვახსენე, ვთანამშრომლობთ-მეთქი. ჩვენი ჭირი ჩვენვე თუ არ მოვიშორეთ, სხვა უარეს შემთხვევაში, თუ არ გაართულებს, კარგს არაფერს გაგვიკეთებს. ჩვენსავე წიაღში უნდა შევქმნათ ის ორგანიზებული ნათესაურ-მეგობრული მუშა ჯგუფი, რომელიც შეუდგება ჩვენი ისტორიული კავშირის აღდგენას.

## თუ «ქართულმა ოცნებამ» გააგრძელა სააკაშვილის რეგვენული პოლიტიკა ამ საკითხში, აი, მაშინ გამოვალ და ხმამაღლა ვილაპარაკებ იმაზე, რაც ბევრზე უკეთ ვიცი!

გამსახურდიამ დაუშვა დიდი შეცდომა, როდესაც გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი... გააუქმა ყოველგვარი იურიდიული, სამართლებრივი კანონების გარეშე. გააუქმა ხელაღებით! უნდა მოწვეულიყო რეგიონული ყრილობა და, როგორც შეიქმნა, ისე უნდა გაუქმებულიყო; ან უნდა მიენიჭებინათ ოლქისთვის გაფართოებული უფლებები, რასაც ოსები თხოულობდნენ, მე ვგულისხმობ „ადამონ ნიხასის" წევრებს. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს 90-იან წლებში მათი ე.წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ოლქის გაუქმებით ჩვენ მივეცით სეპარატისტებს საშუალება, უფრო გაძლიერებულიყვნენ, ანუ გამსახურდიას საბედისწერო შეცდომამ გამოიწვია ის, რომ ოსურ მხარეს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის საბაბი მივეცით... მაგრამ შევარდნაძემ ეს მდგომარეობა გააანალიზა და გადადგა საკმაოდ გონივრული ნაბიჯი. დაგომისის ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო 1992 წელს გაეროს ეგიდით, სამხრეთ ოსეთი დავიმორჩილეთ სამშვიდობო ძალებით და, ფაქტობრივად, გავაუქმეთ ის ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებიც იქ არსებობდა. დაგომისის ხელშეკრულებაში, СКК-ში წერია: დაუყოვნებლივ მოხდეს ოსთა და ქართველთა მოლაპარაკებები და დაუბრუნდნენ ისინი თავიანთ საწყის, პირვანდელ მდგომარეობასო. ეს იყო დოგმა და ამით ოსური მხარე ძალას კარგავდა. აქვეა, რომ ჩვენ, ქართველებს, გვეკრძალებოდა მიტინგებისა და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარება, გარდა კულტურულისა და ისიც — ოსურ მხარესთან შეთანხმებით, რათა არ ყოფილიყო რაიმე გაუგებრობა. აქედან გამომდინარე, სამშვიდობო ძალები აკონტროლებდნენ ვითარებას, არ აძლევდნენ არც ქართულ და არც ოსურ მხარეს საშუალებას, რომ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი შეექმნათ.

სააკაშვილის მოსვლის შემდეგ მოხდა უბედურება! ამ შეჩვენებულმა უკუაგდო СКК-ს გადაწყვეტილება, რომელიც, დარწმუნებული ვარ, არც კი წაუკითხავს არა მხოლოდ მას, არამედ მისი ხროვის ერთ წევრსაც კი... ჯერ რაღაც გაუგებარი ავანტიურა მოაწყვეს მან და ოქრუაშვილმა 2004 წელს; მერე გაბრაზდა თუ გაღიზიანდა იმით, რომ კოკოითი მეორედ იყრიდა კენჭს პრეზიდენტის თანამდებობაზე, მაგის ჯინაზე, ქართულ მხარეზე, ქართულ სოფლებში შექმნა „ჩვენი" ოსური ადმინისტრაციული ერთეული, კერძოდ, რესპუბლიკა!.. აქ სააკაშვილმა ჩაიდინა პირველი სახელმწიფოებრივი დანაშაული, როდესაც აღადგინა არა ოლქი, არამედ შექმნა მეორე უკანონო რესპუბლიკა! წარმოიდგინეთ, ამ არამზადამ რა ხელსაყრელი პირობები შეუქმნა მოწინააღმდეგე მხარეს! რომ იტყვიან, პენალი დაარტყმევინა კარში, რომელშიც მეკარეც კი არ იდგა! ერთი კაცი არ გამოვიდა და არ უთხრა სააკაშვილს, ამას რას აკეთებ, შე არაკაცოო! მე ამოვიღე ხმა და ციხეში მიკრეს თავი, — სიგარეტი მოიპარაო... სიგარეტი კი არ მოვიპარე, მივუთითებდი სააკაშვილს იმ უსინდისობასა და უნამუსობაზე, რომელსაც ის სჩადიოდა. თუ, მაგალითად, ჩვენთვის მიუღებელი იყო ოსური მხარის გადაწყვეტილება, ეს რაღა იყო?! ოსური დროშით დიმა სანაკოევმა ბინა თბილისში დაიდო. მის ღერბზე რაღაც გაწელილი ლომი თუ კატა ეხატა და ამას ტაშს ვუკრავდით! ასეთი მდაბიობა, ასეთი გულგრილობა, ასეთი არაპოლიტიკური აზროვნება გვეკადრება ქართველებს?! დღეს ჩვენ რაზე ვჩივით? ოსეთის დამოუკიდებლობაზე? მაგრამ ეს ხომ სააკაშვილის „დამსახურებაა"?! დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას საფუძველი სახელმწიფო ბოროტმოქმედმა სააკაშვილმა ჩაუყარა!

## სააკაშვილის მოსვლის შემდეგ მოხდა უბედურება! ამ შეჩვენებულმა უკუაგდო СКК-ს გადაწყვეტილება, რომელიც, დარწმუნებული ვარ, არც კი წაუკითხავს არა მხოლოდ მას, არამედ მისი ხროვის ერთ წევრსაც კი...

**— სააკაშვილი აღარაა, სააკაშვილი გაქცეულია (თუ გააქცუნეს) ქვეყნიდან, მაგრამ ახლანდელი ხელისუფლება რატომ აფინანსებს დანაშაულებრივად შექმნილ ადმინისტრაციას, ხოლო დიმიტრი სანაკოევი დაჰყავთ საერთაშორისო შეხვედრებზე? რატომ აგრძელებს წინამორბედის პოლიტიკას ახალი ხელისუფლება?**

— მართალი ბრძანდებით, დღესაც ვერ ამოვედით ბეცური პოლიტიკის ჭაობიდან! ჯერჯერობით თავს შევიკავებ მძაფრი კრიტიკისგან, იმიტომ, რომ ეს გართულებული პროცესია; ეს იგივეა, მარტენის ღუმელში შეყო ხელი და ადუღებული ფოლადი გამოიღო. ახლა დავაცალოთ ახალ ხელისუფლებას, საქმეში გაერკვეს. თუ „ქართულმა ოცნებამ" გააგრძელა სააკაშვილის რეგვენული პოლიტიკა ამ საკითხში, აი, მაშინ გამოვალ და ხმამაღლა ვილაპარაკებ იმაზე, რაც ბევრზე უკეთ ვიცი!

ისე, სანაკოევის ადმინისტრაცია არამარტო ოსების წინააღმდეგაა მიმართული, არამედ ჩვენ წინააღმდეგაც. ამით ირღვევა ჩვენი, ოს-ქართველების, ისტორიული ტრადიციული ურთიერთობა. რა უფლება გვაქვს ჩვენ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მიერ შექმნილი ორი ერის ძმურ ურთიერთობას ხელაღებით შხამი და ბოროტება დავანთხიოთ?! რომ იცოდეთ, რამხელა სინანულია ოსებში! ჩვენსავით ნანობენ დაშვებულ შეცდომებს, რაც დაუშვა „ადამონ ნიხასის" ზოგიერთმა წევრმა. ნანობენ, რომ იმ დრომდე არ მიაქციეს ყურადღება პროვოკაციებს, სანამ ორივენი ცეცხლში არ გავეხვიეთ!.. ამიტომ დროა, რუსეთს კი არ დავაბრალოთ ეს დანაშაული, არამედ მოვითხოვოთ სააკაშვილის გასამართლება!

**— სააკაშვილი რუსეთისკენ გაიშვერს ხელს, ბატონო ვაჟა.**

— რა შუაშია რუსეთი? ეს შენ, სააკაშვილო, პირველმა დაუშინე ცეცხლი საკუთარ ქალაქს! რუსეთმა გითხრა ესროლეო?! ეს შენ, სააკაშვილო, ამოწყვიტე ნახევარი ცხინვალი! ჩადით ერთი და ნახეთ, იქაურობა სასაფლაოებად იქცა! ამდენი მსხვერპლი, უბედურება... მითუმეტეს მაგ არაკაცმა იცის, რომ კოკოითმა გამომგზავნა ხვეწნით, არ დაიწყოთ ომიო, ორივესთვის მომაკვდინებელი იქნებაო!.. მეტი რაღა უნდა ექნა იმ კაცს?! თოფი ესროლე და აღარ გესროლოს?! საზოგადოებას ვთხოვ, მიუდექით სერიოზულად ამ უაღრესად რთულ საქმეს, თქვენს ნათქვამს გაუწიეთ ანგარიში! უნებლიეთ წამოსროლილ ყოველ თქვენს სიტყვას უბედურება მოსდევს!

**— თქვენ სააკაშვილის პირველ პოლიტიკურ შეცდომაზე ისაუბრეთ. მეორე?**

— დაიწყო ომი, ყოველგვარი მიზეზის გარეშე! არავითარი მიზეზი არ იყო ომის დაწყებისა! რა უფლება გაქვს შენ, თუნდაც პრეზიდენტს, მიიღო გადაწყვეტილება ომის დაწყების თაობაზე, თან ვისთან!!! ჩვენს მოძმე ხალხთან, რომელსაც არანაირი ეროვნულობა არ შერჩა და არის ასიმილირებული ოსურ-ქართული ტომი! ეს ფაქტია. რაში გვჭირდება ღია კარის მტვრევა და რაღაც უაზრო მეცნიერული ანალიზი? ესენი ჩვეულებრივი ქართველები არიან, რომლებიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ. აგერ ბორჯომი, ბაკურიანი, გორი, კასპი... კახეთში სოფლებია, კაცო, მთელი სოფლები! ჰოდა, რა გინდოდა ამ ერთი მუჭა ოსებისგან?! რა შეჭამე ეს ხალხი, შე არამზადავ! მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ და საზოგადოებას ეს კარგად ახსოვს, რომ კოკოითმა თვითონვე გამომგზავნა ინიციატივით, ჩემი დაჟინებული თხოვნის შემდეგ, ჩვენი პროგრამით, რომ 2006 წელი გამოგვეცხადებინა შერიგების წლად. მეტი რაღა გინდოდა, შეჩვენებულო?! კაცი ხელებგაშლილი მოდის და გეუბნება: მობრძანდი, ბატონო მიშა, ჩაიბარე ჩვენი მიწა თავის უძრავ-მოძრავი ქონებით, იხარე და გვახარეო! არა! ეს არაკაცი ვიღაც გადამთიელი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აზროვნებით აზროვნებდა და მათ დავალებას ასრულებდა, როგორც ყურმოჭრილი მონა, ახორციელებდა მათ მიერ დასახულ პროგრამას — ოსი და ქართველი ერების გაუბედურებისა, მორჩა და გათავდა!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

ცნობისათვის
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთში პესიმიზმი ოპტიმიზმთან შედარებით მკვეთრად კონტრასტირებს განვითარებად მსოფლიოსთან შედარებით: ჩინელების 82 პროცენტს, ინდოელთა 59 პროცენტს და ნიგერიელთა 65 პროცენტს უკეთესი მომავლისა სჯერათ.**

# ევროპაში რა გინდოდა, თუ შიმშილი არ გინდოდა?!

**ევროსაბჭოს აღმოსავლეთევროპელი წევრების რთულ დღევანდელობასა და საეჭვო პერსპექტივაზე ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვილაპარაკეთ. „საქართველო და მსოფლიოს“ წინასაახალწლო ნომერში, უპრიანი იქნება, ევროგაერთიანების ე.წ. სტაჟიანი ქვეყნების ეკონომიკებსაც გადავავლოთ თვალი.**




**ევროპა სულ უფრო ემსგავსება აუზს, რომელშიც წყალი არ ასხია. ხოლო დაპირება, რომელსაც ჩვენთვის არ იშურებენ — თუ ჭკვიანად მოიქცევითო — ამ ნეგატიურ ფონზე, უკაცრავად პასუხია, ყალბად ჟღერს**

## აუზი, რომელშიც წყალი არ ასხია

ჯერ კიდევ გასულ ზაფხულში ბრიუსელში ამაღლებული განწყობილება სუფევდა: ევროსტატის მეორე კვარტლის მონაცემებით, ევროზონის ეკონომიკამ ძალა მოიკრიბა.

ექსპერტები საწინააღმდეგოს წინასწარმეტყველებდნენ.

**გაიზარდა, მაგრამ რამდენით? ფრიად მცირედით — მხოლოდ 0,3 პროცენტით, და ისიც გერმანიისა და საფრანგეთის ეკონომიკური ერთგვარი გამოცოცხლების ხარჯზე — 0,7-0,5 პროცენტით, წლიური განზომილებით, რა თქმა უნდა.**

**ეკონომისტები ვარაუდობდნენ, რომ, მაგალითად, გერმანიის მშპ წლის ბოლოსთვის გაიზრდებოდა 0,5 პროცენტით, მაგრამ სამხრეთ ევროპის „პრობლემური ქვეყნების მშპ იმავე 0,5 პროცენტით შემცირდებოდა.**

დიდად სასარგებლო და სამაგალითოდ კარგი მაჩვენებელი არ არის, მაგრამ ევროკავშირის პრეზიდენტმა **ჰერმან ვან რომპეიმ** იჩქარა განეცხადებინა: „ევროპაში ფინანსური კრიზისის ქვედა ზღვარი გადალახულია“. ოპტიმისტური იყო ევროკომისიის თავმჯდომარის **ჟოზე მანუელ ბაროზუს** დასკვნაც, რომლის მიხედვითაც „ევროკავშირი კრიზისის პოლიტიკიდან ზრდის პოლიტიკაზე გადადის“.

ექსპერტები თავისაზე იდგენ — „ზრდაზე“ ლაპარაკი ნაადრევია. მაგალითად, **Bruegeb**-ის ანალიტიკური ცენტრის დირექტორის **გუნტრამ ვოლფის** აზრით, „მატება მთელს ევროპაში იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ შეიძლება გარდატეხა მოახდინოს შრომის ბაზარზე. უმუშევრობა გაისადაც არსებულ დონეზე დარჩება“. ამას დრო სჭირდება.

მაგრამ ეს დრო გაისად არ დადგება, რადგან ევროპა სულ უფრო ემსგავსება აუზს, რომელშიც წყალი არ ასხია. ხოლო დაპირება, რომელსაც ჩვენთვის არ იშურებენ — თუ ჭკვიანად მოიქცევითო — ამ ნეგატიურ ფონზე, უკაცრავად პასუხია, ყალბად ჟღერს.

## ნოემბერმა გამოაფხიზლა

კარგად დაფინანსებულმა ბრიუსელელმა ჩინოვნიკებმა, რომლებიც საზოგადოებრიობასთან ერთად, ეტყობა, საკუთარ თავსაც ატყუებენ ოპტიმისტური პროგნოზებით, ნოემბრის თვეში სრული ფიასკო განიცადეს.

III კვარტლის შედეგებმა გამოააშკარავა, რომ ევროზონის ეკონომიკის ზრდა ზმანება იყო მხოლოდ, იმედის სრული გაცრუება, და ფაქტობრივად 0,1 პროცენტი შეადგინა.

მთლიანად ევროპის.

უსაფუძვლო აღმოჩნდა აქამდე დამკვიდრებული მოსაზრება „ორსიჩქარიანი“ ევროპის შესახებ: თუ სამხრეთ ევროპაში ზრდა არ შეიმჩნევა, სამაგიეროდ — ჩრდილოეთში არის.

მსგავსი არაფერი ხდება: გერმანიაშიც კი მშპ მატება მხოლოდ 0,3 პროცენტია, წლიური მაჩვენებლით შეიძლება 1,3 პროცენტი იყოს, თეორიულად, პრაქტიკულად — არა, რადგან სექტემბერში წარმოებამ შემცირება დაიწყო. IV კვარტალში კი ოქტომბერში გფრ-ის მრეწველობის წარმოება სექტემბერთან შედარებით 1,2 პროცენტით შემცირდა. ამის შემყურე კომპანიებმა კვლავ თავი შეიკავეს ინვესტიციების გაცემისგან. ეკონომისტები ინვესტიციური აქტივობის საკმაოდ ფრთხილ პროგნოზს გვთავაზობენ (მაგალითად, **Commerzbank**-ის ექსპერტი **რალფ ზოლვენი**).

წყლის სრულად გადაწურვა რომ არ გამოგვივიდეს, უნდა ვთქვათ, რომ ევროზონის მცირე ქვეყნებში ეკონომიკის მიზერული ზრდა მაინც შეიმჩნევა. ავსტრიაში 0,2 პროცენტია, ნიდერლანდების სამეფოში წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, 0,3 პროცენტია, ფინეთში — 0,4 პროცენტი. ესპანეთსა და იტალიაში ზრდა მიკროსკოპულია. ამ უკანასკნელში კრიზისის დაწყებიდან მშპ მოცულობა 25 პროცენტით შემცირდა (!). საბერძნეთში დაცემა გრძელდება, თუმცა არც ისეთი მაღალი ტემპით, როგორც უწინ.

**მიზეზთა-მიზეზი ევროპასა და მთელ მსოფლიოში მსყიდველობითი უნარის კრიზისია. განსაკუთრებით ცუდი დრო დაუდგა გერმანიის ეკონომიკას, რომელიც ექსპორტზეა ორიენტირებული.**

ნაცუმცირესობა საქართველოში ქვეყანაში ინვესტიციების შემოუსვლელობას ახალი ხელისუფლების უნიათო ეკონომიკურ პოლიტიკას აბრალებს. მაგრამ ევროპის ეკონომიკის დღევანდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, ყველა კითხვა მოიხსნება: თავისი გასჭირვებია, ჩვენთვის ვის სცალია!

თანაც — „ნაცების“ ცრუეკონომიკის ნამდვილ ეკონომიკად გარდაქმნას, ალბათ, რამდენიმე წელიწადი დასჭირდება.

**უბედურება ისაა, რომ ევროკავშირის ცენტრისკენული მიზიდულებაც დიდად პერსპექტიული არ ჩანს. უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ როცა ამ ევროგაერთიანების ტრადიციულ ქვეყნებს კრიზისისთვის თავი ვერ დაუღწევიათ, ევროზონის ახალი წევრები „ჟანგბადს“ მიუწოდებლობით იხუთებიან.**

თუმცა რაღა მაინც და მაინც ეს ქვეყნები — საფრანგეთში, გერმანიის შემდეგ ევროპის უმსხვილესი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, მიიჩნევენ, რომ ევროპის „ქრონიკული ავადმყოფი“ საბერძნეთი კი არ არის, არამედ საფრანგეთია. მშპ-ს დაცემას, ექსპერტების აზრით, საფრანგეთში ეროვნული შოკის მსგავსი რეაქცია მოჰყვა. გოლისტი ნიკოლა სარკოზი და სოციალისტი ფრანსუა ოლანდი იმაზე იყვნენ გაწაფულები, რომ შეემცირებინათ სოციალური ხარჯები, გაეზარდათ არსებული გადასახადები და შემოეღოთ ახლები. შედეგიც შესაბამისი მიიღეს: წლევანდელი წლის III კვარტალში უმუშევრობამ იმატა — სექტემბრის მონაცემებით, ახალგაზრდობას შორის 25 პროცენტს მიაღწია.

## დაკარგული თაობა

არ იქნება მართებული, თუ ვიტყვით, რომ ევროკავშირს არ აწუხებს უმუშევრობის პრობლემა. გასულ ივნისში ევროკავშირის სამიტზე განიხილეს ახალგაზრდობის უმუშევრობის საკითხი. მაგრამ გადაწყვეტილება სანახევრო გამოდგა, რადგან ახალგაზრდობის უმუშევრობის წინააღმდეგ გამოიყო მხოლოდ 8 მილიარდი ევრო.

როგორც ექსპერტები ამბობენ, სასაცილო თანხაა. ამის დასამტკიცებლად ციფრებს იშველიებენ. ცალკეული ქვეყნებისთვის დახმარების გაწევაზე დაიხარჯა 200 მილიარდ ევროზე მეტი, საჭირო დახმარების რაოდენობა კი 500 მილიარდი ევროთი განისაზღვრება. ინვესტიციების დაგეგმილი რაოდენობად 20 მილიარდ ევროს ითვალისწინებდა.

ამ ფონზე 8 მილიარდი ევრო შეცვლის მდგომარეობას?

არა, რა თქმა უნდა.

ეს ევროკავშირში კარგად ესმით და პრობლემას გერმანული სისტემის ე. წ. **დუალისტური პროფტექგანათლების** დანერგვით ცდილობენ, კერძოდ, იტალიაში, ესპანეთსა და პორტუგალიაში.

რას გულისხმობს აღნიშნული „დუალიზმი“?

ამ სისტემის მიხედვით, მოსწავლე საშუალო სკოლის გაკვეთილებს კვირაში ორჯერ ესწრება, დანარჩენ სამ დღეს საწარმოშია: სასწავლო კლასებსა და უშუალოდ საამქროებში. ასეთი სისტემა სამოთხ წელიწადზეა გათვლილი.

აპირებენ ახალგაზრდული შრომითი ძალის მობილურობის გაზრდას. იგულისხმება, რომ ასიათასობით ესპანელი, პორტუგალიელი, იტალიელი ახალგაზრდა „ზუიდარბაიტერი“ ჩავა გფრ-ში (სხვაგან ჩასასვლელი არსადაა). მაგრამ მიიღებენ კი სიხარულით გერმანელები ამ ახალგაზრდულ მასას?

საეჭვოა. მით უფრო, რეალური სიტუაცია კონკრეტული მაგალითებით მტკიცდება: დამქირავებლები საკმაოდ სკეპტიკურად არიან განწყობილნი ზემოთ დასახელებული ქვეყნებიდან ჩასული ახალგაზრდების კვალიფიკაციის, შრომისმოყვარეობისა და უნარ-ჩვევების მიმართ.

**აი, რას ამბობს ბარსელონის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი სანტიაგო ნინიო ბესერა: „ყველაფერი ახალგაზრდა კაცის კვალიფიკაციის ხარისხზეა დამოკიდებული. საქმე ის არის, რომ განვითარებული ქვეყნების ბაზრებს შეუძლიათ კვალიფიციური მუშახელის მიღება — ისინი მათ სჭირდება. სოლიდური პროფესიის არმქონე პირებს გაუჭირდებათ სამუშაოს პოვნა ესპანეთშიც და საზღვარგარეთაც“.**

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ **ახალგაზრდების უმუშევრობასთან ბრძოლის პროგრამა მხოლოდ შეარბილებს პრობლემას და შრომით ბაზარზე არსებულ ვითარებას კარდინალურად ვერ შეცვლის.** ბრიუსელის მთავარი შეცდომა ისაა, რომ იგი სხვადასხვა დაავადების (უმუშევრობას ყოველ ქვეყანაში თავისი სპეციფიკური მიზეზები აქვს) მკურნალობას ერთიანი სტანდარტულ-ტიპური საშუალებებით ცდილობს. **„ევროპული გაზაფხულის“ პერსპექტივა ძალაში რჩება.**

ზემოთ თქმულის გარდა, მიზეზი ის პარადოქსია, რომელზეც ესპანური **La Vanguardia** წერს.

**ევროპაში უცნაური სიტუაცია ჩამოყალიბდა: ხუთი მილიონი ვაკანსიის პირობებში უმუშევრობის დონე უცვლელად მაღალი რჩება. პუბლიკაციის ავტორი დევიდ მარტინესი ამას იმით ხსნის, რომ დღეს ევროკავშირის შრომის ბაზარი დანაწევრებულია, ხოლო ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის მნიშვნელოვანი დაუბალანსებლობაა: მაშინ, როცა სამხრეთ ევროპის ქვეყნებში ახალგაზრდებს შორის უმუშევრობა 50 პროცენტს აჭარბებს, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში 4,5-მილიონია სამუშაო ადგილი ვაკანტური რჩება.**

**ევროპის სამხრეთში გამოჩნდა და იზრდება „დაკარგული თაობა“. ევროსტატის მონაცემებით, საბერძნეთსა და ესპანეთში 25 წლამდე ასაკის თითქმის ყველა მეორე ახალგაზრდა უმუშევარია (შესაბამისად — 59 და 56 პროცენტი). იტალიასა და პორტუგალიაში ეს მაჩვენებელი 36,6 პროცენტია.**

თითქოს უკეთესი მდგომარეობაა ევროკავშირის წევრ ბალტიისპირეთის ქვეყნებში. საერთო უმუშევრობა აქ 11 პროცენტია (მთლიანად ევროზონაში — 12,1 პროცენტი).

**ევროკომისიის მონაცემებით, ახალგაზრდობის უმუშევრობა ევროგაერთიანებას 150 მილიარდი ევრო უჯდება, ანუ ევროკავშირის საერთო მშპ-ის 1,2 პროცენტი.**

**ევროკავშირში „დაკარგული თაობის“ არსებობა, თაობისა, რომელიც პერსპექტივას ვერ ხედავს, ევროპული ინტეგრაციის კრახის მომასწავებელია.**

ევროსტატის სოციოლოგების მონაცემებით, 2012 წელს კონტინენტის მოსახლეობის **124,5** მილიონი ადამიანი სიღარიბის ზღვარზე იმყოფებოდა. უმძიმესი სიტუაციაა ბულგარეთში, სადაც სიღატაკე და სოციალური იზოლაცია მოსახლეობის ნახევარს ემუქრება(!). ბულგარეთს მოსდევს რუმინეთი და ლატვია, სადაც სიღარიბის რისკის წინაშეა მოსახლეობის შესაბამისად **42** და **37** პროცენტი. ლიტვაში ეს საშიშროება ემუქრება მოსახლეობის **33** პროცენტს, პოლონეთში — **27,2** პროცენტს, ესტონეთში — **23,1** პროცენტს. ასეთსავე მდგომარეობაშია იტალიაშიც, სადაც მოსახლეობის **29,2** პროცენტი სიღარიბის ზღვარზეა, აბსოლუტურ გამოხატულებაში **18,2** მილიონ ადამიანზეა ლაპარაკი. იტალიელები, სპეციალისტების აზრით, ევროპის ღატაკების ყველაზე დიდ მასივს ქმნიან.

გასულ კვირაში გამართულმა ევროკავშირის სამიტმა დაადასტურა, რომ კონტინენტზე კრიზისული მდგომარეობა გრძელდება. ▶

## აშშ-თან ვაჭრობის თავისუფალი ზონის შემოღება და ბიუჯეტის ეკონომიის ევროპული პოლიტიკის განხორციელება საბოლოოდ ძირს გამოუთხრის ევროქვეყნების ეკონომიკებს, გამოიწვევს საწარმოთა მასობრივ დახურვას და უმუშევრობის ტალღის აგორებას.

ევრო-პროტესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### ევროსკეპტიციზმიდან ტოტალურ პესიმიზმამდე

ასეთი ტენდენცია შეიმჩნევა არამარტო ევროპის პერიფერიაზე, არამედ ევროპის ისეთ წამყვან ქვეყანაში, როგორიც გერმანიაა.

ანალიტიკოსების აზრით, ევროკავშირის სახელმწიფოები მკაცრი ეკონომიის პოლიტიკას თუ არ შეცვლიან, 2025 წლისთვის ამ ქვეყნების თითქმის ყველა მესამე მოქალაქე სიღარიბეში იცხოვრებს. ასეთი დასკვნაა გაკეთებული ჰუმანიტარული ორგანიზაცია **Oxfam**-ის მოხსენებაში. ამ კატასტროფის წინაპირობა კი მზარდი უმუშევრობაა.

2013 წლის აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში ფრანგული ინსტიტუტის **Ifop**-ის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ ევროსკეპტიკოსების რაოდენობა მკვეთრად იზრდება ევროზონის პირველ ოთხეულში — გფრ-ში, საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში. ძირითადი შეკითხვა, რომლითაც ამ ქვეყნების მოქალაქეებს მიმართეს, ასეთი იყო: მიაჩნიათ თუ არა, რომ ევროკავშირის წევრობა მათთვის სასარგებლოა?

**პირინეების მცხოვრებთა 37 პროცენტი თვლის, რომ ევროკავშირის წევრობას ესპანეთისთვის მხოლოდ უსიამოვნება მოაქვს (ერთი წლის წინათ ევროსკეპტიკოსთა რაოდენობა ამ ქვეყანაში 26 პროცენტი იყო). საფრანგეთში უკმაყოფილოთა რიცხვი 38 პროცენტიდან 2012 წელს დღევანდელ 43 პროცენტამდე გაიზარდა, ევროსკეპტიკოსების ყველაზე დიდი რაოდენობა იტალიაშია — 45 პროცენტი.**

**ეს კრიზისის ერთი შედეგია, მეორე — კრიტიკული განწყობილებების პესიმიზმად ტრანსფორმაციაა. ამერიკის სამეცნიერო ცენტრის Pew Research Centr-ის მონაცემებით (კვლევა 2013 წლის გაზაფხულში ჩატარდა), გერმანელების მხოლოდ 28 პროცენტი, ინგლისელთა 17 პროცენტი, იტალიელთა 14 პროცენტი და ფრანგების მხოლოდ 9 პროცენტი მიიჩნევს, რომ მათი შვილები წინა თაობებზე უკეთესად იცხოვრებენ.**

დასავლეთში პესიმიზმი ოპტიმიზმთან შედარებით მკვეთრად კონტრასტირებს განვითარებად მსოფლიოსთან შედარებით: ჩინელების **82** პროცენტს, ინდოელთა **59** პროცენტს და ნიგერიელთა **65** პროცენტს უკეთესი მომავლისა სჯერათ.

როგორც ჩანს, მართალი არიან ის ანალიტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ ევროპა თანდათან კარგავს პროგრესის მამოძრავებელი ლოკომოტივის წარმმართველ პოზიციას. დადგა დრო სხვა ცივილიზაციების.

რომელ მატარებელს ჩაებმება საქართველოს გარემონტებული ვაგონი?

„საკითხავი, აი, ეს არის“.

**არმაზ სანებლიძე,**
**უცხოეთის პრესის პუბლიკაციების მიხედვით**

**P.S. უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალები, რომლებსაც „საქართველო და მსოფლიო“ დღევანდელ ნომერში გთავაზობთ, მიუკერძოებლად გაგაცნობთ იმ შედეგებს, რომლებითაც გამოირჩა წარმავალი 2013 წელიწადი ევროპისთვის.**

# ევროპა ევროკავშირისგან დაიღალა

## მიტინგები — ესპანეთში, არეულობა — იტალიაში

**მაშინ, როცა ათასობით უკრაინელი კიევში ევრომაიდანზე იკრიბება ევროკავშირში გაერთიანების მოთხოვნით, ევროპის ქვეყნებში იმართება აქციები ევროკავშირის პოლიტიკის წინააღმდეგ. გასულ უქმეებზე მიტინგები გაიმართა იტალიაში, ესპანეთსა და ბულგარეთში.**


ესპანეთი

იტალიის ბევრ ქალაქში — ტურინიდან სიცილიამდე — ეწყობა საპროტესტო აქციები. ავტომძღოლები, მცირე ბიზნესის, დაბალხელფასიანი პროფესიების წარმომადგენლები, უმუშევრები, სტუდენტები, მემარჯვენე ექსტრემისტები და ფეხბურთის აქტივისტები მოითხოვენ მთავრობის გადადგომას და პარლამენტის დათხოვნას, გამოდიან მეტისმეტი სახელმწიფო რეგულირების, გადასახადების გაზრდის წინააღმდეგ. ბევრი მათგანი უკმაყოფილოა ევროკავშირის პოლიტიკის, წვავენ მის დროშებს. გასულ ხუთშაბათს „ფიწლების პროტესტი“ დაიწყო **რომში,** ასობით სტუდენტმა პეტარდები ესროლა უნივერსიტეტის შენობას, სადაც მინისტრები კონფერენციაზე იყვნენ შეკრებილნი.

**ტურინში** დემონსტრანტებმა პოლიციელებს ესროლეს საღებავებისა და ქვების „ბომბები“, რის საპასუხოდაც სამართალდამცავებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. მანიფესტანტებმა გადაკეტეს რკინიგზის ლიანდაგი და შეაჩერეს მატარებლების მოძრაობა...

ქვეყნის სახალხო უკმაყოფილების მიზეზი გახდა შემოსავლების რეკორდული დაცემა და უმუშევრობის 12-პროცენტიანი ზრდა.

იტალიის მთელ ტერიტორიაზე იმართება საპროტესტო გამოსვლები მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის მითითებითა და მოთხოვნით.

განსაკუთრებით ბევრი უკმაყოფილო ადამიანი მონაწილეობდა იტალიის ჩრდილოეთში გამართულ აქციებში. მანიფესტანტები ხშირად იმეორებდნენ: „არასოდეს ვივიწყებთ, რომ ჩვენი **მტრები იმყოფებიან აშშ-ში, ლონდონში, ბერლინსა და ბრიუსელში და არა რომში!“**

სტუდენტური გამოსვლების ეპიცენტრი გახდა მილანი, რომელიც კრიზისმა სერიოზულად დააზარალა. უმუშევრობამ რეკორდულ დონეს მიაღწია და სტუდენტები თავიანთ მომავალს მშობლიურ ქალაქში ვერ ხედავენ. მთავრობა უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების შემცირებას აპირებს. სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ ეს ღონისძიება უარყოფითად იმოქმედებს არამარტო განათლების სისტემაზე, არამედ ქვეყანაში სამეცნიერო მოღვაწეობის პარალიზებას გამოიწვევს.

დაახლოებით 40-50 ათასი ადამიანი გამოვიდა ბარსელონის ქუჩებში ევროკავშირის გეგმის განხორციელების საწინააღმდეგოდ პროტესტის გამოსახატად. ეს პროგრამა ითვალისწინებს ენერგეტიკული და საფინანსო ბაზრების ლიბერალიზაციას.

პარასკევს ევროკავშირის ქვეყნების 28 ლიდერი სათათბიროდ შეიკრიბა ბარსელონას მახლობლად მდებარე რეზიდენციაში. ამ დროს ქალაქის ცენტრში არეულობა დაიწყო. ათობით პროტესტანტი ისროდა ქვებს და ატრიალებდა ნაგვის ყუთებს. პოლიციამ მათ წინააღმდეგ რეზინის ტყვიები და ხელჯოხები გამოიყენა.

ყველაზე მრავალრიცხოვანი მიტინგი გაიმართა შაბათს, 13 დეკემბრის საღამოს. იგი მოაწყო ორგანიზაციამ, რომლის სახელწოდებაა „კამპანია ევროპის, კაპიტალიზმისა და ომის წინააღმდეგ“.

ბარსელონას დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად ევროპული ქვეყნის მოქალაქეებიც ჩამოვიდნენ. მთავრობამ აკრძალა ქალაქში ევროპელი და ბასკი დემონსტრანტების ავტობუსების შეშვება. საზღვარზე ერთმანეთს შეეტაკნენ აქტივისტები და სამართალდამცველები, რომლებსაც გადაკეტილი ჰქონდათ ქალაქში შესასვლელები. ბარსელონაში წესრიგის დასაცავად მობილიზებული იყო 8 500 სამართალდამცავი. ჩართული იყო საბრძოლო თვითმფრინავები, რაკეტები და ხომალდები. ნატო საჰაერო პატრულირებას ახორციელებდა ჰაერიდან შესაძლო ტერაქტებისგან თავდაცვის მიზნით.

უქმე დღეებში რამდენიმე ათასი აქტივისტი გამოვიდა **მადრიდის** ქუჩებში. მათ გააპროტესტეს კანონპროექტი, რომელიც უზღუდავდა ესპანელებს მიტინგების გამართვის უფლებას. ამ კანონპროექტით დროშის დაწვა და ქვეყნის საწინააღმდეგო გამონათქვამების სკანდირება ისჯება ჯარიმით 30 ათასი ევროს ოდენობით. დაპირისპირების დროს დაიჭრა 23 ადამიანი, მათ შორის 14 სამართალდამცავი.

მასშტაბური საპროტესტო აქცია გაიმართა ბულგარეთის დედაქალაქ **სოფიაში.**

ანტისამთავრობო აქციები ქვეყანაში 6 თვის წინათ დაიწყო, მას შემდეგ, რაც 14 ივნისს ეროვნული უშიშროების სახელმწიფო სამსახურის უფროსად დაინიშნა დელიან პეევსკი, დეპუტატი თურქული უმცირესობის პარტიიდან „მოძრაობა უფლებებისა და თავისუფლებისთვის“.

პარლამენტმა 19 ივნისს გააუქმა თავისი ეს გადაწყვეტილება, მაგრამ დემონსტრაციები გაგრძელდა.

19 დეკემბერს პროფკავშირის აქტივისტებმა დაბლოკეს ბელგიის დედაქალაქის — **ბრიუსელის** ცენტრალური რაიონი, სადაც ევროკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების შტაბ-ბინაა განლაგებული. ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შემოღების წინააღმდეგ. პრაქტიკულად მთლიანად ბლოკირებულია ბრიუსელი, ბულვარის ბოლოს სატრანსპორტო კვანძები.

ორგანიზატორების შეფასებით, აქციაში მონაწილეობდა 30 ათასამდე ადამიანი ევროკავშირის 28 ქვეყნიდან.

მათი აზრით, აშშ-თან ვაჭრობის თავისუფალი ზონის შემოღება და ბიუჯეტის ეკონომიის ევროპული პოლიტიკის განხორციელება საბოლოოდ ძირს გამოუთხრის ევროქვეყნების ეკონომიკებს, გამოიწვევს საწარმოთა მასობრივ დახურვას და უმუშევრობის ტალღის აგორებას.

„უკრაინელებიც კი ჩვენზე ჭკვიანები აღმოჩნდნენ და უკანასკნელ მომენტში უარი თქვეს, მოხსნილიყო მათი სამუშაო ადგილების დამცველი ბარიერები ამერიკის სასარგებლოდ“, — განუცხადა იტარ-ტასის კორესპონდენტს აქციის შტაბის წარმომადგენელმა **ჯულია შნაიდერმა.**

მოძრაობა Forconi-ის საპროტესტო აქციები 9 დეკემბერს დაიწყო. მანიფესტაციის მეოთხე დღეს მას **რომის** უნივერსიტეტ **La Sapienza**-ს სტუდენტებიც შეუერთდნენ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ტურინი-ლიონის ხაზის უსწრაფესი რკინიგზის მშენებლობას და ნაგვის დაწვას ნეაპოლისა და კაზერტას პროვინციებს შორის. საპროტესტო აქცია გაიმართა მაშინ, როცა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მიმდინარეობდა გარემოს დაცვისა და „მწვანე ეკონომიკისადმი“ მიძღვნილი ეროვნული კონფერენცია ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის მინისტრების მონაწილეობით. ძალოვანებმა აქციის მონაწილეებს უნივერსიტეტში შესვლის საშუალება არ მისცეს. დააკავეს ორი სტუდენტი, ორი პოლიციელი დაიჭრა.


იტალია

მთელს იტალიაში გრძელდება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა მასობრივი აქციები. ისინი თავიანთ თავს „9 დეკემბრის მოძრაობას“ უწოდებენ. პირველ 4 დღეში დაიჭრა პოლიციის 14 თანამშრომელი, განხორციელდა 55 დაკავება და 5 დაპატიმრება. იტალიის ვიცეპრემიერმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა **ანჯელინო ალფანომ** პარლამენტის დეპუტატთა პალატაში გამოსვლისას განაცხადა, რომ საკუთარი მოსაზრების საჯაროდ გამოხატვის უფლება ყველას ეძლევა, მაგრამ მთავრობა ვერ დაუშვებს ძალადობის ვერც ერთი ფორმით გამოვლენის ფაქტებს. მან გააფრთხილა საზოგადოებრიობა, რომ ამგვარ აქციებს შეიძლება მოჰყვეს „ამბოხი“ მთელს ქვეყანაში.

გასული კვირის აპოთეოზი, შეიძლება ითქვას, **ჰამბურგში** გამართული აქციის დროს დემონსტრანტთა და პოლიციელთა შეტაკება იყო, რომლის დროსაც სულ ცოტა 117 პოლიციელი დაშავდა.

პოლიციის მონაცემებით, დემონსტრაციაში 7 ათასამდე კაცი მონაწილეობდა, უმრავლესობა რადიკალურ მემარცხენე ჯგუფებს წარმოადგენდა.

პოლიცია აცხადებს, რომ არეულობა დემონსტრანტების მხრიდან მოწყობილ პროვოკაციას მოჰყვა, დემონსტრაციის ორგანიზატორების აზრით კი, აქციის დროს შექმნილი აგრესიული ატმოსფერო განპირობებული იყო პოლიციელების დიდი რაოდენობით (არსებული ინფორმაციით, ადგილზე მობილიზებული იყო ორ ათასამდე პოლიციელი).

**P.S. მოკლედ, ჯუზეპე დე სანტისის 60-იანი წლების ნეორეალისტურ იტალიურ ფილმს „არ არის მშვიდობა ზეთისხილის ხეთა ჩრდილში“ სათაურს თუ დავესესხებით, არ არის მშვიდობა ევროპაში, რომელსაც ფარავს ევროკავშირის ოქროსვარსკვლავებიანი ლურჯი დროშა, საქართველოში მის აფრიალებაზე რომ ოცნებობს ჩვენი ხელისუფლება.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ საიდუმლოდ დაბეჭდა და უპროცენტო სესხის სახით გასცა მთელ რიგ ამერიკულ მსხვილ ბანკებზე 16 ტრილიონი დოლარი. ეს უფრო მეტია, ვიდრე აშშ-ის მთელი სახელმწიფო ვალი ან მთლიანი შიდა პროდუქტი. ეს ოთხჯერ აღემატება აშშ-ის ყოველწლიურ ბიუჯეტს.**

# დოლარი სულს ღაფავს

**ამერიკული დოლარის, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტის, მოახლოებულ აღსასრულში ეჭვი აღარავის ეპარება.**
**ამ საკითხთან დაკავშირებით ახლა მხოლოდ ვადებზე დავობენ. ამერიკის მიყრუებული პატარა ქალაქის — ვიკოს (კონექტიკუტის შტატი) ერთადერთი პოლიციელი, ტონი ვონი, გახდა ამერიკის პირველი მოქალაქე, რომელმაც უარი განაცხადა ანაზღაურების დოლარში მიღებაზე. ნაციონალური ვალუტაზე გულდაწყვეტილი პოლიციელი მოითხოვს, ხელფასი გადაუხადონ ბიტკოინებში, რომელიც, მისი აზრით, სულ მალე ჩაანაცვლებს დოლარს და თანაც არამარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში.**



ელექტრონული ფული, რომელიც 2009 წელს შექმნა ადამიანმა თუ ადამიანთა ჯგუფმა სახელწოდებით Satoshi Nakamoto, ერთ თვეზე ნაკლებ პერიოდში 400 პროცენტით გაძვირდა და ახლა ერთი ბიტკოინი 850 დოლარზე მეტი ღირს. ქალაქ ვიკოს წესრიგის დამცველის გადაწყვეტილებამ თუ მოთხოვნამ მხოლოდ ამ მომცრო დასახლებული პუნქტის 381 მცხოვრები გააოცა, მაგრამ არა სპეციალისტები. სინამდვილეში ტონი ვონმა გააკეთა ის, რაზეც დღეს ბევრი ფიქრობს: **დოლარის, როგორც ძირითადი სარეზერვო ვალუტის, ეპოქა მთავრდება! საჭიროა მხოლოდ იმის გაგება, თუ რა ჩაანაცვლებს მას.**

ამ კითხვას განსაკუთრებულობა ემატება ფედერალური სარეზერვო სისტემის ასწლოვანების ფონზე. ეს არის სისტემა, რომელიც არ კონტროლდება არც ერთი სახელმწიფო კორპორაციის მხრიდან და სისტემა, რომელმაც მთელი მსოფლიო დოლარის ნარკოტიკზე დამოკიდებული გახადა. მთელი საუკუნის განმავლობაში რთავდა რა საბეჭდ მანქანას მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ, ფედერალური სარეზერვო სისტემა ფარატინა ქაღალდების სანაცვლოდ ისრუტავდა რესურსებსა და სიმდიდრეს სხვა ქვეყნებიდან და უზრუნველყოფდა აშშ-ის დომინირებას მთელ მსოფლიოში.

თავის მხრივ, ამერიკა მთელი პოლიტიკით, ეკონომიკური და სამხედრო ძლევამოსილებით ინარჩუნებდა სტატუს-კვოს. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ამ პარაზიტული სიმბიოზისთვის რაიმეს დაპირისპირება არავის შეეძლო, თუმცა 2010 წელს გაერომ ყოველწლიურ სოციალურ-ეკონომიკურ მიმოხილვაში მოახდინა შემდეგი კონსტატირება: „დოლარი აღარ არის მდგრადი შესანახი საშუალება, ეს კი აუცილებელი პირობაა სარეზერვო ვალუტისთვის. საჭიროა შეიქმნას ახალი გლობალური სარეზერვო სისტემა, რომელიც მხოლოდ დოლარზე არ იქნება დაყრდნობილი“.

თავად აშშ-შიც კი იზრდება იმის შეგნება, რომ მსოფლიო სავალუტო სისტემამ, რომელიც 1971 წელს ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების კრახის შემდეგ ჩამოყალიბდა, საკუთარი თავი ამოწურა. რეიგანის პრეზიდენტობისას აშშ-ის ფინანსთა მინისტრის თანაშემწე პოლ კრეიგ რობერტსი დოლარს „აგონიაში მყოფს“ უწოდებს, ფედერალური სარეზერვო სისტემისა და უოლ-სტრიტის საქმოსნებს კი — **„კანონის არმცოდნე დამნაშავეებს“. იგი პირდაპირ ამბობს: „აშშ-ის ეკონომიკა უკვე უკანასკნელ ამოსუნთქვაზეა, ობლიგაციებისა და აქციების ბაზარზე სიცოცხლე შენარჩუნებულია მხოლოდ ფედერალური სარეზერვო სისტემის მხრიდან ლიკვიდურობის „გადასხმისა“ და ფულის ბეჭდვის ისტორიაში უპრეცედენტო ზომების წყალობით“.**

მისი სიტყვების ირიბი დადასტურებაა სარჩელი, რომელიც რამდენიმე დღის წინ მისურის საოლქო სასამართლოში შეიტანეს აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემისა და ნიუ იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის წინააღმდეგ. ორივე მათგანს ბრალს სდებენ შეთანხმებაში და სახელმწიფოსთვის 7 ტრილიონი დოლარის მოპარვაში. ეს განცხადება ნამდვილი ბომბის აფეთქება იქნებოდა, რომ არ იცოდეთ წინამორბედი სკანდალის ისტორია, რომელშიც ასევე ფედერალური სარეზერვო სისტემა აღმოჩნდა ჩარეული.

2009 წელს სენატორმა რონ პოლმა მოითხოვა ამერიკის ისტორიაში პირველი ღია აუდიტი ფედერალური სარეზერვო სისტემისთვის. მას მხარი დაუჭირეს სენატორმა ბერნი სანდერსმა და კონგრესმენმა დენის კუჩინიჩმა. ერთობლივად მათ მოახერხეს ამ ინიციატივის გატანა წარმომადგენლობით პალატაში. შემოწმების შედეგები იმდენად შემაძრწუნებელი აღმოჩნდა, რომ აშშ-ის ხელისუფლება მათ გასაიდუმლოებას შეეცადა.

აუდიტის მონაცემების თანახმად, **2008 წლის კრიზისის პერიოდში და მას შემდეგ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ საიდუმლოდ დაბეჭდა და უპროცენტო სესხის სახით გასცა მთელ რიგ ამერიკულ მსხვილ ბანკებზე 16 ტრილიონი დოლარი. ეს უფრო მეტია, ვიდრე აშშ-ის მთელი სახელმწიფო ვალი ან მთლიანი შიდა პროდუქტი. ეს ოთხჯერ აღემატება აშშ-ის ყოველწლიურ ბიუჯეტს. ბანკებს ერთი ცენტიც არ დაუბრუნებიათ უკან...**

## დოლარის, როგორც ძირითადი სარეზერვო ვალუტის, ეპოქა მთავრდება! საჭიროა მხოლოდ იმის გაგება, თუ რა ჩაანაცვლებს მას

ფედერალური სარეზერვო სისტემის ახლანდელი მმართველი ბენ ბერნანკე მღელვარების მიზეზს ვერ ხედავს და მიიჩნევს, რომ ვიდრე ცენტრალურ ბანკებს „შეუძლიათ, დაბეჭდონ იმდენი ფული, რამდენიც სურთ, და მიიღონ საგანგებო ზომები, რომლებიც ბაზრების მუშაობაში პირდაპირი ჩარევის გზით დაეხმარებიან ფასების შენარჩუნებას ისეთ აქტივებზე, როგორებიცაა ობლიგაციები, აქციები და უძრავი ქონება“, კაპიტალისტური საზოგადოების საფუძვლებს არაფერი ემუქრება.

ფედერალური სარეზერვო სისტემის მეთაურის ციტირებისას ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, ერთ-ერთმა საუკეთესო ფინანსურმა ექსპერტმა მარკ ფაბერმა ბერნანკეს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს პოლიტიკური უწოდა, ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ დოლარების განუწყვეტლივ ბეჭდვას კი — „ახალი გლობალური რეცესიის ასპროცენტიანი გარანტია“. ფაბერის პესიმიზმს მისი მრავალი კოლეგა იზიარებს. ერთ-ერთი მათგანი — ცნობილი ეკონომისტი და ინვესტორი, Euro Pacific Capital-ის გენერალური დირექტორი პიტერ შიფი აღნიშნავს, რომ „მომავალ კრიზისთან შედარებით 2008 წლის ფედერალური ბაზრის კრახი ყველას წვრილმანად მოგვეჩვენება“. საერთაშორისო ფინანსური სისტემის მოახლოებული კოლაფსის შესახებ შავი იუმორით მსჯელობს ჯიმ რიკარდიც, ავტორი წიგნისა „ფულით სიკვდილი“: „უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ის უკვე სამჯერ დაემხო: 1914 წელს, 1939 წელს და 1971 წელს. ეს მსოფლიოს აღსასრულს არ აღნიშნავს. უბრალოდ, ჩვენ ყველანი გამოქვაბულებში გადავალთ საცხოვრებლად“.

აპოკალიფსური განწყობა დაეუფლა მსოფლიოში ცნობილ ისეთ წარმატებულ ბიზნესმენსაც კი, როგორიც დონალდ ტრამპია. თუმცა ამერიკის მთავარ პრობლემას იგი ჩინეთზე მზარდ დამოკიდებულებაში და ამ საკითხთან ბარაკ ობამას უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში ხედავს. ჩინეთმა უკანასკნელ პერიოდში მართლაც უამრავი მიზეზი მისცა მღელვარებისთვის ამერიკის ფინანსური იმპერიალიზმის მომხრეებსა და ერთპოლარული მსოფლიოს ადეპტებს. ვიდრე ექსპერტები ერთი ამგვარი მიზეზის განხილვასა და შეფასებას მოასწრებენ, ჩინური ზარდახშიდან მეორე ამოხტება ხოლმე...

მიმდინარე წლის დეკემბრისთვის, მსოფლიო ბანკთაშორისო ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოების (SWIFT) მონაცემებით, ჩინური იენი ამერიკული დოლარის შემდეგ მეორე ანგარიშსწორებებისას ყველაზე ხშირად გამოყენებად ვალუტად იქცა და ევრო მესამე ადგილზე გადაისროლა. ამჟამად მსოფლიოს 220-ზე მეტი ქვეყანა აქტიურად იყენებს იენს თავის ბაზრებზე და ამ სიის პირველ ხუთეულში გერმანია და ავსტრალია შედის. სულ უფრო მეტი სახელმწიფო აგროვებს ჩინურ ფულს, როგორც სავალუტო რეზერვს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 30 სახელმწიფოსთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება ვალუტის გაცვლის შესახებ.

**დიდი ხანია, ჩინეთი აღარ ასაიდუმლოებს თავის ამბიციურ გეგმებს, მიაღწიოს იუანისთვის გლობალური სარეზერვო ვალუტის სტატუსს, რისთვისაც უკანასკნელი 20 წლის მანძილზე დაჩქარებული ტემპით ზრდის ოქროს მარაგებს. ვინაიდან არ აქვს საშუალება, იხელმძღვანელოს ზუსტი მონაცემებით, ექსპერტები თანხმდებიან იმ აზრზე, რომ ჩინეთის სახალხო ბანკის საცავებში უკვე არის დაგროვილი 5000 ტონაზე მეტი ეს ძვირფასი ლითონი და 2017 წლამდე იგი, შესაძლოა, გაორმაგდეს.**

და ვიდრე იუენი ოქროსი არ გამხდარა, შვეიცარიელი ინვესტორი მარკ ფარბერი ამბობს, რომ უარესისთვის უნდა ვემზადოთ: „შესაძლოა, კარლ მარქსი მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ კაპიტალიზმის მომწიფების კვალდაკვალ კრიზისები სულ უფრო დამანგრეველი იქნება. და რომ უკანასკნელ დამანგრეველ კრიზისში მოხდება საბოლოო კრახი, რომლის შედეგებიც გაანადგურებს თავად ჩვენი კაპიტალისტური საზოგადოების საფუძვლებსაც“.




fbii.org



**ამჟამად აშშ-ის საზღვრებს გარეთ 6 მილიონზე მეტი ამერიკელი ცხოვრობს და, ფინანსთა სამინისტროს აზრით, ისინი ყოვლელწლიურად აშშ-ის ხაზინას 100 მილიარდ დოლარს უმალავენ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელები თავისუფლებას ირჩევენ და სამშობლოდან გარბიან

**მიმდინარე წელი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უკვე ნათელია, რომ ის რეკორდული იქნება იმ მხრივ, რომ წლეულს ყველაზე მეტმა ამერიკელმა განაცხადა უარი საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე. ამის მიზეზი ბარაკ ობამას გადამანაწილებელი პოლიტიკაა გადასახადების გადახდაში.**



საუბარია სამედიცინო და საემიგრაციო რეფორმებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ პერმანენტულ სამხედრო დასწრებაზე მსოფლიოს უამრავ რეგიონში და უზარმაზარ ნაციონალურ ვალზე. საგადასახადო ზეწოლა და ფისკალების სიხისტე იზრდება. თეთრი სახლის ზეწოლაზე ამერიკელების სიმეტრიული რეაქცია მათი სამშობლოდან გაქცევაა.

ცნობილი „ყოფილების" სია ყოველდღიურად ივსება. „ვარსკვლავ-ზოლოვან" სამშობლოზე უარი თქვა რეჟისორმა გერი გილიამ, Facebook-ის თანადამფუძნებელმა ედუარდო სევერინმა, მომღერალმა დენიზ რიჩმა... მიმდინარე წელს ამ სიას დაემატა ტინა ტერნერი, რომელმაც შვეიცარიის პასპორტი აიღო.

მესამე კვარტლის შედეგებით, **აშშ-ის მოქალაქეობაზე უარის მთქმელთა რაოდენობამ 2369 ადამიანი შეადგინა, რაც, სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, 33%-ით მეტია, ვიდრე მთელი გასული წლის მაჩვენებელი.**

სხვათა შორის, ეს მოვლენა დამახასიათებელია არა მდიდარი ამერიკელებისთვის, რომლებიც, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ, გადაადგილდებიან კაპიტალის შესანახად გაცილებით მიმზიდველი პირობების საძებნელად. პირიქით, ეს საკითხი გაცილებით მწვავედ დგას მოკრძალებული შემოსავლების მქონე ადამიანების წინაშე, რომლებიც რამდენიმე ქვეყნის საგადასახადო და საბანკო წნეხში არიან მოყოლილნი...

**საქმე ისაა, რომ აშშ-ის კანონების შესაბამისად, იმისგან დამოუკიდებლად, თუ სად ცხოვრობს და მუშაობს ამერიკელი, მან ყველა შემოსავლიდან გადასახადი უნდა იხადოს ამერიკულ ხაზინაში. საქმე ისაა, რომ ამერიკელები მრავალი წლის მანძილზე მორჩილად ასრულებდნენ ამ წესს, მაგრამ უკანასკნელ წლებში აშშ-ის საგადასახადო ორგანოების მადა უცხოური შემოსავლების მიმართ უპრეცედენტოდ გაიზარდა.**

2014 წელს ძალაში შევა აშშ-ის ხაზინის ახალი წესები, რომელთა საერთო აბრევიატურაა FATCA და Ex-Patriot Act-ი. ეს კანონები უცხოეთის ბანკებისგან მოითხოვს, საგულდაგულო მონიტორინგი გაუწიონ მათი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ამერიკის მოქალაქეთა ანგარიშებს და მათი შემოსავლებიდან ყოველწლიურად 30% დაქვითონ შემდგომში ამ თანხის ამერიკის საგადასახადო სამსახურში გადასაგზავნად.

გასაკვირი არ არის, ამგვარმა ექსპროპრიაციამ აღფრთოვანება არ გამოიწვია მსოფლიოს ბანკებში. მათ ურჩევნიათ, უბრალოდ, გათავისუფლდნენ ამერიკელი კლიენტებისგან...

**ახალი კანონები ამერიეკელებს უცხოეთში, ფაქტობრივად, მეორე ხარისხის მოქალაქეებად აქცევს და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ისინი სულ უფრო ხშირად იღებენ გადაწყვეტილებას, უარი თქვან ამერიკის მოქალაქეობაზე, რაც მათ მხოლოდ ფინანსურ დევნას, უდიდეს ხარჯებსა და პატრიოტიზმის არქონაში დადანაშაულებას უქადის...**

ამერიკის საზღვრებს გარეთ აღარ დარჩა ამერიკელი, რომელიც არ ფიქრობს, უარი განაცხადოს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე. ეს ტენდენცია იმდენად თვალნათელია, რომ მას ზოგიერთი ამერიკელი დიპლომატიც კი აღიარებს.

მაგრამ აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო მტკიცედ დგას მძარცველური კანონების სადარაჯოზე და აფრთხილებს მათ, ვინც ჯერ მხოლოდ აპირებს სამშობლო დატოვოს. **„ამერიკელები, რომლებიც შეეცდებიან, თავი აარიდონ საგადასახადო ვალდებულებებს უცხოეთში, უნდა ელოდნენ, რომ FATCA მათ ქმედებას უკანონოდ შეაფასებს. მოქალაქეობაზე უარის თქმაც კი არ ათავისუფლებს ამ ადამიანებს აშშ-ის წინაშე ვალდებულებებისგან",** — ამბობს **რობერტ სტეკი**, სახელმწიფო მდივნის მოადგილე საერთაშორისო საგადასახადო საქმეებში.

ახლა ეჭვი არავის ეპარება, რომ FATCA-ს კანონები და Ex-Patriot Act-I მხოლოდ გამკაცრდება. ვაშინგტონის ფისკალური პოლიტიკის ეს გარდაქმნა სხვა არაფერია, თუ არა ბარაკ ობამას მიერ ჩაჭედებული მორიგი ლურსმანი აშშ-ის კუბოს თავსახურში. საქმე ისაა, რომ ამერიკული ნაცია ჩამოყალიბდა პრინციპით „არ არსებობს გადასახადები წარმომადგენლობის გარეშე". XVIII-XIX საუკუნეებში ეს იყო ერთგვარი ჯადოსნური კვერთხი, რომელსაც ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს რეპრესიული საგადასახადო ორგანოების წინააღმდეგ მიმართავდნენ. ამრიგად, დღეს ზემოხსენებული კანონები ამერიკელების გონებაში მხოლოდ კოგნიტიურ დისონანსს ბადებს და აიძულებს მათ, გააკეთონ არჩევანი ორ ფუძემდებლურ ამერიკულ ღირებულებას — პატრიოტიზმსა და თავისუფლებას შორის.

**ექსპერტების აზრით, საზღვარგარეთ მცხოვრებ ამერიკელთა უმეტესობა სწორედ პირად თავისუფლებას ირჩევს. ამჟამად აშშ-ის საზღვრებს გარეთ 6 მილიონზე მეტი ამერიკელი ცხოვრობს და, ფინანსთა სამინისტროს აზრით, ისინი ყოვლელწლიურად აშშ-ის ხაზინას 100 მილიარდ დოლარს უმალავენ.** ლოგიკური იქნება, ვივარაუდოთ, რომ ვაშინგტონი ეცდება, დაიბრუნოს დაკარგული ფული, ის შემდგომშიც გაამკაცრებს საგადასახადო წესებს და ამის პარალელურად გაიზრდება იმ ამერიკელთა რაოდენობაც, რომლებიც იურიდიულად გააფორმებენ საკუთარ ემიგრაციას...

fbii.org

# გაყრა ამერიკულად

**გახლეჩილი ქვეყანა — ასეთი შეფასება სულ უფრო ხშირად ისმის დემოკრატებისა და რეპუბლიკელების, ლიბერალებისა და კონსერვატების და კიდევ სხვა დაპირისპირებულთა შეფასებისას, თუმცა, რაც უნდა ერქვას ამ დაპირისპირებებს, ამერიკელები, უკვე დიდი ხანია, ერთ სახლში ველარ ცხოვრობენ. მეზობლები ერთმანეთს აბრალებენ სახლის გადაწვის განზრახვას, საყვარელი ძაღლის მოწამვლის მცდელობას და ათას სხვა წვრილმან თუ მსხვილმან უბედურებას... შტატების განცალკევების მცდელობებს სახელმწიფოებრივი ღალატის მძაფრი სუნი უდის, თავად შტატების კედლებიც კი დაბზარულია. როგორც კი კოლორადოში ჩრდილოეთ კოლორადოს მოწყობა მოინდომეს, უმალ მერილენდიც აფართხალდა...**

სკოტ სტრჟელჩიკი დღისით მერილენდის სოფელ აპალაჩში IT-კონსულტანტია, ღამით კი ჩვენი დროის რევოლუციონერი ხდება.

**„დროა, 51-ე შტატი დავაარსოთ!"** — გამოაცხადა სტრჟელჩიკმა კამბერლენდის საქალაქო საბჭოს შეკრებაზე. იგი **„მეგობრული განქორწინებისკენ"** მოუწოდებს თავის ქალაქსა და მერილენდის უფრო ურბანულ აღმოსავლეთ ნახევარს.

აშშ-ში ბოლოს ახალი შტატის შექმნის შესახებ 1959 წელს გამოაცხადეს: ალიასკა 49-ე შტატი გახდა, ჰავაი კი — 50-ე, მაგრამ სტრჟელჩიკს სჯერა, რომ **უახლოეს 3-5 წელიწადში მერილენდის ხუთი ოლქი ახალ ფედერალურ ფორმირებას ჩამოაყალიბებს.**

და ამგვარი პროცესები მხოლოდ მერილენდში არ ხდება. კალიფორნიაში, კოლორადოსა და მიჩიგანში ცალკეული რეგიონები დამოუკიდებელ შტატებად ქცევაზე ოცნებობენ იმავე მიზეზით, რომლითაც სტრჟელჩიკის სამშობლო — მათ ხელისუფლების პოლიტიკა მოსწყინდათ.

**„თავს მივიჩნევ ჩვეულებრივ ავადმყოფ და დაღლილ ადამიანად, რომელსაც მოსწყინდა, იყოს ავადმყოფი და დაღლილი",** — ამბობს სტრჟელჩიკი და შტატის დედაქალაქ ანაპოლისს ისეთივე ზიზღით მოიხსენიებს, როგორითაც ევროსკეპტიკოსები მოიხსენიებენ ხოლმე ბრიუსელს.

იგი ხელისუფლების პრობლემების სიაში მოიხსენიებს მაღალ გადასახადებს ალკოჰოლსა და სიგარეტზე, მძიმე კანონებს იარაღის გაყიდვების კონტროლთან დაკავშირებით და ა. შ.

ასობით ადამიანმა უკვე მოაწერა ხელი პეტიციას ოლქების შტატიდან გამოყოფის თაობაზე. სტრჟელჩიკი მიტინგებს აწყობს, მთავარი ლოზუნგია **„ერთი პატარა, მაგრამ კომპაქტური ადმინისტრაცია, მეტი თავისუფლება, მეტი პასუხისმგებლობა თითოეულისთვის".**

თავად სტრჟელჩიკი ადრე დემოკრატი იყო, მაგრამ მერე რესპუბლიკელებში გადაბარგდა. მან თავისი პროექტი ახალი შტატის შექმნის შესახებ ჩაის პარტიას შესთავაზა.

მერილენდის მოსახლეობის უმეტესობა დემოკრატები არიან. შტატის ყველაზე დიდ ქალაქში — ბალტიმორში ძირითადად აფროამერიკელები ცხოვრობენ. ჰომოსექსუალური ქორწინებები აქ დაკანონებულია, გუბერნატორი კი მკაცრად იცავს იარაღის კონტროლის კანონებს.

ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტ Center for State and Local Government Leadership-ის დირექტორი ფრენკ შაფროტი ამბობს, რომ სეპარატიზმი დაბერებული მოსახლეობის უკმაყოფილების შედეგია. სოფლებში სულ უფრო ცოტა ახალგაზრდობა რჩება, ხანდაზმულები კი პატივს სცემენ ტრადიციულ ღირებულებებს და ადაპტირება უჭირთ.

**ისე, აშშ-ში განხეთქილებები არავის უკვირს: დელავერი ხომ უკვე გამოეყო პენსილვანიას, კენტუკი — ვირჯინიას, მენი — მასაჩუსეტსს, თუმცა ეს ყველაფერი შორეულ XVII-XVIII საუკუნეებში ხდებოდა. ახლახან კი კოლორადოს შტატის 11-მა ოლქმა დენვერთან ყველანაირი კავშირის გაწყვეტა სცადა, მაგრამ რეფერენდუმმა არ დაუჭირა მხარი ამ წინადადებას.**



**კალიფორნიაში, კოლორადოსა და მიჩიგანში ცალკეული რეგიონები დამოუკიდებელ შტატებად ქცევაზე ოცნებობენ**

ჩრდილოეთ კალიფორნიაში კი მძვინვარებს ჯეფერსონის გამოყოფის თემა, რომელზეც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში საუბრობდნენ.

reporterru.com

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპელ გლეხს 1 კალორია საკვების წარმოებისთვის 6-დან 10 კალორიამდე საწვავი სჭირდება. თუ სახელმწიფო შეწყვეტს ფერმერების დაფინანსებას, ისინი თვალის დახამხამებაში გაკოტრდებიან.**

# ევროპის მეორე სახე

**საფრანგეთში სოფლის მეურნეობის მშრომელები ამბოხდნენ! ყოველ შემთხვევაში ასეთი სათაურები უნდა ამშვენებდეს ევროპის წამყვანი გაზეთების მთავარ გვერდებს. იმასთან შედარებით, რაც ახლა საფრანგეთში ხდება, კიევის ცენტრში აღმართული ბარიკადები სილაში ბავშვების თამაშს ჰგავს. ამ დროს მსოფლიო მედია ყველა მხრიდან გაჰკივის „უკრაინის შეგნებულ მოქალაქეებზე ძალადობის“ შესახებ და დუმს ვითომდა კეთილდღეობაში მცხოვრები ევროპის გულისგულში მიმდინარე მასშტაბურ სოციალურ პროტესტებზე.**




ნოემბერში ახალი მეიდანის სტარტის პარალელურად საფრანგეთში ბრეტანელი ფერმერების ბუნტი დაიწყო. აგრალური დარგის მშრომელები ახალი „ეკოლოგიური“ გადასახადის წინააღმდეგ ამბოხდნენ და პარალელურად მზარდი უმუშევრობაც გააპროტესტეს. ბრეტანს მხარი დაუჭირეს საფრანგეთის ცენტრიდან: რენეს დეპარტამენტში გაიმართა 30-ათასიანი დემონსტრაცია, რომელიც პოლიციამ სპეცსაშუალებების გამოყენებით დაშალა. ერთ-ერთ პროტესტანტს გაზის ყუმბარის აფეთქებამ ხელი მოაგლიჯა, უამრავი ადამიანი კი სიცივეში გაიყინა მას შემდეგ, რაც ბრბო გვარიანად დაასველეს ცივი წყლის ჭავლით. უკრაინის მილიციის სპეციალური დანიშნულების რაზმი ფრანგ პოლიციელებს ვერც მიედრება!

საფრანგეთის პრემიერმინისტრმა ჟან-მარკ ერომ, როგორც გამოცდილმა ევროპელმა, განაცხადა, რომ პრობლემა მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა მოგვარდეს, გამოსვლები კი დაუშვებელია და გასცა ბრძანება, რაც შეიძლება სწრაფად ჩაეხშოთ ბუნტი. აჩქარებამ სისხლისღვრა გამოიწვია. **ახლა, როგორც ფრანგი პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რენეში გამართული სასაკლაოს შემდეგ „ეკოგადასახადის“ უბრალოდ გაუქმება საკმარისი აღარ იქნება და მთავარ მინისტრს თავისი კაბინეტიანად გადადგომა მოუწევს. პარიზი ბლოკირებულია გაკოტრებული ფერმერების ტრაქტორებით, იგივე სიტუაციაა სტრასბურგშიც.**

9 დეკემბერს, ზუსტად ერთი თვის შემდეგ, რაც დემონსტრანტებს გაუსწორდნენ, გადასახადების შემცირებისთვის საბრძოლველად მზადყოფნა გამოაცხადა თავისუფალი პროფესიების ნაციონალურმა კავშირმა (UNAPL) — პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე მომუშავე მცირე მეწარმეებს აერთიანებს. ესენი არიან ადვოკატები, კერძო მეწარმეები, ბუღალტრები, ექიმები, ნოტარიუსები, სპორტული სექციების ხელმძღვანელები და სხვა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლები საფრანგეთის შრომის ბაზრის 27%-ს და მთელი სამუშაო ადგილების 25%-ს ავსებენ. თუ დაპირებული გაფიცვა მართლაც შედგა, ქვეყანა სრულად პარალიზებული იქნება.

**UNAPL-ის აქტივისტებმა უკვე შეადგინეს პეტიცია და განათავსეს სოციალურ ქსელებში. დოკუმენტის ქვეშ ხელმოწერების რაოდენობამ დიდი ხანია ნახევარ მილიონს გადააჭარბა. პროფკავშირების ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ სოლიდარობას უცხადებენ ბრეტანელ ფერმერებს და არ გამორიცხავენ, რომ მომავალში აგრარებს შეუერთდებიან.**

არავისთვისაა საიდუმლო, რომ დასავლეთევროპელი ფერმერები მხოლოდ სახელმწიფო დოტაციების ხარჯზე არსებობენ და მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერით შეუძლიათ, კონკურენცია გაუწიონ მსოფლიოს სხვა რეგიონების ფერმერებს. სტატისტიკის თანახმად, ევროპელ გლეხს 1 კალორია საკვების წარმოებისთვის 6-დან 10 კალორიამდე საწვავი სჭირდება. თუ სახელმწიფო შეწყვეტს ფერმერების დაფინანსებას, ისინი თვალის დახამხამებაში გაკოტრდებიან.

ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობაში ფულის უწყვეტი გადაქაჩვა აყვავებულობის შთაბეჭდილებას ტოვებს — ევროპელებს ხომ აზიელებზე ახალი კომბაინები აქვთ! სამაგიეროთ აზიელებს შეუძლიათ, იმავე ვადებში და მხოლოდ შიშველი ხელებით, ყოველგვარი საწვავის გარეშე, მოიყვანონ იმავე რაოდენობის პროდუქტი. დასავლეთის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დოტაციური პოლიტიკა არის ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც აზიურმა და ლათინოამერიკულმა პროდუქციამ მსოფლიო ბაზარზე წამყვანი პოზიციები ჯერაც ვერ დაიკავა.

**საფრანგეთში ახალი ეკოლოგიური გადასახადის შემოღება საერთოდ გაანადგურებს ისედაც სულის მღაფავ ადგილობრივ ფერმერულ მეურნეობებს**

ამრიგად, ბელგიელი, ნიდერლანდი, ინგლისელი, ესპანელი და ფრანგი ფერმერები იძულებულნი არიან, ყველა კაპიკი დაითვალონ. საფრანგეთში ახალი ეკოლოგიური გადასახადის შემოღება საერთოდ გაანადგურებს ისედაც ძლივს მფეთქავ ადგილობრივ ფერმერულ მეურნეობებს. ევროპელ აგრარებს სამართლიანად ეშინიათ, რომ ვერ შეძლებენ აზიელებსა და ლათინოამერიკელებთან კონკურენციას, ამიტომ ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯი მათთვის ცალსახად დაუშვებელია. როგორც ჩანს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სასოფლო სამეურნეო დარგის ძალზე ღრმა სისტემური კრიზისი ძალიან მალე მიაღწევს აპოგეას.

ზემოხსენებულ პრობლემებს ამძიმებს ბიუჯეტის დეფიციტი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. ხელისუფლებას, იმისათვის, რომ საკუთარი სოციალური მოვალეობები შეასრულოს, სასწრაფოდ სჭირდება ფული და ყველაზე ადვილია, რომ ეს ფული გადასახადების გაზრდით იშოვოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ფრანსუა ოლანდისა და მისი წინამორბედი ნიკოლა სარკოზის ბოლოდროინდელი პოლიტიკის წყალობით, უმუშევარი ფრანგების არმია მხოლოდ იზრდება, დასაქმებული მოქალაქეების რაოდენობა კი მცირდება. გამოდის, რომ უმცირესობა იძულებულია, გამოკვებოს უმრავლესობა?

გარდა ამისა, სამუშაო ადგილების დაკარგვით ფრანგები საარსებო სახსრების გარეშე რჩებიან. როგორ მისცენ საკუთარ თავს სტომატოლოგის ან მუსიკის რეპეტიტორის მომსახურებით სარგებლობის უფლება, თუ ფული ძლივს ჰყოფნით უახლოეს სუპერმარკეტამდე მისაღწევად? თავად სტომატოლოგებსა და რეპეტიტორებს მშვენივრად ესმით, რომ უმუშევრობის ზრდის გამო, შესაძლოა, კლიენტების გარეშე დარჩნენ. ასე რომ, ეს ჩაკეტილი წრეა — როგორც კი ვიღაც კოტრდება, ავტომატურად ღატაკდება ყველა, ვისაც ის მიმართავდა ხოლმე მომსახურებისთვის. საფრანგეთის ეკონომიკაში მომსახურების სფეროს გაბერილი წილის გამო ინდივიდუალური მეწარმეების გაკოტრება დღე-დღეზე მიაღწევს კატასტროფულ მასშტაბებს.

საფრანგეთში გამეფებული კრიზისის სიღრმეებში ჩაწვდომა შესაძლებელია მხოლოდ ამ ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების შესწავლით. მიმდინარე წლის შედეგების თანახმად, საფრანგეთის ეკონომიკამ ნულოვანი ზრდა აჩვენა. შემოდგომაზე ახალგაზრდობას შორის უმუშევრობამ 25%-ს მიაღწია და ქვეყნის მთელი მოსახლეობის 10,9% შეადგინა. ამგვარ ანტირეკორდებს მეხუთე რესპუბლიკა, უკვე 15 წელია, არ შეჯახებია: უკანასკნელად უმუშევრობის ამგვარი ზრდა მხოლოდ 1998 წელს დაფიქსირდა.

**საფრანგეთი უკვე ვეღარ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, რომელთა თანახმადაც ევროკავშირის ყველა ქვეყანა უნდა ინარჩუნებდეს ბიუჯეტის დეფიციტს საერთო შიდა პროდუქტის მოცულობის სამპროცენტიან ნიშნულზე ქვემოთ. ოფიციალური მონაცემებით, 2013 წელს საფრანგეთის ბიუჯეტის დეფიციტმა 4%-იან ნიშნულს მიაღწია. ამავე დროს საერთაშორისო რეიტინგულმა სააგენტომ „STANDARD AND POOR'S“ საფრანგეთის კრედიტუნარიანობის რეიტინგი შეამცირა. როგორც ჩანს, პარიზი მალე ათონთან, რომთან, მადრიდთან და ლისაბონთან ერთად ერთ ნავში აღმოჩნდება.**

ხელისუფლების მხრიდან კეთილსინდისიერი თამაშით დაინტერესებული მოსახლეობის ყველაზე აქტიური ფენის — ფრანგი ფერმერებისა და წვრილი მეწარმეების გამოსვლები არ არის პირველი მერცხალი, რომელიც დასავლეთ ევროპის ეკონომიკური კრახის მოახლოებას წინასწარმეტყველებს. გრძელვადიან პერსპექტივაში ევროპას რეგრესი ელის. იმისათვის, რომ ნაციონალური ეკონომიკები გადარჩნენ, ევროპული ხელისუფლებები სასწრაფოდ უნდა შეუდგნენ რადიკალური და ხალხში არაპოპულარული რეფორმების განხორციელებას. კერძოდ, საჭიროა უარის თქმა დოტაციურ სოფლის მეურნეობაზე, რათა მეურნეობიდან გამოირიცხოს ძვირადღირებული მანქანები. ეს არ იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი. უმჯობესია ხელით მუშაობის ეფექტურობის ამაღლება ნიადაგის საუკეთესოდ მოვლის ხარჯზე. ახლა ასე უამრავი ქვეყანა იქცევა.

**გარდა ამისა, საჭიროა საერთაშორისო სავაჭრო გზების ცვლილებების და წყნარი და ინდოეთის ოკეანეების, ასევე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის მნიშვნელობის ზრდის გათვალისწინება. თუ ადრე ევროპა მსოფლიოს ჭიპი იყო, ახლა ბალანსი აზიის ქვეყნების სასარგებლოდაა გადანაცვლებული. იმისათვის, რომ ახალ პირობებში გადარჩეს, ევროკავშირს საკუთარ თავში ჩაკეტვა და „აგრესიულ“ გარე სამყაროსთან კონტაქტისთვის თავის არიდება მოუწევს. ამიტომ სოფლის მეურნეობის რეფორმა და სამრეწველო საწარმოების დასავლეთ ევროპაში დაბრუნება ევროპელი პოლიტიკოსებისა და მეწარმეებისთვის XXI საუკუნის დასაწყისის მთავარ პრობლემად იქცევა.**

ამასობაში საფრანგეთში პროტესტები ძალებს იკრებს. როგორც არაბულ სამყაროში, იქაც ის წვრილი მეწარმეები უდგანან სათავეში საპროტესტო მოძრაობებს, რომლებსაც სახელმწიფო ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. ამის შემდეგ ლიცენზიების გარეშე მომუშავე ბიზნესმენებს შეუერთდა ყველა, ვინც კი რამით უკმაყოფილო იყო და დაპირისპირების აპოგეად იქცა სცენაზე ყველასთვის ცნობილი ძალის მიერ მოსყიდული იმ რადიკალების გამოსვლა, რომლებმაც ტუნისში, ლიბიასა და ეგვიპტეში უკვე მოიხვეჭეს სახელი და დიდება.

ასე რომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ საფრანგეთში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლები „ევროპული გაზაფხულის“ კატალიზატორად იქცეს.

topwar.ru

## პარლამენტის თავმჯდომარე მოუთმენლად ელოდება

**გიგი უგულავასა და ვანო მერაბიშვილის განცხადებებთან დაკავშირებით, მოუთმენლად ველით სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებებს და საბოლოო დასკვნებს, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა, ბიუროს სხდომაზე განაცხადა. მისივე თქმით, ამ საქმეების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი დიდია.**

„საზოგადოებრივი ინტერესი დიდია. პირველ რიგში იმიტომ, რომ, რამაც ამ განცხადებამდე მიიყვანა აღნიშნული პირები, საერთოდ ჩვენი ქვეყანა, იმაზეა ძალიან დიდი საზოგადოებრივი ინტერესი.

რა თქმა უნდა, ქალაქის მერი, ყოფილი პრემიერმინისტრი და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი როდესაც ბრალდებულები არიან კონკრეტულ საქმეებში, ეს უკვე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია. ამასთან, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ყველა ორგანომ, დაწესებულებამ თავისი მაქსიმუმი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ სწორად გადაწყდეს ეს საკითხები. ამიტომ თითოეული ამ მიმართულებით მოუთმენლად ველით სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებებს და საბოლოო დასკვნებს“, — განაცხადა უსუფაშვილმა.

დღესვე ბიურომ მხარი არ დაუჭირა საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე უმცირესობის წინადადებებს. ერთი უკავშირდებოდა გიგი უგულავას საჯარო განცხადებას სასამართლოზე ზეწოლის შესახებ, მეორე კი — ვანო მერაბიშვილის განცხადებას ზეწოლის შესახებ.

**დიდ ბრიტანეთში ახლა უმუშევრობის გამო დახმარებას იღებს 18-დან 25 წლამდე მილიონი ბრიტანელი. მათთან ერთად დახმარებით ცხოვრობს უამრავი დევნილი და პიცის დამტარებლად მუშაობა მათ არ უღირთ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპული მულტიკულტურიზმის აღსასრულის სამი წლისთავი: ახალი რეცეპტი არ არსებობს, გარდა ძველი კეთილი ნაციზმისა

**ბრიტანეთში პიცერიების ქსელ Domino's-ის დირექტორ ლენს ბეჩელორს დიდი პრობლემები აქვს — თანამშრომლებს ვერ პოულობს. ეს მაშინ, როდესაც ქსელი იაფფასიანთა კატეგორიას არ განეკუთვნება და მიმზიდველ სამუშაო ადგილად ითვლება, მაგრამ გენერალური დირექტორი იძულებული გახდა, პრესით მიემართა მთავრობისთვის, სასწრაფოდ გაუხსნას საზღვრები მიგრანტებს, რადგან ბრიტანელები მასთან სამუშაოდ არ მიდიან, ბიზნესი კი გაფართოებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ ევროპულ თანასწორობას თავისებური აგებულება აქვს და მასში რაღაც გატყდა, რაღაც, რასაც ეს შემთხვევა იდეალურად ასახავს...**




## აღმოსავლეთევროპელები იძულებულნი არიან, მოემსახურონ დასავლეთ ევროპის ძირძველ მოსახლეობასაც და დევნილებსაც

პრობლემის არსი თავად მისტერ ბეჩელორმა აღწერა. ადამიანებს, რომლებიც ადრე მასთან მუშაობდნენ, იქ მუშაობა აღარ სურთ, ახალ ადამიანებს კი ვერსად პოულობს. უფრო მეტიც, მას წლიდან წლამდე ეს პრობლემა აქვს — შეჰყავს მუშები და ისინი მისგან გარბიან. ბეჩელორი მზადაა, ხვალვე დაასაქმოს 1000 მიგრანტი — ბიზნესს მზარეულები და პიცის დამტარებელი მძღოლები ესაჭიროება.

**შედარებისთვის, დიდ ბრიტანეთში ახლა უმუშევრობის გამო დახმარებას იღებს 18-დან 25 წლამდე მილიონი ბრიტანელი. მათთან ერთად დახმარებით ცხოვრობს უამრავი დევნილი და პიცის დამტარებლად მუშაობა მათ არ უღირთ.**

აღმოსავლეთევროპელები, რომლებსაც, საბაზრო ლოგიკის თანახმად, დაევალათ ადგილობრივებისა და დევნილების არეული საქმეების დალაგება, სულელები არ არიან და პირველი შესაძლებლობისთანავე გარბიან უკეთეს სამსახურში. ეს რესურსი ჯერ სრულად ამოწურული არ არის — როდესაც ევროკავშირში შევიდნენ რუმინეთი და ბულგარეთი, ერთ-ერთი პირობა იყო 2014 წლის 1 იანვრამდე ამ ქვეყნების მოქალაქეებისთვის დასავლეთ ევროპაში მუშაობის აკრძალვა. მალე ბატონ ბეჩელორს წელიწადში დაახლოებით 8-10 ათასი ბულგარელი ეყოლება, ისინი ჯერ პოლონელებსა და ბალტიისპირელებს წაართმევენ სამუშაოს, მერე კი დასავლეთუკრაინელებს დაელოდებიან.

მაგრამ ეს ვერ მოაგვარებს იმათ პრობლემას, ვინც ჭერში ყურებით ელოდება იოლ და მაღალანაზღაურებად სამუშაოს. ამგვარ სამუშაოს დაჰპირდნენ მათ პოსტინდუსტრიული გადაწყობისას, როდესაც ოკეანის გაღმა არის ჩინელებით სავსე მუდმივი ამწყობი ფაბრიკა. თუმცა ეს წყობა დაიშალა ჯერ კიდევ აწყობამდე, ხოლო სიტუაციას საბოლოოდ მოუღო ბოლო ყბადაღებულმა მულტიკულტურიზმმა. მისი წყალობით მიგრანტები ორ ფრთად გაიყვნენ — ისინი, ვინც აღმოსავლეთ ევროპიდან არიან, ოცნებობდნენ ცივილიზაციაზე და მზად იყვნენ მუშაობისთვის, ხოლო აზიელი და აფრიკელი დევნილები ათასობით შეედინებოდნენ ბრიტანეთში ტოლერანტული რიტორიკის ფონზე და მნიშვნელოვანწილად ევროპელების ხარჯზე აპირებდნენ კარგად ცხოვრებას. ისინი ვარაუდობდნენ, რომ კვლავაც იცხოვრებდნენ დიდ პოლიგამიურ ოჯახებად პასპორტებში შტამპების გარეშე და „არასრულ" ოჯახებში ბავშვებს გაზრდილი დახმარების იმედად გააჩენდნენ. ლონდონში შავკანიანი და თეთრკანიანი ბავშვების თანაფარდობა სკოლებში, სულ მცირე, 60%-ია, უფრო ნაკლები არ არსებობს.

**ამგვარად, აღმოსავლეთევროპელები იძულებულნი არიან, მოემსახურონ ძირძველ მოსახლეობასაც და დევნილებსაც. ამასთან, მათთვის მუშაობა სულ უფრო ნაკლებკომფორტულია, კრიზისის გამო დასავლეთევროპული ქვეყნები აუქმებენ შრომის ბაზრებს და ეკონომიას აკეთებენ ისეთ იაფფასიან მუშა ძალაზეც კი, როგორებიც ახლადგაევროპელებულნი არიან.**

ზანგებს, ალბათ, აქამდეც წაართმევდნენ ზემოხსენებულ პრივილეგიებს და, სხვა მიგრანტების მსგავსად, გაამწესებდნენ სამუშაოდ, მაგრამ მულტიკულტურიზმისა და ტოლერანტობის შესახებ პროპაგანდის მუდმივი შემოტევების ფონზე ამის გაკეთება, უბრალოდ, შეუძლებელია. შეგახსენებთ, სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ანგელა მერკელმა მულტიკულტის ჩავარდნის შესახებ გამოაცხადა, მაგრამ, მიუხედავად პირველი პირების ხმამაღალი აღიარებისა, პროცესი განუხრელად ვითარდება.

იმისათვის, რომ გავიგოთ, რას სთავაზობს ახლა ევროპა თავის ხალხს, საკმარისია იმ ვიდეორგოლის ნახვა, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა ევროპარლამენტის ოფიციალურ ვიდეოარხ YouTube-ზე.

„იოცნებე!" — და ზანგები წყალში ხტებიან ღია ჭიშკრიდან, წყალს კი ისინი თვალის დახამხამებაში აფრიკიდან ესპანეთისა და იტალიის სანაპიროებამდე მიჰყავს.

„დათანხმდი!" — და ქალი გადაიწევს საქორწინო ფატას და შავკანიან ქმარს უღიმის.

„არ დათანხმდე!" — და შავი ცხვირსახოცებით სახედაფარული აგრესიული ბრბო პოლიციელებს ქვებს უშენს.

„გიყვარდეს!" — და ტალახში ამოსვრილი ადამიანების წყვილი, რომელთაც არც სახეები უჩანთ, არც სქესობრივი კუთვნილება, მხურვალედ კოცნის ერთმანეთს.

„გძულდეს!" — და ხოპსტერი გადატენის კალაშნიკოვს და დადის ქარხანაში, სადაც ყველას და ყველაფერს ესვრის.

ვიდეორგოლის დასასრულს კი — მორალი: „ჩვენ მრავალ სხვადასხვა სახის არჩევანს ვაკეთებთ, მაგრამ ევროპაში ყველა აზრს თანაბარი შანსი აქვს!"

**ჩვეულებრივი ევროპელი უკვე თავს ცუდად გრძნობს თავისი პროგრესულობის გამო, მაგრამ რაიმეზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. შვედი ავტორები კარლ-ოლოვ არნსტბერგი და გუნარ სანდელინი სახალხოდ მხოლოდ იმის გამო გალანძღეს, რომ გამოაქვეყნეს წიგნი „იმიგრაცია და მიჩუმათება". მასში არის დეტალური მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენს იხდის შვედეთი მიმდინარე მიგრაციული პოლიტიკის შესანარჩუნებლად, მხოლოდ სტატისტიკით გამყარებული ფაქტები. ავტორებმა მხოლოდ ნორვეგიაში შეძლეს წიგნის გამოქვეყნება, რადგან არც ერთმა შვედურმა გამოცემამ ამხელა რისკი არ აიღო საკუთარ თავზე.**

მსუბუქი კრიტიკით გამომსვლელი ნებისმიერი ადამიანის კრიტიკის ქარცეცხლში გატარების პირობებში მუშაობს ძველი ევროპული მექანიზმი, რომელიც XXI საუკუნეში ანდერს ბერინგ ბრეივიკის სახელითაა ცნობილი. სწორედ მისი ტერაქტით დაიწყო ევროპული მემარჯვენე პარტიების რენესანსი. მათ მომხდარში საინფორმაციო ბლოკადის გარღვევა დაინახეს და მიზეზიც, უფრო ხმამაღლა ალაპარაკებულიყვნენ მიგრაციის პრობლემებზე.

სიტუაცია მწვავდება იმით, რომ დეგრადირებულ ევროპულ განათლებას ჰიტლერის დანაშაული ექვსი მილიონი ებრაელის გაწყვეტამდე დაჰყავს და აბსოლუტურად გამორიცხულია დანაშაულთა სიიდან მილიონობით სხვა ადამიანთა დაღუპვა ომში. თავის მხრივ, აბსოლუტურად ზომიერი მემარჯვენე პოლიტიკოსების, მაგალითად, მარინ ლე პენის ჰიტლერთან შედარება და სისხლის სამართლებრივი დევნა ხოლოკოსტის რედაქტირებული ვერსიის უარყოფის გამო მასობრივ ცნობიერებაში ნელ-ნელა ჰიტლერის, როგორც თეთრკანიანი ევროპისთვის მებრძოლის, რეაბილიტაციას განაპირობებს. გამოდის, რომ იგი არც თუ დიდად ცდებოდა, როდესაც, თეთრი ევროპის შენარჩუნების მიზნით, ებრძოდა ყველა შავკანიანს, ბოშას, ებრაელს და კომუნისტს — ყველას, ვინც მოიგონა ეს მულტიკულტი ევროპის დასაღუპად. შესაბამისად, ხელახლა გადაიხედება ჰიტლერის მემკვიდრეობაც.

ახლახან ვინმე მარიამ კოტლებამ, პარტიიდან „ჩვენი სლოვაკეთი", გაიმარჯვა ქვეყნის ერთ-ერთი ცენტრალური რეგიონის გუბერნატორის არჩევნებში. იგი ანტიბოშური აქციების აქტიური მონაწილეა, ხალხში ესესელის ფორმით სიარული მოსწონს და სლოვაკეთის უკანასკნელი ფაშისტი მმართველის — იოზეფ ტისოს თაყვანისმცემელია. ამასთან, კოტლება მოუწოდებს ქვეყანას ნატოდან გამოსვლისკენ, ნაციონალური ვალუტის შემოღებისკენ, ბრიუსელის გავლენის შეზღუდვისკენ და საერთოდ, პარაზიტების სასარგებლოდ კეთილდღეობის არათანაბრად გადანაწილებისთვის ბოლოს მოღებისკენ. ევროპის ებრაული კონგრესი უკვე გამოვიდა ამასთან დაკავშირებით და მოითხოვა დაუყოვნებლივ ჩარევა და მცოცავი ფაშიზმის აღკვეთა.

**აღსანიშნავია, რომ კოტლებას ტვინი დამოუკიდებლად არაფერს გამოიმუშავებს. იგი, ისევე, როგორც მრავალი ახალი ევროპელი და მემარჯვენე პატრიოტი ევროკავშირში, „კულტურულ მარქსიზმამდე" დაბრუნდა უკან, აღმოაჩინა იმ დროში ტრადიციული ევროპული ფაშიზმი და მთლიანად მიიღო ის. ახლა ამ ადამიანს, პირველ რიგში, ბოშები უშლიან ხელს, რადგან სლოვაკეთი მათზე ხარჯავს თავის საბრალო ბიუჯეტს, ამიტომ ანტისემიტიზმს ნახევრადმინიშნებებით ნიღბავს.**

სია შეგვიძლია გავაგრძელოთ — მეზობელ უნგრეთში ძალებს იკრებს შინაარსით ანალოგიური ნაციონალური და ცალსახად ანტისაბჭოური „უკეთესი უნგრეთისთვის". თავად ბრეივიკსაც სურდა ფაშისტური სკანდინავიური პარტიის დაარსება, მაგრამ კიდევ ერთი დამფუძნებელი იყო საჭირო და ამან შეუშალა ხელი. იპოვის და დაარეგისტრირებს კიდეც, მომხრეებიც გამოუჩნდებიან, ევროპაში ხომ ყველა აზრი უნდა იქნეს გაგებული. ტოლერანტულობის ლოკომოტივს, რომელიც ცივილიზებულ შენიშვნებზე შეჩერებას არ აპირებს, ერთ დღესაც ნამდვილი ფაშისტების ხელით მოცელვა ელის.

არავის აქვს იმის იმედი, რომ, როდესაც მსოფლიო უკიდურეს ქვედა წერტილამდე დავა, ზომიერი ევროპელი ნაციონალისტები ყველა აღშფოთებულის აკუმულირებას შეძლებენ. ყველას ახსოვს, როგორი სიხარულით ხვდებოდა ნეონაცისტებს ჰიპერინფლაციით გათელილი გერმანია. ეს პერსპექტივა განსაკუთრებით უსიამოვნოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ კრიზისისგან პირველად დამოუკიდებლობადაკარგული აღმოსავლეთ ევროპა დაეცემა.

**ჯერ კიდევ საკითხავია, რას ფიქრობდა ბრიუსელი, როდესაც მაძღარ ბიურგერებს აქცევდა ადამიანებად, რომლებიც მზად არიან, ტოლერანტულობისგან თავი რადიკალური მეთოდებით დაიცვან.**

odnako.org

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, მსოფლიოში რითაც ვიყავით გამორჩეული უკანასკნელ ათწლეულში პატიმართა რაოდენობა იყო. პირველი ვიყავით. ეს „ნაციონალური“ ხელისუფლების ხელწერაა. „ქართული ოცნების“ გაბედულმა ნაბიჯებმა დიდი გარღვევა გააკეთა, მაგრამ... ისევ გულდასაწყვეტი „მაგრამ“.

# მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს





**თქვენო აღმატებულებავ,**

ამ წერილს უხუცესთა საბჭოს სახელით გწერთ. იგი სამი რამით არის ნაკარნახევი: პირველი — ქართული ტრადიციით; მეორე — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის თითქმის ყველა, განსაკუთრებით კი, ბოლო წლების ეპისტოლეების განწყობით და მესამე — იმით, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ამ საკითხების გადაწყვეტას დიდი ხანია ელოდება და თვლის, რომ ეს ნაბიჯი გადასადგმელია იმ პრეზიდენტის, მთავრობისა და პარლამენტის მიერ, რომელთაც ხალხის ასეთი მხარდაჭერა მიიღეს.

ამ დიდი შემოძახილის გაკეთებას ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან ერთად ვაპირებდი, ვწუხვარ, რომ ის ჩვენთან აღარაა. ნათელი დაადგეს მის ხსოვნას. ამ დიდი კაცის სახელთან უამრავი კეთილი საქმეა დაკავშირებული და ესეც მისი სახელით მინდა გაკეთდეს.

საქართველოში ისტორიულადაც და ტრადიციულადაც იყო ქალის კულტი. ბავშვი, მოზარდი იყო და რჩება უპირველეს სალოცავ ხატად. მოხუცისადმი პატივისცემა ჩვენი დიდი კულტურის ნაწილია.

უფალს ვთხოვ, არასდროს შეირყეს ეს ტრადიცია. დღეს სწორედ ამის დამადასტურებელი ნაბიჯია გადასადგმელი ისე, როგორც გვეკადრება. როგორც ეს მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ასეა, დიდი ხანია და ბოლო პერიოდში რუსეთის ხელისუფლებამაც კი განსაკუთრებული ხაზგასმით დაადასტურა ეს.

ახალს არაფერს ვამბობ: სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, მსოფლიოში რითაც ვიყავით გამორჩეული უკანასკნელ ათწლეულში პატიმართა რაოდენობა იყო. პირველი ვიყავით. ეს „ნაციონალური“ ხელისუფლების ხელწერაა. „ქართული ოცნების“ გაბედულმა ნაბიჯებმა დიდი გარღვევა გააკეთა, მაგრამ... ისევ გულდასაწყვეტი „მაგრამ“.

იმ პირთა შორის, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, ჯერ კიდევ უამრავი ქალბატონი, ბავშვი და ასაკოვანი ადამიანია. ჩემი პოზიცია, გნებავთ, ჩემი ხვეწნა-მუდარაა თქვენდამი, საერთოდ ხელისუფლებისადმი, რომ 16 წლამდე ასაკის მოზარდი, 70 წელს გადაცილებული მამაკაცი, 65 წელს გადაცილებული ქალი, საერთოდ ქალბატონი, რომელთაც არ ჩაუდენიათ ქვეყნისთვის საშიში ან ადამიანის სიცოცხლის ხელმყოფი დანაშული, განთავისუფლდნენ სასჯელის მოხდისგან.

ქვეყნის მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე, მე რომ ვიღებდე გადაწყვეტილებას, ამნისტიის დროს მოზარდთა ასაკს გავზრდიდი 18 წლამდე, ქალისას შევამცირებდი 60 წლამდე, ხოლო მამაკაცისას — 65 წლამდე და დიდი სიამოვნებით დავამატებდი წინა ხელისუფლების მიერ ყველა რეპრესირებულს, განსაკუთრებით კი იმ მეწარმეებს, რომელთაც ქონებაც წაართვეს და პატიმრობაც შეუფარდეს.

თქვენო აღმატებულებავ,

სათქმელი გითხარით პირდაპირ და გულახდილად. ვწუხვარ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა მაიძულებს, ასეთი წერილით მოგმართოთ. მაგრამ მეამაყება, რომ გწერთ იმას, რაც გამოხატავს მოსახლეობის უმრავლესობის განწყობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სურვილს, ქვეყნის ნამდვილ მეგობართა მოლოდინს და გამოხატავს იმას, რაც განსაკუთრებულად სჭირდება დღეს ჩვენს საზოგადოებას და მომავლის საქართველოს.

ბატონო გიორგი, გიდასტურებთ ღრმა პატივისცემას, წინასწარ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და დიდი სურვილი მაქვს, დამდეგ ახალ წლამდე ვიხილო თქვენი ხელმოწერა მსგავს დოკუმენტზე.

ასეთივე მიმართვას ვაგზავნი საქართველოს პარლამენტში, პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონ დავით უსუფაშვილის და პარლამენტართა სახელზე.

**უხუცესთა საბჭოს სახელით**
**კინორეჟისორი,**
**მშვიდობის ელჩი**
**რეზო ჩხეიძე**

# ზურაბ კვარაცხელია — 50

**ალბათ, განგების ნება იყო, რომ ზუსტად 50 წლის წინ, ახალი წლის პირველ დღეს მოევლინა ქვეყანას ბატონი ზურაბ კვარაცხელია. ბატონმა ზურაბმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განვლილი პერიოდი უშურველად მოახმარა საკუთარი ერის სიყვარულს, საფიცარი სამშობლოს სამსახურს. ის, სრულიად ახალგაზრდა, პირდაპირ გადაეშვა ეროვნული მოძრაობის მორევში, გახდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას იდეებისთვის მტკიცე, ურყევი და ერთგული მებრძოლი. ძალიან ძნელი იყო ეს გზა. 1987 წელს იგი ხდება „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ წევრი, მაგრამ ზვიად გამსახურდიასთან ორგანიზაციის დაპირისპირების გამო ტოვებს საზოგადოებას. ამავე მიზეზით ტოვებს ედპ-ს „მეოთხე დასის“ სოხუმის ფილიალს.**



1989 წელს, აფხაზეთში, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის — ვოვა ვეკუას დაბადების დღეს, ზურაბ კვარაცხელიას ხელმძღვანელობით ფუძნდება ორგანიზაცია „თავისუფალ დემოკრატთა კავშირი“, რომელშიც ზურაბ კვარაცხელია აქტიურად მონაწილეობს. იგი, ზვიად გამსაურდიასა და მერაბ კოსტავას გადაწყვეტილებით, ხდება „ეროვნული ხსნის კომიტეტის“ წევრი. 1990 წლის მარტში ზურაბ კვარაცხელია „თავისუფალ დემოკრატთა კავშირის“ ბაზაზე სოხუმში აფუძნებს „ჰელსინკის კავშირის ეროვნული აღორძინების ცხუმ-აფხაზეთის ორგანიზაციას“...

საქართველოში დატრიალებული პუტჩის დღეებში აფხაზეთში იწყება მძლავრი საპროტესტო მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ ზურაბ კვარაცხელია. სოხუმში იქმნება იატაკქვეშა კომიტეტი და სწორედაც ეს კომიტეტი ზუგდიდში ჩამოყალიბებულ სრულიად საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტში მიავლენს ბატონებს: ზურაბ კვარაცხელიას, ანზორ გვარამიას და პეტრე ნაჭყებიას (დანარჩენი წევრები გახლდნენ: ზაურ ქობალია, მერაბ ჩუხუა, ვახტანგ ქითავა, ვალერი გაბელია, ზურაბ გუჩუა, გია მამფორია, გურამ მაქაცარია...)

დიახ, ადრეც ბატონმა ზურაბმა მრავალჯერ აჩვენა, რომ ის ბატონების — ზვიადისა და მერაბის საქმისათვის, ე. ი. დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოსთვის თავდადებული მებრძოლი იყო გიორგი სიჭინავასთან, ზაურ კვარაცხელიასთან, რეზო ფაჩუაშვილთან, მურმან ზაქარაიასთან, ჯემალ გამახარიასთან, თემურ მჟავიასთან, ნაპო მესხიასთან, ნუგზარ მგალობლიშვილთან, გოჩა ბახიასთან, როზა ქანთარიასთან, სლავა ინჯიასთან, ალიო ქობალიასთან, გენო ადამიასთან, სოსო ჯომიდავასთან, დებ ნონა და ნანა ქობალიებთან, ჯამბულ წურწუმიასთან, ავთანდილ დავითაიასთან და სხვებთან ერთად, ვიწრო, კლდოვანი, ხიფათითა და წინააღმდეგობებით სავსე გზა გამოიარა, კაცურად იარა.

და მაინც, ყველა ვარიანტში აფხაზეთიცა და მთლიანად საქართველოც განწირული იყო, რადგანაც ქვეყნის სათავეში ეროვნული საქმის მოღალატე „მთავარსარდალი“ ედვარდ შევარდნაძე იდგა.

ზურაბი დაუცხრომლად, დაუღალავად იბრძოდა პუტჩისტების წინააალმდეგ, კანონიერი პრეზიდენტის დაბრუნებისთვის, საქართველოს მთლიანობისთვის. გამოდიოდა მიტინგებზე, საჯარო დემონსტრაციებზე მამხილებელი, უშიშარი სიტყვებით; იგი გაზეთ „აღდგომის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია, ავრცელებდა კიდეც, თუმცა გავრცელება არც სჭირდებოდა; გაზეთს გამოსვლისთანავე იტაცებდნენ... იმ შავბნელ დროს ის იყო უმნიშვნელოვანესი გაზეთი, რომელიც იცავდა კანონიერი პრეზიდენტის უფლებებს, ერთიანი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს ინტერესებს. ვაგლახ, რომ ინტელიგენციის უმრავლესობას ან შეეშინდა, ან შეგნებულად ტაშს უკრავდა უზურპატორი შევარდანაძისა და ბანდიტი ჯაბა იოსელიანის სისხლიან რეჟიმს, რამაც საქართველო დააქცია.

ადრე, ზვიად გამსახურდიას რეკომენდაციით, ინდივიდუალური წევრის სტატუსით, შეყვანილ იქნა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ცენტრალურ აპარატში. „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ ყრილობაზე რესპუბლიკური გამგეობისა და პოლიტიკური საბჭოს წევრად აირჩიეს.

ზურაბ კვარაცხელია ყოველთვის იყო და არის აფხაზთა და ქართველთა დაპირისპირების მოწინააალმდეგე და ორ მოძმე ხალხს შორის პრობლემური საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრე.

2001 წლიდან ბატონი ზურაბ კვარაცხელია არის სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ წევრი; უკანასკნელი წლების მანძილზე ხელმძღვანელობს ამ მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაციას და კურირებს რეგიონულ ორგანიზაციებს....

2013 წელს ბატონი ზურაბ კვარაცხელია არჩეულ იქნა მეცნიერებათა აკადემია „აიას“ ნამდვილ წევრად. იგი აქტიურად იბრძვის ქართველური ენების — მეგრულის, სვანურისა და ლაზურის დაცვისთვის.

ვუსურვოთ ჯანმრთელობა და ბედნიერი ცხოვრება ბატონ ზურაბ კვარაცხელიას ერთიან და დამოუკიდებელ საქართველოში.

**მამანტი ძაძამია,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აიას“ პრეზიდენტი;**
**კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;**

**ცირა ძაძამია,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აიას“ ვიცეპრეზიდენტი;**

**ალეკო თოდუა,**
**კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი;**
**„ფაზისისა“ და „აიას“ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი**

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ მისი თავმჯდომარის, ბატონ ტარიელ გაგნიძის მეთაურობით, ასევე, გულითადად ულოცავს ბატონ ზურაბ კვარაცხელიას 50 წლის იუბილეს. ჯანმრთელობასა და წარმატებებს უსურვებს მას.**

## მხოლოდ დიდ სივრცეში, დიდ ტერიტორიებზე აქვთ ადამიანებს შანსი პიროვნებებად დარჩენის, ტრადიციებისა და რწმენის შენარჩუნების.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნატო და საქართველო

**არ ვიცი, რამდენად ეყოფა ჩემი კომპეტენცია, წერილი გაზეთისთვის ღირებული რომ გამოდგეს, თუმცა ნამდვილად მჯერა, იმაზე დიდი სიბრიყვე არ იქნება, რასაც „ნაცმოძრაობის" პროპაგანდისტული მანქანისა და ნიაღვრად მომდინარე ოკეანისგაღმიდან სერტიფიცირებულ პოლიტიკურ ექსპერტთა ნააზრევია, წლების მანძილზე იძულებით რომ გვტენიან.**




ნატოში ინტეგრაციის თემა საქართველოში საფუძვლიანად, სახალხოდ არც არასდროს განხილულა და, დიდი ალბათობით, არც განიხილება. ე. წ. პლებისციტი ნატოში გაწევრიანების თაობაზე, რომელიც 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარდა, უკვე აღიარებულია ქართველი ერის ნების გამოხატულებად. დიახ, გამუდმებით გვაჯერებენ „თავისუფალი" ტელევიზიებიდან ქართველი პოლიტიკოსები, რომ ჩვენ (ქართველმა ერმა) არჩევანი უპირობოდ გავაკეთეთ ნატოს ბლოკში გაწევრიანების სასარგებლოდ. მერე რა, რომ ამ საპრეზედენტო არჩევნებში სააკაშვილმა მეორედ მიიტაცა ხელისუფლება, ამჯერად არჩევნების გაყალბების გზით. აღნიშნული გაყალბება პლებისციტს არ შეხებია, ასე გვაჯერებდნენ მაშინ და დღეს კვლავ ისინი არიან ხელისუფლებაში. ბოლო ერთ წელიწადში მომხდარი პოლიტიკური ამოტრიალება, რომლის შედეგადაც მაშინდელი ოპოზიცია დღეს ზევიდან მოექცა, მოგეხსენებათ, საკითხს ვერანაირად ვერ ცვლის.

რადგან ეს თემა „ვიწრო წრეში" შიგადაშიგ ყოველთვის იხილებოდა, კარგი იქნება, აღნიშნულ საკითხს სხვადასხვა კუთხით თუ შევხედავთ, მსჯელობას თუ გავაფართოებთ. ამასაც ისე — „შიდა მოხმარებისთვის", თორემ დარწმუნებული ვარ, სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ბრძოლის წყალობით, იმ დროს მოგვადგება ევრაზიული კავშირის მატარებელი კართან, პეტრიაშვილი და ფანჯიკიძე ევროატლანტიკური პერსპექტივების მორიგი ილუზორული ბოდვის დაპირებებში რომ იქნებიან.

ნატოს მოწინააღმდეგეთა მხრიდან საკითხის მხოლოდ ასე დაყენება — რა გვსურს: ერთიანი საქართველო (აფხაზეთით და სამხრეთ ოსეთით) თუ ნატოს წევრობა, გამარტივებულად მეჩვენება. სააკაშვილის სამარცხვინო ომის შედეგად, აღნიშნული ტერიტორიებიდან ოფიციალურად დამკვიდრებული რუსული ჯარის გაყვანის მიზეზი ვერანაირად ვერ იქნება ჩვენი შერბილებული რიტორიკა რუსეთის მიმართ. სააკაშვილის რეჟიმის შემცვლელი კაცი კი გამოჩნდა (მადლობა ღმერთს!), თუმცა მანვე ბრძანა, რომ პროკურატურაში ახალ კადრებს (დაახლოებით 300 კაცს) ციდან ვერ ჩამოიყვანდა, სამართლიანობის აღდგენის პროცესი უფრო სწრაფად და კვალიფიციურად რომ წასულიყო; მითუმეტეს ციდან ვინ ჩამოიყვანს, უფრო სწორად, ჯოჯოხეთში ვინ განდევნის დღევანდელ თითქმის მთელ პოლიტიკურ სპექტრს, ვითომ დამოუკიდებელ ტელემედიას, არასამთავრობო სექტორს, რომელთაც უკვე წლების მანძილზე ფსიქოლოგიური ტერორის, არასწორი და სახელმწიფოებრივად მავნე იდეოლოგიის ქვეშ ჰყავთ მოქცეული საქართველოს მოსახლეობა.

**ამიტომ საკითხი ასე დავსვათ: თუ ღმერთი გაუწყრათ იმ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს (უპირველესად, უკრაინას), რომლებიც ჯერ საბაჟო კავშირის წევრები არ არიან და ამ მიმართულებით საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ სვლა გააჩერეს, ამ შემთხვევაში რა გველის ჩვენ? აშშ-დასავლეთის მიერ თუკი რუსეთზე (ევრაზიულ სივრცეზე) მოწოლა გაგრძელდა, რამდენად გვაქვს შანსი, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა ამ ფარგლებში მაინც შევინარჩუნოთ? ანდა, თუკი რუსეთი კავკასიას დატოვებს, რამდენად მოგვცემენ უფლებას ჩვენი დღევანდელი დასავლელი პატრონები, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კვლავ ჩვენი იურისდიქცია აღვადგინოთ? თუ პროცესები ამ შემთხვევაშიც ჩვენ საწინააღმდეგოდ გაღრმავდება?**

**ანალოგიებით ხშირად მიჩნდებოდა კითხვა: რატომ დასჭირდა დასავლეთს, უკვე დაშლილი იუგოსლავიის ფონზე, სერბეთის დაშლაგახლეჩაც ბოლომდე მიეყვანა ჩერნოგორიის (მონტენეგროს) ჩამოცილებით. ხალხები, რომლებიც შედუღაბებულნი იყვნენ საერთო რელიგიით, ენით, კულტურით, ეთნიკური ერთობით და საერთოდ არ ყოფილა მიზეზი დაშლისთვის, ერთ დღეს ორ სხვადასხვა ქვეყანაში აღმოჩნდნენ. რეალურად, ორივე რესპუბლიკის სათავეში მყოფმა პროამერიკულმა რეჟიმებმა ზემოდან მოსული დირექტივით ახალი განსაცდელი მოუვლინეს საკუთარ ხალხებს.** რეფერენდუმზე ოფიციალურად ჩერნოგორიელთა მხოლოდ 55%-მა მისცა ხმა დამოუკიდებლობას, თუმცა, ჩვენი პლებისციტისა არ იყოს, აქაც ყველასთვის აშკარა იყო, პროცენტები წინასწარ იყო დაწერილი. ნატომ და ეუთომ, რაღა თქმა უნდა, უმალ მიულოცეს ჩერნოგორიელებს დამოუკიდებლობა. ამას გარდა, პერმანენტულად რატომ დგება ასეთივე პრობლემები ეკონომიკურად წარმატებული ზოგიერთი ევროპული ქვეყნის წინაშეც? ხომ არ არის საკითხის გაუბრალოება ის, რომ მიზეზი მხოლოდ ეთნიკურ ან სხვა ყოფით პრობლემებში ვეძებოთ? რადგანაც პოლიტოლოგი არ ვარ, უამრავ ნაშრომს პოლიტიკურ თეორიებში არ და ვერ ვეცნობი, მით უმეტეს ქართული წიგნის ბაზარი (თუ უდაბნო) ამის შესაძლებლობას საერთოდ არ იძლევა. არც თუ დიდი ხნის წინ გავიგე არსებობა აწ გარდაცვლილი ინგლისელ-ამერიკელი პროფესორის — ლეოპოლდ კორის (Leopold Kohr) თეორიის „ოპტიმალური სახელმწიფოს" შესახებ. მან ეს თეორია გასული საუკუნის 50-იან წლებში შეიმუშავა, სახელმწიფოსთვის მაქსიმალურ ზღვრად ის თვლიდა 10-12 მილიონ ადამიანს. კონკრეტულად საბჭოთა კავშირი პირველ ეტაპზე 12 სახელმწიფოდ უნდა დაშლილიყო. **საშუალო სიდიდის სახელმწიფოთა ადგილას, როგორებიცაა ესპანეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და პოლონეთი, უნდა მიგვეღო ქვეყნები: არაგონი, ვალენსია, კატალონია, კასტილია, გალიცია, ვარშავა, ბოჰემია, მორავია, სლოვაკეთი, რუტენია, სლოვენია, ხორვატია, სერბეთი, მაკედონია, ტრანსილვანია, მოლდავეთი, ვალახეთი, ბესარაბია და ა. შ. ისეთი ხელოვნური სტრუქტურები, როგორიც დიდი სახელმწიფოებია (მრავალეროვნული), დიდ ძალისხმევას ხარჯავენ თავისი არსებობის შენარჩუნებისთვის, ამიტომ, მისი აზრით, „ბუნებრივ მდგომარეობამდე" დაბრუნებით, მონოეთნიკური სახელმწიფოების შექმნით (იქნებ ამ გავლენითაც გვიწოდა დასავლეთის მეხოტბემ, დისიდენტმა მეცნიერმა სახაროვმა პატარა იმპერია?) უმცირესობების პრობლემებიც გადაიჭრება და შესაბამისად კონფლიქტებიც აღმოიფხვრება. იდეალად მას მიაჩნდა მე-18 საუკუნის 300 სახელმწიფოდ დაშლილი გერმანია. ასეთ ქვეყნებში, თვლიდა ის, ვიცილებთ რა ეთნოკონფლიქტებს, ამასთან, თითოეულ მოქალაქეს აქვს მეტი შანსი თვითრეალიზაციისთვის.**

## დასავლეთის კულტურული მატრიცა ყოველგვარი ტრადიციულის წინააღმდეგაა მიმართული

შესაძლოა, ყოველივე ზემოთქმული ანარქისტი პროფესორის ახირებად მიგვეჩნია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი სიცოცხლის ბოლო წლებში როკფელერების მიერ დაარსებულ სამმხრივ კომისიაში მრჩევლად მუშაობდა, დიდი ალბათობით, უნდა ვივარაუდოთ, მის „ჰუმანიზმს" სულ სხვა მოტივები კვებავდა.

სამხრივი კომისიის მოღვაწეობასა და მიზნებზე ბევრი დაიწერა, ამიტომ იოლი მისახვედრია სახელმწიფოთა დაშლა-დაქუცმაცება, არა კონფლიქტების აღმოფხვრას, კრიმინალის შემცირებას და ცალკეული ინდივიდისთვის მეტი შესაძლებლობების მიცემას ემსახურება, არამედ საყოველთაო ჰარმონიის საბაბით, სწორედ პიროვნების წაშლის, საზოგადოების ატომიზაციის, ტრადიციული ღირებულებების ნგრევისკენაა მიმართული. აშშ-დასავლეთის კულტურული მატრიცა ყოველგვარი ტრადიციულის წინააღმდეგაა მიმართული და, რაც იქ იყო გუშინ, დღეს იქნება აქ, ეკონომიკური კეთილდღეობის გამოკლებით (რასაც ასე უცებ ვერ წაართმევენ დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრებ, სოციალისტური მთავრობების მიერ შექმნილ საშუალო ფენას) ქვეყნების დამორჩილება და ერების „ჭკუაზე მოყვანა" კი პატარა სივრცეში უფრო იოლად განსახორციელებელია.

**მხოლოდ დიდ სივრცეში, დიდ ტერიტორიებზე აქვთ ადამიანებს შანსი პიროვნებებად დარჩენის, ტრადიციებისა და რწმენის შენარჩუნების. აქ არის შანსი, მოსახლეობის უმრავლესობა დატკბეს ცხოვრებით და არა გაბატონებული უმცირესობები, რომლებიც „დემოკრატიულ დასავლეთსა" და მათ სატელიტ ქვეყნებში, დამსჯელი სახელმწიფო აპარატის წყალობით, მოსახლეობის ჯერ კიდევ ნორმალურ უმრავლესობას მორჩილებაში ამყოფებენ.**

**იქნებ ამჯერად(აც) სხვებმა გადაგვარჩინონ.**

**როინ ბრძელიშვილი**

## კუბლაშვილი უგულავას განაჩენში არ ჩაერევა

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ გიგი უგულავასთან დაკავშირებით კონკრეტული მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში არც და ვერც ჩაერევა.** როგორც კუბლაშვილმა განაცხადა, მოსამართლის მიერ დამოუკიდებლად მიღებულ გადაწყვეტილებაში ჩარევის კომპეტენცია არავის აქვს.

„ჩვენთან მოქმედებს კომუნიკაციის შესახებ კანონი, რომელიც მოსამართლეს უფლებას აძლევს, როგორც კი დაინახავს, რომ ვინმეს მხრიდან ჩარევას, იქნება ეს შიგნით მყოფი პირი თუ გარეშე ადამიანი, მაშინვე განაცხადოს ამის თაობაზე. კანონი მას აძლევს უფლებას, ეს ადამიანი სერიოზული თანხით დააჯარიმოს. ჩვენ შეიძლება არ მოგვეწონოს რაიმე გადაწყვეტილება, მაგრამ, თუკი იქ არავინ ჩარეულა და მოსამართლემ დამოუკიდებლად მიიღო, ვალდებული ვართ, პატივი ვცეთ ამ გადაწყვეტილებას. თუკი რომელიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ვინმეს არ მოსწონს, ერთადერთი გზა მისი გამოსწორების არის ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება. მე ვერ ვიტყვი, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იყო სწორი, თუ არასწორი. ეს არ არის ჩემი კომპეტენციის საკითხი, არც ჩავერევი და ვერც ჩავერევი, შესაბამისად, ვერც ვეტყვი მოსამართლეს, რომ ასე კი არა, სხვაგვარად უნდა გაეკეთებინა. არავის აქვს უფლება, მოსამართლეს ასეთი რამ უთხრას", — განაცხადა კოტე კუბლაშვილმა. კუბლაშვილმა აღნიშნა, რომ პირადად მას ბევრი გადაწყვეტილება არ მოსწონს, მაგრამ ვალდებულია, გადაწყვეტილებას პატივი სცეს.

უახლესი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოვა ჟამი, როცა იმათ, ვინც ალიევისა და ბუშის ძეგლები წამოგვიჭიმეს და სტალინის დაშალეს, თავად თუ არ შერცხვებათ, მათ შვილებსა და შვილიშვილებს აუცილებლად შეაწუხებთ სინდისი იმ უგუნურებისა და დაუფასებლობის გამო, რომელიც ამ მიტმასნილებმა გამოიჩინეს ყველა დროის დიდი ქართველის ღირსებისა და სიდიადის შესალახად.**

# ვინ და რა ვითარებაში დადგა სენაკის ცენტრში სტალინის ძეგლი

**დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. იდენი, რომელიც ევროპის პოლიტიკოსთაგან ყველაზე ხშირად შემხვედრია, სტალინს წერს: „სტალინმა თავდაპირველად ჩემზე შთაბეჭდილება თავისი ნიჭიერებით მოახდინა და აზრი მასზე არასდროს შემიცვლია. ამაზე ღაღადებს მისი პიროვნება, რომლის შეფასებაც გაზვიადებას არ საჭიროებს. მას ჰქონდა კარგი, ბუნებრივი, ეტყობა, ქართული წარმომავლობის მანერები“.**
**ამგვარი შეფასებები უამრავია, რაც უცილობლივ ამტკიცებს სტალინის ფენომენის სიდიადეს. მსჯელობა სტალინის შესაძლებლობებზე, მის მიერ განვლილ წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებაზე კი დაუსრულებლად იქნება. მსოფლიოში ბევრს არ რგებია ისეთი პატივი, დიდება და ლაფის სროლაც კი, როგორიც სტალინს. მიუხედავად ყველაფრისა, იგი რჩება ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე ქართველად და შეუდარებელ მხედართმთავრად.**


მოსკოვი. წითელი მოედანი. 2013 წლის 21 დეკემბერი

სტალინი იყო მოვლენა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში შეასრულა უდიდესი მისია — დედაბუდიანად ამოძირკვა ფაშიზმი და დასაბამი მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, როგორც მშვიდობის დაცვის გარანტს.

სამწუხაროდ, ჩვენში გამოჩნდნენ კაცუნები, რომლებსაც ომში გმირობის ჩადენა კი არა, სანადირო თოფის დაჭერაც არ ძალუძთ და აძაგებენ მსოფლიო გენიას, ქართველს, რომელმაც, ჩვენდა საამაყოდ, ოცდაათი წელი მართა დიდი და მძლე რუსეთი. ცხადია, მის მაგინებელთ არც სმენიათ პაბლო პიკასოს გამონათქვამი: „თუ მსოფლიო ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი უეჭველად სტალინი იქნება“.

**სააკაშვილის ხელისუფლება შეეცადა, მხოლოდ უარყოფით პიროვნებად წარმოეჩინა XX საუკუნის გენია — მოშალა მისი ძეგლები მთელ საქართველოში. მანვე განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომელიც არ იცნობს სტალინის ღვაწლსა და დამსახურებას სამშობლოსა და მსოფლიოს წინაშე, ჩაუნერგა ზიზღი და სიძულვილი ამ პიროვნების მიმართ.**

მიუხედავად ყველაფრისა, სტალინი დარჩა და კვლავაც დარჩება საზოგადოების უმრავლესობისთვის უპირველეს ქართველად და მსოფლიოს თვალში დაუმარცხებელ მხედართმთავრად. უდიდეს მოაზროვნედ და პოლიტიკოსად. ამის მაგალითია ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა, რომელიც სტალინის დაბადების 100 წლის იუბილის დღეებში მოეწყო სენაკში.

1979 წლის 17 დეკემბერს, ღამის 4 საათსა და 15 წუთზე, რუსთაველისა და ორჯონიკიძის ქუჩების გადაკვეთაზე, მოედნის ცენტრში ტაქსის მძღოლმა შენიშნა სამმეტრიან პიედესტალზე შემოდგმული ბიუსტი. შორიდან ყურადღებით შეათვალიერა და, როცა დარწმუნდა, სტალინის ბიუსტი იდგა, მანქანით ირგვლივ შემოუარა და საყვირით რკინიგზის სადგურისკენ გაქანდა. ვაგზალში მისულმა ხმამაღლა ყველას ამცნო: სტალინის ძეგლი დაუდგამთო.

მაშინ, როცა სტალინის ხსენება აკრძალული იყო, ძნელი დასაჯერებელი იყო სტალინის ბიუსტის აღმართვა ქალაქის ცენტრში. ეს შეეძლო მხოლოდ გაბედულ ადამიანს. ათიოდე წუთში ექვსი მძღოლი მიიჭრა აღნიშნულ ადგილას, რომლებიც აღფრთოვანებისგან სიხარულს ვერ ფარავდნენ.

ალიონზე, ვიდრე პოლიცია და უშიშროება ამ ამბავს გაიგებდა, უკვე ასობით ადამიანმა მოიყარა თავი ბიუსტის ირგვლივ და ცნობილ და სახელდახელოდ ექსპრონტად შეთხზულ ლექსებს კითხულობდნენ.

**პოლიციის მუშაკებისა და უშიშროების წარმომადგენელთა ცდა, რომ დაშლილიყო ხალხი, უშედეგო აღმოჩნდა. პირიქით, დაიწყო ხელმოწერების შეგროვება, რომ ხელისუფლებას ბიუსტისთვის სტალინის დაბადების დღემდე ხელი არ ეხლო, თორემ მასობრივ ბუნტსა და მსვლელობას მოაწყობდნენ.**

ძალოვან სტრუქტურებს გაუჩნდათ თავსატეხი — ვის შეეძლო ბიუსტის დადგმა? ვინ იყო ის გაბედული, რომელმაც უჩუმრად მოახერხა ბიუსტისა და პიედესტალის მომზადება და შეუმჩნევლად დამონტაჟება? მომხდარზე რაიკომის მდივანმა ვახტანგ ესვანჯიამ იმავე დილით მოახსენა საქართველოს ცეკას პირველ მდივან შევარდნაძეს. უშიშროების რაიონული განყოფილების უფროსი გრიშა კაჭარავა მომხდარს ატყობინებს სახელმწიფო უშიშროების მინიტრს — ინაურს, ხოლო მილიციის რაიონული განყოფილების უფროსი აპოლონ ქებურია ურეკავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

რესპუბლიკური ორგანოებიდან სენაკში დაუყოვნებლივ მოავლინეს წარმომადგენლები. დაიწყო ერთობლივი გამოძიება, მაგრამ ცხელ კვალზე ოპერატიულმა სამსახურებმა ვერ შესძლეს „ძეგლის დამდგმელთა მხილება“.

მთელ საქართველოს მოედო ეს ამბავი. იმავე დღეს, ე.ი. 17 დეკემბერს ხალხის მოთხოვნით დაიწყო სადღეღამისო მორიგეობა ძეგლთან. მოსახლეობას მოჰქონდა სტალინის სურათები, ჩიბუხები, თაიგულები, პლაკატები წარწერით: „გაუმარჯოს სტალინს!“, „დიდება სტალინს!“. მოედნის მიმდებარე ხეებზე აკრავდნენ საკუთარ ლექსებს.

მოედანი იქცა სახალხო ზეიმის არენად, სადაც ოცდაოთხი საათის განმავლობაში იმართებოდა პატრიოტული გამოსვლები. ძალოვანმა სტრუქტურებმა ვერ გაბედეს მოსახლეობასთან დაპირისპირება და მათი დაშლა, რადგან მეორე დღეს გამოჩნდნენ „სტალინელები“ მეზობელი რაიონებიდან. მოდიოდნენ მსუბუქი ავტომანქანებითა და ავტობუსებით, რომლებსაც ამშვენებდა პლაკატები მოწოდებებით: „ღირსეულ ქართველს ღირსეული დაფასება სჭირდება!“ და სხვ. ძეგლის მიმდებარე ტერიტორია ხალხს ვერ იტევდა, იყო ცეკვა-სიმღერა გაჩაღებული და ყოველივე ეს სტალინის ას წლისთავს ეძღვნებოდა.

როგორც ჩანს, მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა კრემლს, რადგან ღამის თერთმეტ საათზე რაიკომის პირველი მდივნის — ვახტანგ ესვანჯიას კაბინეტში გაისმა ზარი და საქართველოს ცეკას პირველ მდივან შევარდნაძესთან ამგვარი საუბარი შედგა (ცხადია, რაიკომის მდივანს გულმა რეჩხი უყო. გრძნობდა, მოუწევდა უსიამოვნო კითხვებზე პასუხის გაცემა. საბედნიეროდ, შევარდნაძეს ხმაში ბრაზი არ ეტყობოდა).

— **რა მდგომარეობაა?** — იკითხა შევარდნაძემ.

— **ძეგლს ჯერჯერობით ვერ დავშლით, ხალხია ბლომად, ბატონო ედუარდ, მაგრამ დამნაშავეებს მალე ვიპოვით და საკადრისად დავსჯით, გპირდებით.**

— **არავითარი დაშლა!**

— **ეს როგორ?** — **გაკვირვებულმა იკითხა რაიონის ხელმძღვანელმა.**

— **ყოველმხრივ ეცადეთ, რაიმე ინციდენტი არ მოხდეს!**

— **რასაკვირველია, უკვე დავაწესეთ პასუხისმგებელ პირთა მორიგეობა.**

— **არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ ძალოვანი სტრუქტურების უხეში ჩარევა.**

— **დიახ!** — უნებლიეთ ფეხზე წამოდგა ესვანჯია.

— **ვესაუბრე საკავშირო ხელმძღვანელებს. ბრეჟნევის მითითებაა, სტალინის იუბილის დასრულებამდე ხელი არ ვახლოთ ბიუსტს.**

— **ასეც იქნება, ბატონო ედუარდ!** — მიუგო სახეზე ალმურმოდებულმა რაიკომის მდივანმა.

**ერთ საათში ესვანჯიას კაბინეტში რაიონის ხელმძღვანელთა თათბირი გაიმართა, რომელზეც დაწვრილებით განიხილეს შექმნილი მდგომარეობა და გააანალიზეს ისიც, რომ საკავშირო ხელისუფლება არ ეწინააღმდეგებოდა ხალხის ნებას, საზეიმოდ აღენიშნათ სტალინის იუბილე.**

თუმცა უკმაყოფილება გამოითქვა იმის გამო, რომ ძალოვანმა სტრუქტურებმა ვერ მოახერხეს ბიუსტის დამდგმელთა ვინაობის მხილება, ამიტომ გადაწყდა ამ მხრივ გამოყენებულიყო ყველა შესაძლო საშუალება.

ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. მოდიოდნენ იმერეთის, გურიისა და სვანეთის წარმომადგენლები. განსაკუთრებული ოვაცია და აღფრთოვანება გამოიწვია გორიდან დელეგაციის ჩამოსვლამ. გაიმართა ერთობლივი საზეიმო მიტინგი.

რაც უფრო ახლოვდებოდა სტალინის დაბადების დღე, მით უფრო მატულობდა საზეიმო განწყობა. ტელევიზიით გაცხადდა, რომ 21 დეკემბერს დიდი ზეიმი გაიმართებოდა სტალინის მშობლიურ ქალაქ გორში, რისთვისაც მომიტინგეებმა საგანგებო დელეგაცია აირჩია გორში მისავლინებლად.

21 დეკემბერს, დილით გორის უშიშროების განყოფილებაში გამოცხადდა მაღალი აღნაგობის, მეგრული აქცენტით მოსაუბრე მამაკაცი და მოითხოვა შევარდნაძესთან შეხვედრა. როგორც მოსალოდნელი იყო, მამაკაცი აათვალიერ-ჩაათვალიერეს და თავაზიანად მიუგეს, რომ შევარდნაძე ვერ ახერხებდა გორში ჩამოსვლას. მაშინ მაღალმა მამაკაცმა ისურვა უშიშროების მინისტრ ინაურთან შეხვედრა. ამჯერად უთხრეს, რომ ინაური მხოლოდ საღამოს შეძლებდა გორში ჩამობრძანებას და, თუ სურვილი ექნებოდა, ინაურის პირველ მოადგილეს, გენერალ მაისურაძეს შეახვედრებდნენ, ოღონდ უნდა გაეცხადებინა, ვინ იყო და რა სურდა. მოსულმა თამამად მიუგო, რომ იგი ვაჟა სორდიაა, სენაკში სტალინის ძეგლის დადგმის ორგანიზატორი და თან აქვს ათასამდე მოქალაქის ხელმოწერილი მოთხოვნა ძეგლის დატოვების თაობაზე.

გენერალმა მაისურაძემ დაუყოვნებლივ მიიღო ვაჟა სორდია. განცვიფრდა, რომ შიში არ ეტყობოდა და ამაყად ეჭირა თავი.

— **თავად რომ გამომეცხადე, არ გეშინია?** — **ეს იყო გენერლის პირველი შეკითხვა.**

— **შიში რა შუაშია, როცა საქმე გიღირს...**

გენერალმა დაწვრილებით მოუსმინა, თუ როგორ მოხდა ბიუსტისა და პიედესტალის მომზადება; რომ ელექტროინჟინერ სოსო ლომიას სახლიდან წამოიღო ძველი ბიუსტი. სამხედრო მოსამსახურე ზურიკო გაგუასა და ექიმ ნუკრი კვირკველიას დახმარებით რესტავრაცია ჩაუტარეს ბიუსტს. ელექტროშემდუღებელ შალიკო ქვარცხავას დახმარებით შეადუღაბეს პიედესტალი და ღამის სამ საათზე და ოცდაათ წუთზე დადგეს ქალაქის ცენტრში. შემდეგ იქ რაც ხდებოდა მაისურაძემაც კარგად უწყოდა.

როცა მოყოლა დაამთავრა, ვაჟა სორდიამ ითხოვა, — **სახლში დამარეკინეთ, ორსული მეუღლე მყავს და შევატყობინებ, ნებაყოფლობით რომ ჩავბარდიო.**

მაისურაძემ ტელეფონისკენ მიუთითა და დინჯად მიუგო: — **მეუღლეს აცნობე, დღესვე სახლში რომ ბრუნდები.**

— **ეს როგორ? არ მაპატიმრებთ?** — მამაკაცი კარგა ხანს განცვიფრებული იდგა.

— თავისუფალი ხარ, დღესვე სახლში დაბრუნდი, ხელმოწერები აქ დატოვე, — ხმაში იგრძნობოდა მკაცრი ტონი.

იმ დღეებს შიშნარევი სიამაყით იხსენებს ვაჟას მეუღლე, ქალბატონი რუსიკო სორდია. „მართლაც, მეორე შვილს ველოდებოდი, როცა ორსართულიანი სახლის სარდაფში მამაკაცებმა სტალინის ბიუსტის მომზადება დაიწყეს, მეუღლეს ვაფრთხილებდი, შარში ნუ გაეხვევი, თავი დაანებე ამ სახიფათო საქმეს-თქო, მაგრამ არ დაიშალა. მახსოვს, 17 დეკემბერს, გამთენიისას ოთხ მამაკაცთან ერთად გულისფანცქალით ფანჯრიდან შევცქეროდი რაც ხდებოდა ბიუსტის დადგმის პირველსავე წუთებიდან. დღესაც თვალწინ მიდგას ის საზეიმო განწყობა, რომელიც მაშინ სუფევდა“.

სტალინის მტერთა ხმას აყოლილებს ვურჩევ, წაიკითხონ რუსი მწერლის, იური ბონდარევის წიგნი „გაელვება“ და დარწმუნდებიან, რა გიგანტური როლი ითამაშა სტალინმა მსოფლიოში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში; ან გაეცნონ, ი. სუხოტინის „სტალინის ვაჟი“ წაიკითხონ და მიხვდებიან, ვინ და როგორი იყო სტალინი.

**მოვა ჟამი, როცა იმათ, ვინც ალიევისა და ბუშის ძეგლები წამოგვიჭიმეს და სტალინის დაშალეს, თავად თუ არ შერცხვებათ, მათ შვილებსა და შვილიშვილებს აუცილებლად შეაწუხებთ სინდისი იმ უგუნურებისა და დაუფასებლობის გამო, რომელიც ამ მიტმასნილებმა გამოიჩინეს ყველა დროის დიდი ქართველის ღირსებისა და სიდიადის შესალახად.**

**ბორის დავითაია,**
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

„სტალინი არ იყო აზიზი მჭამელი. ჭამდა ძალზე ცოტას, ნელა. ასეთი იყო კრემლის ყველა მობინადრის ცხოვრების წესი. მისი საყვარელი კერძებიდან დავასახელებ მწვადს ციკნის ხორცისგან; ძალიან მოსწონდა ქართული სამზარეულო“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საცივი ბელადისთვის

## (სტალინის პირადი მზარეულის რეცეპტით)

### ჩერჩილმა მას «კულინარიის მოცარტი» უწოდა, რუზველტმა კი ღიმილით დაუმატა: «კულინარიის პაგანინიცო»

**დიდი ხანია, მარადისობაში განიფანტა წინა საუკუნის 30-40-იანი წლები, მაგრამ არ ცხრება ჩვენი ინტერესი! რას ვიზამთ, ამჟამინდელი ქონდრისკაცების დროისგან განსხვავებით, ის ჰეროიკული, რომანტიკული, ტრაგიკული და იდუმალებით მოცული ტიტანების ეპოქა კიდევ ბევრი მომდევნო თაობის ვნებათაღელვას გამოიწვევს! რაოდენ საამაყოა, რომ იმ ეპოქის უპირობო ლიდერად ითვლება (რასაც მისი ღირსეული მოწინააღმდეგეებიც ერთხმად აღიარებდნენ) ჩვენი თანამემამულე — იოსებ ბესარიონის ძე სტალინი (ჯუღაშვილი).**

თუმცა ეს ეპოქა გაცილებით საინტერესო ხდება აღქმისთვის, როცა მას უყურებ იმ უბრალო ადამიანთა ბედის მაგალითზე, რომლებიც, გარკვეულ მიზეზთა გამო, იმ ბუმბერაზების გვერდით იდგნენ, რომლებიც ისტორიის ჩარხის ბრუნვას (ვითარების მიხედვით) ხან ანელებდნენ, ხან აჩქარებდნენ! ასეთია, ჩემი აზრით, ჩვენი თანამემამულის, **ალექსანდრე არსენის ძე რთველაძის** ბედი, მისი ცხოვრება გადაეჯაჭვა არამხოლოდ საქართველოს ისტორიას, არამედ ოდესღაც უდიდესი მშრომელთა იმპერიის — საბჭოთა კავშირის ბედსაც!

ალექსანდრე რთველაძემ ცხოვრების გრძელი გზა განვლო. იგი თავის 90-ე გაზაფხულს მოესწრო. ბატონი ალექსანდრე ყველაზე უწყინარ და „გემრიელ“ პროფესიას ფლობდა — მზარეული გახლდათ. დიდი ამბავიო, იტყვის მავანი, ახლა, ქვა რომ ააგდო, მზარეულს მოხვდებაო. უამრავი ფაბრიკა-ქარხანა დაინგრა, სამაგიეროდ, არანაკლები რესტორანი აშენდა დამოუკიდებელ საქარველოში და, მაშასადამე, მზარეული ათასობითაა. მაგრამ რთველაძემ კულინარიულ ხელოვნებაში ისეთ მწვერვალს მიაღწია, როგორც, მაგალითად, მაჰათმა განდიმ პოლიტიკაში! ეკლიანი გზის გავლა უბრალო სოფლელი ბიჭის მიერ თვით სტალინის პირად მზარეულამდე და ამავე დროს დარჩენა უბრალო, თავმდაბალ და მშობლიური მიწის ერთგულ ადამიანად შეეძლო მხოლოდ კეთილი გულისა და ნათელი გონების ადამიანს!

ამ საოცარ კაცზე მე მიამბო მკითხველისთვის კარგად ცნობილმა პიროვნებამ — **ლევან დოლიძემ**. 50 წელზე მეტია, რაც ბატონი ლევანი ჟურნალისტიკაში მოღვაწეობს და თითქმის ამდენიმე დრო მიუძღვნა სამხედრო თემას:

— ბედმა გამიღიმა, რომ მრავალი წელი ვმეგობრობდი ალექსანდრე რთველაძესთან, ვმეგობრობდი მის შვილებთან და მეტიც, ვმუშაობდი მასთან ერთად საქართველოს პარტიულ ორგანოებში; და მხოლოდ ათწლეულების შემდეგ გავიგე, რა საოცარი ცხოვრების გზა გაუვლია! სულ ახლახან ალექსანდრე რთველაძის რძლის — **თინა გრიგოლის ასულ ყუფრაძის** წყალობით, რომელმაც თავაზიანად დამრთო ნება, გავცნობოდი მისი სახელოვანი მამამთილის პირად საქმეებს, მომეცა საშუალება, მეტნაკლებად აღმედგინა ამ არაჩვეულებრივი პიროვნების ბიოგრაფია. როდესაც ვეცნობოდი ალექსანდრე რთველაძის საარქივო მასალებს, გაკვირვებული ვიყავი არამხოლოდ მისი პრაქტიკული სამსახურის „გეოგრაფიით“, მისი საიდუმლო სპეცმივლინებებითაც! ესაა გასული საუკუნის ტფილისი, ჭიათურის მანგანუმის მაღაროები, მოსკოვის ძალზე პრესტიჟული რესტორნები, ბაკურიანის, სოხუმის, გაგრის, თბილისის, კვლავ მოსკოვის სპეცობიექტები და ბოლოს — კრემლი!

**განსაკუთრებით შთამბეჭდავია ალექსანდრე რთველაძის ზესაიდუმლო მისია დიდი სამამულო ომის წლებში, როგორც სტალინის პირადი მზარეულისა. ბატონი ალექსანდრეს, ასე ვთქვათ, მხრებზე გადაიარა თეირანის კონფერენციის სადილებმა, როცა ერთმანეთს პირველად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების მეთაურები — სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი.** არანაკლები პასუხისმგებლობა მას, როგორც შეფმზარეულს, დაეკისრა „დიდი სამეულის“ იალტის კონფერენციაზე; ხოლო დამარცხებულ გერმანიაში, კონკრეტულად, პოტსდამის სასახლეში ბატონი ალექსანდრე ხელმძღვანელობდა საბჭოთა კულინარების ჯგუფს. აქ შედგა სტალინის, აშშ-ის ახალი პრეზიდენტის — **ტრუმენისა** და ჩერჩილის (რომელიც სულ მალე პრემიერმინისტრის თანამდებობაზე შეცვალა ახალმა და, პირდაპირ ვთქვათ, ულიმლამო პიროვნებამ — **ეტლიმ**) მონაწილეობით მესამე საერთაშორისო კონფერენცია. როგორც მიყვებოდნენ ძველი ჩეკისტები, ჯერ კიდევ თეირანში რთველაძის მიერ მომზადებული კერძებით გაოცებულმა ჩერჩილმა, მას **„კულინარიის მოცარტი“** უწოდა, რუზველტმა კი ღიმილით დაუმატა: **„კულინარიის პაგანინიცო“**.

ალექსანდრე რთველაძე თავისი მდიდარი ბიოგრაფიის ერთ-ერთ მონაკვეთში სააქციონერო საზოგადოება — „საქართველოს მარგანეცში“ მზარეულად მუშაობდა. სულ მალე ყველა ალაპარაკდა ახალგაზრდა რაჭველის კულინარულ ოსტატობაზე. აქ მოხდა საინტერესო შემთხვევა. ა. რთველაძის კერძები იმდენად მოეწონა მაშინდელ ამერიკელ აქციონერს (მომავალ მილიარდერს) **ავერელ ჰარიმანს**, რომ ეს უკანასკნელი ეხვეწებოდა ალექსანდრეს წაჰყოლოდა მას ამერიკაში მის პირად მზარეულად. მაგ დროისათვის (1922 წლიდან) ალექსანდრე დაქორწინებული იყო ულამაზეს ქართველ ქალზე, **ნინო გრიგოლის ასულ ყავლაშვილზე** და არსად წასვლას არ აპირებდა“.





Без доверенности материалы не отпускаются

„__“ ОТДЕЛЕНИЕ ОМТО АХФУ НКГБ СССР

Действителен по „__“ ______ 194 г. „25“ IV 1944 г.

Остается на складе при отчетности

НАРЯД № 93/44

Начальнику склада
Отпустить т. [illegible]
Основание к отпуску приказ НКГБ СССР № 20 от 28/I-44
С отправкой по адресу

| № по номенклатуре | Наименование имущества | Единица измер. | Количество: Подлежит отпуску | Количество: Фактически отпущено | Цена | Сумма | Отметки |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | [illegible] № 16149 | шт | 1 | 1 | 180.00 | [illegible] | |
| | [illegible] | | | получил | | | |

ჩემს არქივში შენახულია, ინგლისურიდან თარგმნილი ა. რთველაძის სასამსახურებრივი დახასიათება: „მაქვს პატივი, რეკომენდაცია გავუწიო ალექსანდრე რთველაძეს, რომელიც მუშაობდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცში“ უფროს მზარეულად. ჩვენთან მუშაობისას იგი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას და ყველა ურთიერთობაში იყო პატიოსანი“. ამ დახასიათებას ხელს აწერდა ამ სააქციო საზოგადოების მთავარი ინჟინერი **დ. მ. ვეერი**. დოკუმენტი დათარიღებულია 1926 წლით. ბედმა ისე განკარგა, რომ ომის წლებში ალექსანდრე რთველაძე და ავერელ ჰარიმანი შეხვდნენ ერთმანეთს კრემლში, შემდეგ კი სამივე საერთაშორისო კონფერენციაზე — თეირანში, იალტასა და პოსტამში. ავერელ ჰარიმანს (გახლდათ აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1943-46 წწ.) გაუხარდა თავისი ყოფილი თანამშრომლის ნახვა და ეს ცნობილი გახდა „დიდი სამეულისთვის“.

ლენინგრადში, კულინარიის უმაღლეს კურსებზე, ალექსანდრე რთველაძემ ბერიას რჩევით, შეისწავლა ფრანგული სამზარეულოც. სახლში დაბრუნებისთანავე რთველაძე ხდება ლავრენტი ბერიას პირადი მზარეული. ისინი თითქმის თანატოლები იყვნენ. ბერია რთველაძეზე სულ რაღაც ორიოდე თვით იყო უფროსი. რა თქმა უნდა, ალექსანდრე უკვე ირიცხებოდა საქართველოს შინსახკომის შტატში. ასეთი წესი იყო მაშინ; ხოლო რთველაძე მის გვერდით რომ ყოფილიყო, ბერიამ მას გამოუყო კარგი ბინა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის შენობასთან, კერძოდ, სულხანსაბას №9-ში.

1938 წლის 22 აგვისტოს ლავრენტი ბერია გადაჰყავთ მოსკოვში, ჯერ სსრკ-ის შს სახალხო კომისრის მოადგილედ და იმავე წლის 25 ნოემბერს ამტკიცებენ საკავშირო შინსახკომის თავკაცად. სტალინმა ნება დართო ბერიას, წამოეყვანა მისთვის საჭირო ადამიანების გარკვეული რაოდენობა. ასე, 1939 წლის 1 სექტემბერს, ალექსანდრე რთველაძე აღმოჩნდა მოსკოვში და შეუდგა თავის პირდაპირ მოვალეობას საბჭოთა შინსახკომის სახალხო კომისარ ლ. ბერიასთან, რომლის ოჯახი (მეუღლე **ნინო თეიმურაზის ასული გეგეჭკორი** და 15 წლის ვაჟი — **სერგო**), სტალინის მოთხოვნით, უკვე მოსკოვში იმყოფებოდა, რთველაძის ოჯახი კი თბილისში დარჩა.

ბერიას საკმაოდ ხშირად სტუმრობდა სტალინი. მას მოსწონდა ნინო გეგეჭკორის მიერ მომზადებული ქართული კერძები. რამდენიმე ხნის შემდეგ სტალინის სამზარეულოში, ბერიას რეკომენდაციით, მუშაობა დაიწყო ალექსანდრე რთველაძემ. ასე დაიწყო ალექსანდრე რთველაძისთვის 14-წლიანი ცხოვრება კრემლში, სავსე ზრუნვით, განსაკუთრებული მოვალეობებით და უმაღლესი პასუხისმგებლობით. აქ ბატონმა ალექსანდრემ იმუშავა 1953 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით, სანამ ოფიციალურად არ გაათავისუფლეს შტატების შემცირების მიზეზით. ბევრი ჯილდო და მადლობა მიიღო ამ დროის განმავლობაში კულინარიის ჯადოქარმა.

### ზუთხი "ბებერი მელასთვის"

„სტალინი არ იყო აზიზი მჭამელი. ჭამდა ძალზე ცოტას, ნელა. ასეთი იყო კრემლის ყველა მობინადრის ცხოვრების წესი. მისი საყვარელი კერძებიდან დავასახელებ მწვადს ციკნის ხორცისგან; ძალიან მოსწონდა ქართული სამზარეულო“ — იხსენებს ალექსანდრე რთველაძე — **როდესაც 1943 წლის ნოემბერში თეირანის კონფერენციაზე ჩვენმა ჩესიკტებმა გაიგეს, რომ ჩერჩილი გიჟდება მოხარშულ ზუთხზეო, მომცეს დავალება მისი მთლიანად მოხარშვისა ბრიტანეთის პრემიერმინისტრის დაბადების დღისთვის. მოვიფიქრე, როგორ მომეხარშა ზუთხი. ამაზე მოვახსენე ძია საშას და მან სიხარულისგან გადამკოცნა. ბაქოდან ჩეკისტებმა სასწრაფოდ მოიტანეს ორი მეტრნახევრიანი თევზი. ბაქოშივე დაამზადეს უზარმაზარი როფი, რომელიც დოლბანდის გორგალით მე გადმომცეს. ჩვენი საელჩოს სამეურნეო ეზოში კოცონი დავანთეთ, ადუღებულ წყალში ჩავუშვით დოლბანდში გახვეული ზუთხი, როგორც კი მივეცი ნიშანი, ეგნატაშვილმა მარტო, რადგან არავის არ ანდო ეს საქმე, ნელ-ნელა დაიწყო ზუთხის ამოწევა; აი, ძალა მას ჰქონდა! ახალგაზრდობაში ალექსანდრე ეგნატაშვილი მოჭიდავე გახლდათ. ზუთხი მოვათავსეთ უზარმაზარ სინზე, რომელიც სპეციალურად ჩამოიტანეს ლენინგრადის ერმიტაჟიდან. სინი საზეიმოდ შეიტანეს საბანკეტო დარბაზში და იუბილარის წინ დადეს. ჩერჩილის აღტაცებას ბოლო არ უჩანდა!“.**

### საცივი ნანადირევისგან სტალინისთვის

ბატონმა ალექსანდრემ იცოდა, რომ სტალინს უყვარდა საცივი და სპეციალურად ბელადისთვის შექმნა საცივი ნანადირევისგან, ნებისმიერი ნანადირევისგან და არა მხოლოდ ქათმისგან ან ინდაურისგან. ჩემი თხოვნით მან მიკარნახა მაგ საცივის რეცეპტი, რომელიც სიტყვასიტყვით ჩავიწერე ჩემს ბლოკნოტში: ვიღებთ ნანადირევის ხორცს 800 გრ მწვანილის კონას, დაფნის ფოთოლს, მომცრო ხახვის თავს, მიხაკ-დარიჩინის 2 მარცვალს, ნიორის 2 კბილს და სულ ცოტა მარილს. მომზადებულ ნანადირევს ვდებთ ცივ წყალში მწვანილთან ერთად და ვხარშავთ ხორცს. შემდეგ ხორცს პორციებად ვჭრით და მოვასხამთ სოუსს. ახლა მთავარზე, კერძოდ, სოუსის მომზადებაზე: ვიღებთ 50 გრ კარაქს, 150 გრ ნიგოზს, 125 გრ ხახვს, ერთ სუფრის კოვზ ფქვილს, ერთ კვერცხის გულს, ნიორის 2 კბილს, 50 გრ ძმარს და დანის წვერზე დაფქვილ მიხაკ-დარიჩინს, ნახევარ ჩაის კოვზ დაფქვილ წითელ წიწაკას, დაფნის პატარა ფოთოლს, ცოტა ბულიონს, 0,1 გრ ზაფრანას, 1 კონა ოხრახუშს და ერთ ჩაის კოვზს მარილს. ხახვი და ნიორი წვრილად უნდა დავჭრათ და ოდნავ მოვთუშოთ კარაქში. შემდეგ დავამატოთ ფქვილი და მოვურიოთ. მორევის დროს ნელ-ნელა ჩავასხათ ბულიონი. როგორც კი ადუღდება, გადმოვდგათ ცეცხლიდან. დანაყილი ნიგოზს დავუმატოთ სუნელები, წვრილად დაჭრილი ახალი მწვანილი, წითელი წიწაკა, კვერცხის გული, ანადუღარი ძმარი და სხვა კომპონენტები. შემდეგ, უწყვეტლივ მორევის დროს ჩავდოთ ეს ცივ წყალიან ჯამში და ვურიოთ მანამ, სანამ არ გაცივდება და არ გასქელდება. სტალინს ეს კერძი ძალიან მოსწონდა.

ჩაიწერა
**გიორგი კორძაძემ**

ახალი ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი პატივს სცემდა პროფესიონალების აზრს, ნებისმიერი დარგის პროფესიონალებს — მწერლებს, რეჟისორებს, მუსიკოსებს. აი, ერთი პატარა ისტორია, რომელიც ამ დასკვნის შესანიშნავი ილუსტრაციაა.**

# არამზადები სტალინის წინააღმდეგ

დასასრული. დასაწყისი იხ. №46-47 (233-234)

**როგორც ვთქვით, კომპოზიტორი ტიხონ ხრენიკოვი სტალინმა სტალინური პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის გენერალურ მდივნად და ამ კომიტეტის მუსიკალური სექციის თავმჯდომარედ დანიშნა.**
**ხრენიკოვის მოგონებებით თუ ვიმსჯელებთ, ღირსეული კანდიდატის შერჩევა პრემიაზე წარსადგენად ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა, თავისუფალ, მაგრამ პრინციპულ გარემოსა და პროფესიულ დონეზე. ყველაზე დიდი ავტორიტეტი განხილვების დროს მართალი სიტყვა და მიუკერძოებელი არგუმენტები იყო.**



უდიდესი შთაბეჭდილება ტიხონ ხრენიკოვზე მოუხდენია სტალინის კომპეტენტურობას: „...მან იცოდა ყველაფერი, რაც განიხილებოდა. კანდიდატურები წარმოდგენილი იყო არამარტო ლიტერატურასა და ხელოვნებაში, არამედ მეცნიერებაშიც.

მახსენდება წიგნის განხილვა ისტორიის საკითხებზე, რომელიც სტალინური პრემიის მისაღებად აკადემიკოსმა გრეკოვმა წარმოადგინა. იგი მაშინ სათავეში ედგა საბჭოთა ისტორიულ სკოლას.

სტალინი ეკითხება:

— ამხანაგო გრეკოვ, თქვენ წაიკითხეთ ეს წიგნი?

გრეკოვი გაწითლდა, ოფლმა დაასხა:

— არა, ამხანაგო სტალინ, სამწუხაროდ, არ წამიკითხავს.

სტალინი:

— მე კი, სამწუხაროდ, წავიკითხე ეს წიგნი.

და დაიწყო დაწვრილებით, კონკრეტულად და ფრიად დამარწმუნებლად მისი გაანალიზება, ზეპირად იმოწმებდა ციტატებს ამ წიგნიდან, ჩამოთვლიდა ისტორიული ფაქტების დამახინჯების შემთხვევებს, რომლებიც დაშვებული იყო ამ ნაშრომში. ჭაღარა აკადემიკოსი სირცხვილისგან მთლად სველი იდგა. შემეშინდა, სისხლი არ ჩაქცეოდა“ *(ვ. კოჟემიაკო, „მის სიმღერებს მთელი ქვეყანა მღერის“, www.sovross.ru).*

სტალინი პატივს სცემდა პროფესიონალების აზრს, ნებისმიერი დარგის პროფესიონალებს — მწერლებს, რეჟისორებს, მუსიკოსებს. აი, ერთი პატარა ისტორია, რომელიც ამ დასკვნის შესანიშნავი ილუსტრაციაა.

სტალინურ პრემიაზე წარდგენილი იყო ერთი სიმფონიის ავტორი, კომპოზიტორი გოლუბევი, რომელსაც მხარს უჭერდა ანდრეი ჟდანოვი (ცკ მდივანი, პოლიტბიუროს წევრი). კომისიის წევრებმა იცოდნენ, ვისი პროტეჟეც იყო გოლუბევი და ყველამ მხარი დაუჭირა. როცა მომავალი ლაურეატების გამზადებული სიები სტალინს მიუტანეს, მან იკითხა:

— გოლუბევი... სიმფონია... მომხრეა ყველა, წინააღმდეგი — ერთი. ვინაა ის ერთი?

— შოსტაკოვიჩი, ამხანაგო სტალინ.

— ამხანაგი შოსტაკოვიჩი მუსიკაში ჩვენზე უკეთ ერკვევა, — თქვა სტალინმა და ამოშალა გოლუბევი ლაურეატთა სიიდან“ *(თ. ჩუევი, იმპერიის ჯარისკაცები, 1998, გვ. 532).*

## როგორი ხელმძღვანელი იყო სტალინი

ნიკოლაი სტარიკოვის წიგნის მესამე თავი სწორედ ამ საკითხს ეძღვნება, თუმცა ავტორი შესავალ ნაწილშივე წერს, რომ ერთი წიგნიც არ ეყოფა იმ უმძიმეს გადაწყვეტილებათა შესახებ მონათხრობს, რომლებიც სტალინს თავის დროზე მიუღია. ავტორი გვპირდება, რომ შეჩერდება ძირითადზე და შეეცდება, გადმოგვცეს ის მთავარი თვისებები, რომლებიც სტალინს, როგორც ხელმძღვანელს ახასიათებდა, და როგორ ვლინდებოდა ეს თვისებები სხვადასხვა სიტუაციაში.

**მზრუნველი და ყურადღებიანი ადამიანი — ასე ახასიათებს მას ყველა, ვისთანაც უმუშავია**

მზრუნველი და ყურადღებიანი ადამიანი — ასე ახასიათებს მას ყველა, ვისთანაც უმუშავია.

დავიწყოთ უმარტივესიდან. ავიაციის მთავარი მარშალი გოლოვანოვი წერს, რომ სტალინი საოცრად ყურადღებიანი მასპინძელი იყო. ყველას, ვინც მასთან სტუმრად მარტო მივიდოდა, მისაღებში ხვდებოდა და პალტოს გახდაში ეხმარებოდა, წასვლისას — ჩაცმაში. მეო, — ამბობს გოლოვანოვი, — თავს ყოველთვის უხერხულად ვგრძნობდი და ამიტომ ვცდილობდი, მისვლისთანავე გამეხადა ფარაჯა და მომეხადა ქუდი. წასვლისას სწრაფად გავდიოდი ოთახიდან და ვიცვამდი, სანამ მასპინძელი ხელს შემაშველებდა *(ა. გოლოვანოვი, შორეული ბომბდამშენი, 2007 წ., გვ. 120).*

უფროსი თაობის მკითხველებს შეიძლება ახსოვთ, რომ გოლოვანოვის წიგნი 1960-იანი წლების ბოლოს საქართველოს ახალგაზრდულ პრესაში იბეჭდებოდა — ორიგინალი „მოლოდიოჟ გრუზიაში“, თარგმანი — „ახალგაზრდა კომუნისტში“, და ამ მიზეზითაც ამ გაზეთების პოპულარობა არნახულად გაიზარდა. „ახალგაზრდა კომუნისტის“ ტირაჟმა, რომლის რედაქტორობის პატივი მაშინ მე მხვდა წილად, 252 ათას ეგზემპლიარს გადააჭარბა. გოლოვანოვი მაშინ თბილისში ჩამოვიდა, შეხვდა თავის ფრონტელ მეგობარს, ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და მეცნიერს დავით ჩხიკვიშვილს, რომელიც ბოლოს თსუ რექტორი იყო. გოლოვანოვთან საუბარი „ახკომში“ გამოქვეყნდა.

ავიაციის მარშლის წიგნიდან ამონარიდებს უხვად იყენებს ნიკოლაი სტარიკოვი.

ერთ-ერთი ამბავი მათ შორის მოგვითხრობს სტალინზე, როგორც ყურადღებიან ხელმძღვანელზე.

„ომის დაწყების კვირაძალს სტალინმა სტრატეგიული ავიაციის (შორეული ბომბდამშენის) შექმნა გადაწყვიტა. მისი როლი მეორე მსოფლიო ომში ფრიად მნიშვნელოვანი იყო. ნებისმიერი საქმისთვის სტალინს ჰყავდა თავისი კაცი, რომელიც ამ საქმეს სხვაზე უკეთ იყო მორგებული. მან გადაწყვიტა, რომ „სტრატეგიული ავიაციის“ პროექტი გოლოვანოვისთვის ჩაებარებინა, რომელიც იმ დროს აეროფლოტის ერთ-ერთ ხელმძღვანელად მუშაობდა. ასეთი ავიაცია ჰიტლერს არ ჰქონდა... რაც საშუალებას არ აძლევდა, დაებომბათ ქალაქები და საწარმოები შორ მანძილებზე.

მომავალი სამუშაოს დეტალები სტალინმა და გოლოვანოვმა ერთად განიხილეს. თავიდან უნდა შექმნილიყო ერთი საავიაციო პოლკი, შემდეგ კი სრული მოცულობით ამოქმედდებოდა „შორეული ბომბდამშენი“. საუბრის ბოლოს საბჭოთა კავშირის მეთაური ეკითხება გოლოვანოვს:

— ახლა კი ერთი რამ უნდა გკითხოთ: რა ხელფასს იღებთ?

— სახკომსაბჭოს დადგენილებით, მე, როგორც აეროფლოტის შეფმფრინავს, განსაზღვრული მაქვს თვეში ოთხი ათასი რუბლი.

— რამდენს იღებს საავიაციო პოლკის მეთაური? — შეეკითხა სტალინი თავდაცვის სახალხო კომისარს, საბჭოთა კავშირის მარშალ ტიმოშენკოს. გაირკვა, რომ არმიაში ხელფასები ძალიან ჩამორჩება აეროფლოტისას. პოლკის მეთაური იღებს ათას ექვსას რუბლს. გოლოვანოვი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება:

— ამხანაგო სტალინ, ფულს არასოდეს გამოვკიდებივარ და არ გამოვეკიდები. დადგენილია 1600 რუბლი, ავიღებ ამ ხელფასს.

...გოლოვანოვი არაფერს ითხოვს. სტალინი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას. იგი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, რომ კომუნისტმა უნდა დაივიწყოს ყოველივე პირადული და იმუშაოს პარტიის ბრძანების თანახმად. სტალინისთვის გასაგებია, რომ, თუ ადამიანს სამჯერ შეუმცირებ ხელფასს, ვერ მოსთხოვ, ვერ დაარწმუნებ, იშრომოს ქვეყნის საკეთილდღეოდ. სტალინს სჭირდება შედეგი და არა იდეოლოგიური უბიწობა.

„— თქვენ, როგორც პოლკის უფროსი, სახელმწიფოს ხარჯზე იქნებით, სახელმწიფო გასმევთ და გაჭმევთ, ჩაგაცვამთ და დაგახურავთ, გექნებათ სახელმწიფოს მოცემული ბინა. ამ ყველაფერთან ერთად, ეტყობა, მიზანშეწონილი იქნება, დაგიტოვოთ ხელფასი, რომელსაც ახლა იღებთ. რატომ უნდა ვაწყენინოთ ადამიანს, თუ იგი საპასუხისმგებლო, სერიოზულ სამუშაოზე მიდის? როგორ მოვიქცეთ, ამხანაგებო? — მიმართა მან დამსწრეთ.

გაისმა ხმები: „სწორია, სწორია!“

— კმაყოფილი ხართ? — მკითხა.

— რა თქმა უნდა, სავსებით კმაყოფილი ვარ, ამხანაგო სტალინ!“ *(გოლოვანოვი, შორეული ბომბდამშენი, 2007, გვ. 48-49).*

სკეპტიკოსი დაიძაბება — სტალინს სჭირდებოდა გოლოვანოვი, ამიტომაც შეუქმნა საქმიანობის საუკეთესო პირობები.

ასეა. სჭირდებოდა. მაგრამ, უწინარესად, სჭირდებოდა ქვეყანას უმძიმეს წლებში — ომი იყო. ეს ერთი. მეორე — ცოტა იცით დღევანდელი მაგალითი იმისა, რომ ქვეყნისთვის საჭირო ადამიანების სამუშაო პირობებზე კი არ ზრუნავდნენ რეფორმა- ▶

## სად დაიწყო მუშაობა მიხეილ სააკაშვილმა?

**საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ის ნიუ იორკის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში რეფორმირების პროგრამაზე მუშაობს.**

ამის შესახებ სააკაშვილმა უკრაინულ ტელეკომპანია „112 უკრაინასთან“ ინტერვიუში განაცხადა. ამით მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტის კითხვაზე უპასუხა, რას აკეთებს ნიუ იორკში და რატომ არ იმყოფება საქართველოში.

**„ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე უნივერსიტეტისთვის ვმუშაობ პროგრამაზე, ჩვენი ქვეყნების რეფორმირების შესახებ. თავის დროზე მე დავამთავრე კოლუმბიის უნივერსიტეტი, ვცხოვრობდი ნიუ იორკში. თბილისის და კიევის შემდეგ, ნიუ იორკი არის ჩემთვის ყველაზე ახლობელი და მშობლიური ქალაქი. მაქვს ძალიან კარგი და სერიოზული წინადადება წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტისგან. როდესაც ამ პროგრამაზე მუშაობას დავასრულებ, რა თქმა უნდა, დავბრუნდები საქართველოში და ჩავერთვები პროცესებში“,** — განაცხადა სააკაშვილმა.



# ვინ აგზავნიდა ამ ფულს, ამოუცნობი გახდა თვით ალექსანდრე მიხეილის ძისთვისაც და მხოლოდ მოსკოვში დაბრუნების შემდეგ გაირკვა ყველაფერი: მღვდელს ფულს რეგულარულად სტალინი უგზავნიდა.

უზენაესი ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

...ტორი ხელმძღვანელები, არამედ „ჩარეცხილების“ რანგში ალაზევებდნენ?!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების მაგალითს შეგახსენებთ...

კეთილი და პატიოსანი, — სჭირდებოდა და შეუქმნა პირობები. მაგრამ, თუ ხელმძღვანელს შინაგანი მოთხოვნა არა აქვს სიკეთის ქმნისა, „თუ ბუნებამც არ უშველა“, იგი სხვისთვის მზრუნველი ვერა და ვერ იქნება.

ახლა მოისმინეთ სხვა მაგალითი, რომელშიც ეს წინაპირობა — საჭიროა, სჭირდება — გამორიცხულია, სიკეთე კი დანიშნულებისკენ გზას იკაფავს.

## მარშლის მღვდელი მამა

ეს მართალი ამბავი სხვა წიგნიდანაა, რომელშიც თავმოყრილია თანამედროვეთა მოგონებები სტალინზე, ეპოქის დოკუმენტები, ისტორიკოსების ვერსიები, ესაა **ევგენი გუსლიაროვის ნაშრომი „სტალინი ცხოვრებაში“.**

„ერთხელ ალექსანდრე მიხეილის ძემ (ვასილიევსკი, სსრკ მარშალი, ცნობილი სამხედრო მოღვაწე) ილაპარაკა სტალინთან გამართულ საუბარზე. ფრონტზე არსებული მდგომარეობის საქმიანი განხილვის შემდეგ (1943 წელია) იოსებ ბესარიონის ძემ სთხოვა, დაყოვნებულიყო და უცებ ჰკითხა:

— მატერიალურად როგორ ეხმარებით მშობლებს? როგორც ვიცი, — განაგრძო სტალინმა, — თქვენი ერთი ძმა ექიმია, მეორე — აგრონომი, მესამე — მეთაური, მფრინავი, და თქვენც უნდა დახმარებოდით მშობლებს. მაშინ თქვენი ხანდაზმული მამა მთლიანად ეკლესიაზე არ იქნებოდა დამოკიდებული (ვასილევსკის მამა მღვდელი იყო).

ალექსანდრე მიხეილის ძემ გულახდილად უთხრა სტალინს, რომ, დიდი ხანია, — 1926 წლიდან — ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა თავის მღვდელ მამასთან.

— ესე იგი მღვდელთან საქმე არა გაქვთ?! — ეშმაკურად შენიშნა სტალინმა, — მაშ, ჩემთან როგორღა თანამშრომლობთ?! მე ხომ სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი და მღვდლობასაც ვაპირებდი.

— თქვენ, ამხანაგო სტალინ, უმაღლესი მთავარსარდალი ხართ, — უპასუხა ვასილევსკიმ.

სტალინმა უკვე სერიოზულად თქვა:

— აი, რა: გირჩევთ დაამყაროთ კავშირი მშობლებთან და სისტემატურად დაეხმაროთ მატერიალურად. ჩადით მათთან. რამდენიმე დღე გეყოფათ?

ვასილევსკის შეპასუხებაზე, რომ ომია და გამგზავრება შეუძლებელია, სტალინმა მშვიდად წარმოთქვა:

— რამდენიმე დღით ჩვენ შეგცვლით.

მშობლები რომ მოინახულა, ალექსანდრე მიხეილის ძემ შეიტყო — მამამისი მიხეილ ალექსანდრეს ძე რეგულარულად იღებდა ფულად გზავნილებს, დარწმუნებული იყო, რომ ამას მარშალი შვილი აკეთებდა და არა მისი სხვა ვაჟიშვილები, რადგან თანხა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. ვინ აგზავნიდა ამ ფულს, ამოუცნობი გახდა თვით ალექსანდრე მიხეილის ძისთვისაც და მხოლოდ მოსკოვში დაბრუნების შემდეგ გაირკვა ყველაფერი: მღვდელს ფულს რეგულარულად სტალინი უგზავნიდა.

საუბარი ვასილევსკიმ ასე დაასრულა. მოსკოვში ჩამოსვლისთანავე მან დაუყოვნებლივ მოახსენა სტალინს, რომ აღადგინა კავშირი საკუთარ მამასთან.

— სწორად მოქცეულხართ, — უპასუხა სტალინმა.

შემდეგ იოსებ ბესარიონის ძემ სეიფიდან ამოიღო საფოსტო გზავნილების ქვითრების შეკვრა, გადასცა ვასილევსკის და უთხრა:

— ამიერიდან დიდხანს ვერ გამისწორდებით! *(დასახელებული კრებული, გვ.გვ. 487-488).*



**«ომის დროს გენერალმა ერიომენკომ ორდენებით დააჯილდოვა თანამშრომლები ფრონტის გაზეთისა, რომელშიც ბელადის ლექსებს ბეჭდავდნენ. სტალინმა ეს რომ გაიგო, ბრძანება გასცა, დაებრუნებინათ ორდენები»**

საინტერესოა ასეთი ფაქტიც:

„მფრინავი ბორის კოვზანი დიდი სამამულო ომის უნიკალური გმირი იყო. მან ოთხი ტარანი მოახდინა — პირისპირ შეეჯახა მოწინააღმდეგეს და ცოცხალი გადარჩა. გმირის ოქროს ვარსკვლავი რომ გადასცეს, სტალინმა თავისთან გამოიძახა და ყველაფერი გამოჰკითხა. დაინტერესდა, რის გაკეთებას აპირებდა გმირი მფრინავი.

— დავბრუნდები ჩემს ნაწილში და ბრძოლას გავაგრძელებ, — უპასუხა დაჭრილ-დაჩეხილმა ავიაგამანადგურებელმა.

— ვფიქრობ, რომ თქვენ საკმარისად იომეთ, — თქვა სტალინმა, — აი, ცოტა რომ ისწავლოთ, არ გაწყენთ, მაგალითად, აკადემიაში.

— ვერ გავქაჩავ, ამხანაგო სტალინ, — პატიოსნად აღიარა კოვზანმა.

— თქვენც აიღეთ და სიტყვა მომეცით, რომ ისწავლით.

— გპირდებით, ამხანაგო სტალინ.

— შინ როგორ გაქვთ საქმეები?

— ეს-ესაა ბიჭი შეგვეძინა.

— გილოცავთ! ქვეყანას სჭირდება ადამიანები.

მფრინავი ეზოში რომ გავიდა, მანქანა დახვდა, უკანა სავარძელზე დიდი კოლოფი აღმოაჩინა, რომელშიც ახალშობილისთვის საჭირო ნივთები ელაგა...

კოვზანი თავის ნაწილში დაბრუნდა. გამოიძახა ზემდგომმა გენერალმა:

— ახლა რა უნდა ვქნათ?

— ვიმსახუროთ, — უპასუხა მფრინავმა.

— რა სიტყვა მიეცით ამხანაგ სტალინს? „ყველაფერი იცის“, — გაიფიქრა კოვზანმა. უნდოდა თუ არა, მაინც მოუწია აკადემიაში გამგზავრება. მისაღებ გამოცდებზე ვერც ერთ შეკითხვას ვერ უპასუხა და... მიიღეს აკადემიაში“ *(თ. ჩუევი, იმპერიის ჯარისკაცები, მოგონებანი, დოკუმენტები, გვ. გვ. 536-537).*

რახან ძირითადი თემიდან გადავუხვიეთ, ნაკლებად ცნობილი ორიოდ ფაქტიც გავიხსენოთ.

არტილერიის სისტემების კონსტრუქტორი გრაბინი ახალი, 1942 წლის დადგომის კვირაძალს სტალინმა თავისთან მიიწვია.

— თქვენმა ქვემეხმა გადაარჩინა რუსეთი. მითხარით, რა გნებავთ — საბჭოთა კავშირის გმირობა თუ სტალინური პრემია?

— ჩემთვის სულერთია, ამხანაგო სტალინ.

მისცეს ერთიცა და მეორეც *(„სტალინი ცხოვრებაში“, გვ. 449).*

მოხდა ისე, რომ თვითმფრინავი „ტუ-2“ წარმოებიდან მოხსნეს. შახურინი ითხოვდა, გაეგრძელებინათ ამ თვითმფრინავის გამოშვება. სტალინმა უპასუხა, რომ ფრონტისთვის საჭირო იყო ავიაგამანადგურებლები და არა ბომბდამშენები „ტუ-2“. ოციოდ დღის შემდეგ გაირკვა, რომ „ტუ“ კარგი თვითმფრინავი იყო. სტალინი მიხვდა, რომ შეცდა, რომ აღსადგენია „ტუ-2“-ის წარმოება, და ეუბნება შახურინს: „რატომ არ მიჩივლეთ ცკ-ში?“

შახურინი წერს: „სტალინს ცკ-ში არავინ უჩიოდა“ *(თ. ჩუევის დასახელებული წიგნი, გვ. 533).*

გენერალ-ლეიტენანტი ვ. რიაბოვი იხსენებდა, რომ „ომის დროს გენერალმა ერიომენკომ ორდენებით დააჯილდოვა იმ ფრონტის გაზეთის რედაქციის თანამშრომლები, რომელშიც მის ლექსებს ბეჭდავდნენ. სტალინმა ეს რომ გაიგო, ბრძანება გასცა, დაებრუნებინათ ორდენები.

ეს იყო ერთადერთი შემთხვევა მთელი ომის განმავლობაში“ (*იქვე, გვ. 311).*

კვლავ ძირითად თემას დავუბრუნდეთ — როგორი მეურნე იყო სტალინი, როგორ განკარგავდა იგი სახალხო სახსრებს? ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის ხელმძღვანელი აპარატის ოპტიმიზაცია, ევროკავშირს საკუთარ „ნოუ ჰაუდ“ აქვს გაპიარებული.

მართალია? ვნახოთ.

და კიდევ: ეს საკითხი — ხალხის ფულის ხარჯვის პრობლემა დღეს საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია თბილისის მერის მიერ 48 მილიონი ლარის მითვისების (რაზეც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული) ფონზე.

ომია. სტალინთან თათბირზე განიხილავენ დაზგათმშენებლობის სახალხო კომისარიატის მიერ სამხედრო ტექნიკის გამოშვების გაზრდის საკითხს. ამ დარგს ა. ი. ეფრემოვი ხელმძღვანელობდა... ეფრემოვი აცხადებს, რომ პროდუქციის გაზრდის შესაძლებლობა არის, მაგრამ ითხოვდა, დახმარებოდნენ რამდენიმე საკითხის გადაწყვეტაში. სხვათა შორის დაასახელა მთელ სახალხო კომისარიატში მმართველობის აპარატის გაზრდის საკითხი 800 კაცამდე. სტალინი ყურადღებით უსმენდა და, როცა ეფრემოვმა დაამთავრა, მივიდა მასთან და ჰკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, გსმენიათ რამე ბუგროვის გვარის შესახებ?

— არა, ამხანაგო სტალინ, ასეთი გვარი არ მსმენია, — უპასუხა ეფრემოვმა.

— მაშინ მე გეტყვით, — პაუზის შემდეგ თქვა უმაღლესმა მთავარსარდალმა, — ბუგროვი მთელ ვოლგაზე ცნობილი მეწისქვილე იყო. ყველა წისქვილი მას ეკუთვნოდა. ვოლგისპირეთში მხოლოდ მისი ფქვილი იყიდებოდა. მისი იყო გემებისა და ბარჟების უზარმაზარი ფლოტი. მისი საქონელბრუნვა მრავალი და მრავალი მილიონი ოქროს რუბლით განისაზღვრებოდა. უზარმაზარი მოგება ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, რა შტატი გააჩნდა ბუგროვს მთელი თავისი მეურნეობის გასაძღოლად?

ამ კითხვაზე, პასუხი, რა თქმა უნდა, არავის ჰქონდა. სტალინი ერთხანს ბოლთას სცემდა და ჩუმად ტენიდა ჩიბუხს, შემდეგ თქვა:

— რახან არავინ იცით, მე გეტყვით. ბუგროვს ჰყავდა: საკუთარი თავი, მოურავი და ბუღალტერი, რომელსაც წელიწადში 25 ათას რუბლს უხდიდა. ამას გარდა ბუღალტერს ჰქონდა უფასო ბინა და ბუგროვის ცხენებით მგზავრობდა. ეტყობა, ბუღალტერი უღირდა ამ ფულად. ტყუილუბრალოდ მას ბუგროვი ამდენს არ გადაუხდიდა... აი, მთელი შტატი. ბუგროვი ხომ კაპიტალისტი იყო და შეეძლო, ალბათ, დიდი შტატი ჰყოლოდა. მაგრამ კაპიტალისტი ფულს ტყუილუბრალოდ არ დახარჯავს, თუ უკიდურესი აუცილებლობით არ არის გამოწვეული, თუმცა ფული მისი საკუთრებაა.

ცოტა ხნით გაჩუმდა, თითქოს ფიქრობდა და განაგრძო:

— ჩვენ საკუთარი ფული არ გვაქვს, ხალხისაა და ამიტომ მათ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ, რადგან ვიცით, რომ ჩვენს ქონებას არ განვკარგავთ. ამიტომაც გთხოვთ, — მიმართა სახალხო კომისარს, — ამ პოზიციიდან გადახედეთ თქვენს წინადადებებს და ხელმოსაწერად წარმოგვიდგინეთ.

სტალინს შეეძლო ებრძანა, შეეძლო გაელანძღა. ამის ნაცვლად იგავი მოიშველია. ძალიან ხშირად იქცეოდა ასე. მშვიდად, უბრალოდ, ზოგჯერ ქარაგმულად ცდილობდა, ადამიანებისთვის აეხსნა თავისი პოზიცია, საკითხები, რომლებშიც ვერ ერკვეოდნენ.

**P.S. სტალინი იგავს მოუყვა სახალხო კომისარს. მიაქციეთ ამას ყურადღება, ჩვენი გაზეთის მკითხველებო. დამეთანხმებით, რომ სტალინის სტილი ეს მეთოდი — აეხსნა ადამიანებისთვის ის, რაც მათ ამა თუ იმ მიზეზით არ იცოდნენ, ბიბლიიდან მოდის, ახალი აღქმიდან, ცოდნის იმ წყაროდან, რომელსაც კომუნისტების ბელადი თავის ყმაწვილობაში დაეწაფა და ჭეშმარიტებას ეზიარა.**

**ეზიარა და შეივსო მისით გონება და რწმენა თვისი. ამიტომ „...პირველად სახარება უნდა ექადაგოს ყველა ერს“ *(მარკ. 13,10).***

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

## რუსეთის პრეზიდენტმა ხოდორკოვსკი შეიწყალა

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კომპანია „იუკოსის“ ყოფილი ხელმძღვანელის მიხაილ ხოდორკოვსკის შეწყალებას ხელი მოაწერა. ინფორმაციას ამის შესახებ კრემლის პრესსამსახური ავრცელებს.**

„ვხელმძღვანელობ რა ჰუმანურობის პრინციპებით, ვადგენ: შეწყალებულ იქნეს მსჯავრდებული ხოდორკოვსკი მიხაილ ბორისის ძე, დაბადებული 1963 წელს ქალაქ მოსკოვში, გათავისუფლებულ იქნეს ის თავისუფლების აღკვეთის ადგილას ყოფნისგან. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

განცხადება ხოდორკოვსკის შესაძლო შეწყალების შესახებ ვლადიმერ პუტინმა გუშინ მოწყობილ დიდ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

ვლადიმერ პუტინის პრესმდივანმა აღნიშნა, რომ ხოდორკოვსკის მიერ შეწყალების თხოვნის დაწერა ნიშნავს იმას, რომ ის ბრალს აღიარებს. ასე რომ, კომპანია „იუკოსის“ ყოფილი ხელმძღვანელი რეაბილიტაციას ვერ მიაღწევს. **მიხაილ ხოდორკოვსკი პატიმრობაში 2003 წლიდან იმყოფება.**



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კომაში მყოფმა ქალმა ბავშვი გააჩინა

**უნგრეთში ბავშვი გაუჩნდა ქალს, რომელიც მშობიარობამდე რამდენიმე თვის განმავლობაში კომაში იმყოფებოდა.** სამედიცინო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელ დებრეცენ ბელი ფურედის თქმით, 31 წლის ქალის ტვინი ორსულობის მე-15 კვირას გაითიშა. ექიმებმა იგი აპარატზე შეაერთეს, რომ ბავშვისთვის ზრდისა და დაბადების შესაძლებლობა მიეცათ. ბიჭუნა დედის კომაში ჩავარდნიდან 92 დღის შემდეგ სრულიად ჯანმრთელი დაიბადა. „იგი ორსულობის 27-ე კვირას დაიბადა, 1,42 კილოგრამს იწონიდა, მაგრამ ჯანმრთელი იყო“, — ამბობს ფურედი. ბავშვის გაჩენის შემდეგ ბიჭუნას დედა აპარატიდან გამორთეს. ახალშობილს ქალის ახლობლები გაზრდიან.



# ვარდების სოფელი

**ნიდერლანდებში არის ულამაზესი ვარდების სოფელი ლოტუმი, რომელშიც თითქმის ყველაფერი ყვავილებშია ჩაფლული.**

სოფლის ცენტრში, ეკლესიაში და მის ირგვლივ, მოედნებზე, არხების გასწვრივ, წყალში, სახლებში — ყველგან ვარდებია. ვარდები იზრდება ბაღებში, ქუჩებში, ნახავთ ვარდების საწოლს, ცხოველებს, ხალიჩებს, ადამიანებსაც კი...

სოფლის მდინარის გასწვრივ არის 35-კილომეტრიანი საველოსიპედო მარშრუტი, საიდანაც ამ ადგილის საოცარი და მშვენიერი სანახაობა იშლება. აქვე არის ცოდნის ცენტრი, სადაც მსურველს შეუძლია, ინფორმაცია მიიღოს ვარდებზე და ვარდების სოფელზე. მიირთვას ფინჯანი ყავა ან ჩაი, ნახოს ვარდების ციფრული პრეზენტაცია ან გადახედოს ლიტერატურას ამ ყვავილების შესახებ.





















## პერუელი გარემოსდამცველი ხეზე დაქორწინდა

**მსახიობი და გარემოს დამცველი რიჩარდ ტორესი არგენტინაში ხეზე დაქორწინდა.** კოსტიუმსა და ცისფერ შლაპაში გამოწყობილმა საქმრომ რჩეულს ყვავილების თაიგული აჩუქა და აკოცა. უცნაური კავშირის მოწმეები ნეფის მეგობრები და ნათესავები იყვნენ. პერუელი მამაკაცის თქმით, აქციას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა. ამ ნაბიჯით იგი გარემოს პრობლემებისადმი ადამიანების ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. მომავალში ტორესი მსგავსი აქციების ჩატარებას მთელ ლათინურ ამერიკაში გეგმავს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სახელმწიფოების ყველაზე უცნაური საზღვრები

**როცა სიტყვა „საზღვარი“ გვესმის, ბევრი ჩვენგანის წარმოდგენაში ეს ასოცირდება კეთილმოწყობილ საგუშაგოსთან, სადაც დგანან სპეციალურ ფორმებში გამოწყობილი მესაზღვრეები ავტომატებით ხელში და იცავენ საკუთარ ტერიტორიას. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება. მსოფლიოში არსებობს ქვეყნები, რომელთა საზღვრები ცოტა უჩვეულოდ გამოიყურება.**




## ნიდერლანდები-ბელგია

ამ ორ ქვეყანას შორის საზღვარი გადის კაფეს ტერიტორიაზე და გრძელდება ისე, რომ შუაზე ყოფს არამარტო მინდვრებსა და ფერდობებს, არამედ საცხოვრებელ სახლებსაც კი. ასე რომ, კაფეს სტუმარს შეუძლია სხვა მაგიდაზე გადანაცვლებით მეორე სახელმწიფოში გადავიდეს და იქ მიირთვას ყავა.



## შვეიცარია-იტალია

ამ ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი გადის ცნობილ სამთო-სათხილამურო კურორტზე და ერთმანეთისგან ყოფს სახლებსა და სათხილამურო ტრასებს. ასე რომ, შვეიცარიაში მყოფი დამსვენებელი თხილამურებით სრიალის დროს უნებურად შეიძლება იტალიაში აღმოჩნდეს.



## უნგრეთი-სლოვაკეთი-ავსტრია

სამი სახელმწიფოს საზღვარი არ გადის დასახლებულ პუნქტზე, თუმცა საზღვრის ტერიტორიაზე შეიძლება შეგვხვდეს სამივე ქვეყნის წარმომადგენელი, რომლებიც მშვიდად საუბრობენ ერთმანეთში.




## არგენტინა-ბრაზილია-პარაგვაი

ეს სამი სახელმწიფო ერთმანეთისგან გამოყოფილია მდინარეებით — პარანა და იგუასუ. ეს საოცარი ადგილი არაჩვეულებრივი სილამაზით გამოირჩევა.



## აშშ-მექსიკა

ამ სახელმწიფოებს შორის საზღვარი მთელ სიგრძეზე გამოყოფილია ღობით. ის გადის გზის პირას, შემდეგ ქუჩის პირას და გრძელდება ოკეანეში. ზოგ ადგილას გამყოფ ღობესთან მესაზღვრეები არ დგანან, ამიტომ ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე ღობეზე გადაძრომის მსურველები.




## აშშ-კანადა

ამ ორ ქვეყანას შორის საზღვარი გადის ქალაქ დერბიზე. ამ ქალაქის მცხოვრებლები თავისუფლად გადაადგილდებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში.



## ერაყი-სირია

ერაყსა და სირიას შორის საზღვარი ერთი შეხედვით ისე გამოიყურება, როგორც ნამდვილ სასაზღვრო რაიონს შეჰფერის, თუმცა ერთ სასაზღვრო ზოლზე ორი ქვეყნის შეიარაღებული ჯარისკაცების ერთდროულად ყოფნა, ცოტა არ იყოს, უცნაურია.



## პოლონეთი-უკრაინა

საზღვარი წარმოადგენს ხელოვნების ნიმუშს, რომელიც შექმნილია პოლონელი მხატვრის — იაროსლავ კოზიარის მიერ. მან შექმნა 2 თევზი სხვადასხვა მცენარისგან.



## ინდოეთი-ბანგლადეში

ამ ორ ქვეყანას შორის უმკაცრესი მავთულხლართების კორიდორია. ფაქტობრივად შეუძლებელია ამ საზღვარზე ჩუმად გადასვლა.



## გერმანია-ჩეხეთი

ეს საზღვარი ფაქტობრივად არ არსებობს. ის გადის სტეპებზე, რომლებზეც საერთოდ არაა გამყოფი ზღვარი აღნიშნული. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი ამ ორი ქვეყნის სხვადასხვაგვარი მცენარეული საფარი.




## რუსეთი და ბელარუსი

ამ ორ ქვეყანას შორის საზღვარი უბრალოდ არ არსებობს. მსურველს შეუძლია თავისუფლად გადავიდეს ერთი ქვეყნიდან მეორეში, თუმცა ბელარუსში გადასული ადამიანი მაშინათვე იგრძნობს განსხვავებას გზის ხარისხში.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კეთილშობილი ქურდი

**ჩინეთში, ხუნანის პროვინციაში მცხოვრებმა მობილურის ქურდმა პატრონს ტელეფონში ჩაწერილი ნომრები წერილობით გაუგზავნა.** დაზარალებულ ზოუ ბინს აიფონი მოპარეს და დაახლოებით 1000-მდე საკონტაქტო ნომერი დაკარგა. მან გადაწყვიტა, მობილურის ნომრები დაებრუნებინა: საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განცხადებები გააკრა, რომლებშიც ქურდს სთხოვდა, ნომრები გამოეგზავნა, სმარტფონი კი დაეტოვებინა. როგორც ჩანს, ზოუს კეთილშობილი ქურდი შეხვდა, რადგანაც დამნაშავემ ყველა საკონტაქტო ნომერი ფურცლებზე გადაწერა და დაზარალებულს შესაბამის ადგილას დაუტოვა. ზოუ აღდგენილი ნომრების დაბრუნებამ ძალიან გაახარა და პოლიციაში სარჩელი აღარ შეიტანა.





# სიკვდილით დასჯის შემდეგ გადარჩენილი

**37 წლის მამაკაცი, რომლის სახელსა და გვარს არ ასახელებენ, რამდენიმე თვის წინ დაიჭირეს ირანში ნარკოტიკული საშუალებების შენახვისთვის და ორიოდე დღეში „სამართლიანი სიკვდილით დასჯა“ მიუსაჯეს. განაჩენი გაპროტესტებას არ ექვემდებარებოდა.**

სამი დღის წინ ნარკოშემნახველს აღუსრულეს განაჩენი და ჩამოახრჩეს. თუმცა, ორი დღის შემდეგ მორგის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, რომ სიკვდილმისჯილი მკვდრეთით აღდგა და ისევ სუნთქავდა.

სასწრაფოდ გაეგზავნა ცნობა სამართალაღმსრულებლებს ზემოხსენებულის შესახებ და სიკვდილმისჯილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. პატიმარს საავადმყოფოში უმკურნალებენ, მისცემენ დროს რეაბილიტაციისთვის და, როდესაც გამოჯანმრთელდება, განაჩენს ხელმეორედ აღასრულებენ, რადგან, ხელისუფლების აზრით, სიკვდილმისჯილმა ამით სასჯელი ვერ მოიხადა.

# «ბუების კაფე»

**ბოლო წლების განმავლობაში იაპონიაში იხსნება უცნაური და უჩვეულო კაფეები. მათ შორისაა „ბუების კაფეც“, რომელიც იაპონური სტუდია Ghibli-ის ორიგინალური შემოქმედებაა.**

სტუდიის ეს სახელი ლიბიური სიტყვისგან მომდინარეობს და ნიშნავს საჰარას, უდაბნოს ცხელ ქარს (რომელსაც ასევე სიროკოს უწოდებენ).

ახლადგახსნილი კაფე –სიტყვასიტყვით და ზედმიწევნით წარმოადგენს იმას, როგორც ჟღერს მისი სახელწოდება — კაფე გავსებულია ბუებით და სტუმრებს შეუძლიათ მოეფერონ, დაიჭირონ ხელით. კაფეში ბუების ნაირსახეობებია, მათ შორის იშვიათი ქვესახეობა — სამხრეთული ზარნაშო, ბუების რიგის ყველაზე დიდი წარმომადგენელი (Bubo bubo interpositus). ბუები არიან ერთადერთი ცხოველები, რომლებიც ყველაფერს ლურჯ ფერში ხედავენ.

„ბუების კაფის“ მთელი ინტერიერი და დიზაინი შესრულებულია თემატურ სტილში.







# ფანქრის გულით შესრულებული საოცარი სკულპტურები

**როდესაც პირველად ამ პაწაწინა სკულპტურებს ნახავთ, გეგონებათ, რომ დალტონ გეტიმ თავის კოლექციას ახალი ნამუშევრები შესძინა, თუმცა მალე დარწმუნდებით, რომ ეს ახალი ვიეტნამელი მხატვარი დიმ ჩაუა, რომელიც, უბრალოდ, გენიოსია.**




ის ფანქრის წვერისგან საოცარ სკულპტურებს ქმნის, მას სხვადასხვა ფორმას აძლევს და სხვადასხვაგვარი იდეითაც ტვირთავს. ეს პატარა მოჩუქურთმებული ქანდაკებები ნამდვილი შედევრებია და მასში უდიდეს ოსტატობასთან ერთად ძალიან დიდი შრომაა ჩადებული.

მისი ნამუშევრებიდან საკმაოდ ცნობილია პატარა სპილო, რომელიც ჩაუმ მაშინ შექმნა, როდესაც აფრიკაში ცხოველების გადაშენების წინააღმდეგ ინიციატივაში მიიღო მონაწილეობა. **„მე ძალიან განრისხებული ვიყავი და ყველაფერი მეზიზღებოდა, მინდოდა, რაღაც ორიგინალური და კარგი შემექმნა, რათა გამომეხატა ჩემი სოლიდარობა“,** — ამბობს ხელოვანი და ეს მან შესანიშნავად შეძლო.

საინტერესოა ისიც, რომ ყველა სკულპტურას თავისი ისტორია აქვს, ზოგი მათგანი გახმაურებულია, ზოგი — არა. მისი ნამუშევრები იმდენად დიდი სიზუსტითაა შესრულებული, რომ ფოტოზე ნამდვილისგან გარჩევა ძალიან გაგიჭირდებათ. დისონანსს მხოლოდ სკულპტურის ზომები ქმნის.







## პიანისტმა მეზობლებს ფსიქიკური აშლილობა დამართა

**ესპანეთში, ქალაქ პუჩსერდაში მცხოვრები 27 წლის პიანისტი დააპატიმრეს, რადგან მეცადინეობის გამო მეზობლებს ფსიქიკური აშლილობა დამართა.** სასამართლოში 27 წლის მუსიკოსის ლაია მარტინის წინააღმდეგ მისი მეზობელი სონია ბოსომი იბრძვის. სონია ამბობს, რომ გოგონა კვირაში 5 დღე, დღეში 8 საათი შეუწყვეტლივ მეცადინეობს. მეზობელს მუსიკამ ფსიქიკური აშლილობა დამართა. ის ლაიას თავზე ცხოვრობს. ოფიციალური დასკვნით, ქალის ნერვოზი იმდენად სერიოზულია, რომ მას პიანინოსთვის მშვიდად შეხედვა ფილმებშიც აღარ შეუძლია. პროკურორის თქმით, პიანინოს დეციბილი საზოგადოებრივ დაწესებულებებში დაშვებულ ნორმას 10-ჯერ აღემატებოდა. ამასთან, ლაიას რამდენიმეჯერ მოსთხოვეს, რომ საძინებელში არ დაეკრა ან ხმის ჩამხშობი მოწყობილობა გამოეყენებინა, მაგრამ უშედეგოდ. მეზობლები იმედოვნებენ, რომ საზოგადოების შეურაცხყოფისთვის გოგონა მკაცრად დაისჯება.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გალიები ბავშვებისთვის

**ამერიკის შტატებში — ტეხასსა და ნიუ მეხიკოში ავტობუსების გაჩერებებზე მოსახლეობამ გალიები დადგა, რათა თავიანთი შვილები დაეცვათ მტაცებელი ცხოველებისგან.**

როგორც მოგეხსენებათ, ტეხასი და ნიუ მეხიკო მეტად უდაბური ადგილებია, სადაც დღისით მზე შეუბრალებლად დიდხანს და მკაცრად აცხუნებს, ღამით კი ტემპერატურა ძალიან დაბალია. ამ ერთიმეორის მოქიშპე კლიმატების ზონაში ცხოველთა სხვადასხვა პოპულაციები გვხვდება.

ბოლო დროს ამ ორი შტატის მკვიდრნი ძლიერ შეაწუხა მგლების თარეშმა. ხალხს არ შეეძლო ბავშვების სკოლაში უსაფრთხოდ გაშვება, რადგან ბავშვები პირდაპირ ავტობუსების გაჩერებიდან ქრებოდნენ.

ამგვარი კრიტიკული მდგომარეობის წინაშე აღმოჩნდნენ ულტრათანამედროვე ქვეყნის მოსახლენი.

შტატის თვითმართველობამ გადაწყვეტილება მიიღო, რის საფუძველზეც ავტობუსების გაჩერებებზე დაიდგა გალიები, რომლებშიც ბავშვები შევლენ და ავტობუსის მოსვლას დაელოდებიან.

„ბავშვებს თავს ესხმოდნენ მგლები. ამის გამო სკოლებში დასწრების მაჩვენებელი ძალზედ დაბალი იყო, რაც დაუშვებელია. ჩვენ გადავწყვიტეთ, უპირველესად მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, აგვეგო ეს რკინის გისოსებიანი შენობა, რათა ბავშვებმა და მათმა მშობლებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა მოვახერხოთ მგლების იზოლირებულ ადგილებში გადაყვანა, რადგან ამ ჯიშის შენარჩუნება უზრუნველვყოთ“, — განაცხადა შტატის გუბერნატორმა რიკ პერიმ.

მას შემდეგ, რაც მოხდება მგლების იზოლაცია ადამიანთა საცხოვრებელი ადგილებიდან, დაიწყება ამ ნაგებობების დემონტაჟი.









# ასტრონომებმა ლავით დაფარული პლანეტა აღმოაჩინეს

**Kepler-78b გარს უვლის მზის მსგავს ვარსკვლავს, რომელიც დედამიწიდან 400 სინათლის წლითაა დაშორებული და გედის თანავარსკვლავედში მდებარეობს.** პლანეტა ვარსკვლავისგან მხოლოდ 1.6 მილიონი კმ-ითაა დაშორებული (რაც მერკურის მაჩვენებელზე 40-ჯერ ნაკლებია) და მის გარშემო შემოვლას 8.5 საათს ანდომებს. ამის გამო ზედაპირის ტემპერატურა 2000-2800 გრადუსს შეადგენს. მისი წარმოქმნა ჯერჯერობით საიდუმლოა.

პლანეტების ფორმირებაზე არსებული ამჟამინდელი წარმოდგენით, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო პლანეტის ვარსკვლავთან ასე ახლოს ყოფნა. სავარაუდოა, რომ Kepler-78b-ს მალე „ჩაყლაპავს“ დედა-ვარსკვლავი, რომლის გრავიტაციული ძალებიც მას ნაწილებად დაშლის.



# ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიციულ მეთოდს იუნესკომ ძეგლის სტატუსი მიანიჭა

**იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-8 სესიაზე ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.**

ქვევრის ღვინის ტრადიციული დაყენების მეთოდის ნომინაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, რადგანაც ეს პირველი ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელიც იუნესკომ არამატერიული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის ამოქმედების შემდეგ დაამტკიცა.

ქვევრის ღვინის ტრადიციული დაყენების მეთოდის იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანა ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზარზე. 2011 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ მეთოდს მიენიჭა უმაღლესი ეროვნული ძეგლის სტატუსი.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია იუნესკომ 2003 წელს მიიღო. არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად მიჩნეულია ზეპირი გადმოცემები, ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები, რიტუალები, ფესტივალები, ხალხური რეწვა, ადათ-ჩვევები, კულტურული სივრცეები.

საქართველო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონვენციას 2007 წელს მიუერთდა, რითაც სახელმწიფომ აღიარა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა და იკისრა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც გულისხმობს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მის იდენტიფიკაციას, ინვენტარიზაციას, კვლევას, შენახვას, დაცვას, აღორძინებას, პოპულარიზაციას და ა. შ.





# ნასამ 833 ეგზოპლანეტა აღმოაჩინა

**ნასას მკვლევართა ჯგუფმა გაავრცელა განცხადება კეპლერის კოსმოსური ტელესკოპით 833 ეგზოპლანეტის აღმოჩენაზე, მათგან 104-ზე, შესაძლოა, სიცოცხლისთვის ვარგისი პირობები იყოს. ამ 104-იდან 10 პლანეტა კი ზომით დაახლოებით დედამიწის ტოლია. მეცნიერებმა ეს აღმოჩენა შეაფასეს, როგორც „ჩვენი გალაქტიკის კვლევის ახალი ეპოქის დასაწყისი“.**

აღსანიშნავია, რომ კეპლერის ტელესკოპს მთლიანობაში (2009 წლიდან) აღმოჩენილი აქვს 3538 ეგზოპლანეტა. მისი მთავარი დანიშნულება დედამიწის მსგავსი პლანეტების აღმოჩენა და კვლევაა, რათა დადგინდეს, რამდენად დიდია სიცოცხლისთვის ვარგისი პლანეტების რაოდენობა. აღმოჩენის შესახებ პირველად განაცხადეს კეპლერის სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მასპინძლობდა 400-ზე მეტ მეცნიერს 30 ქვეყნიდან.

კეპლერის მეშვეობით მიღებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ მზის მსგავსი ვარსკვლავების დაახლოებით 20%-ის გარშემო დედამიწის მგავსი პლანეტა მოძრაობს. თუმცა ამ მომენტში არ გაგვაჩნია უტყუარი ცნობა, რომ რომელიმე მათგანზე ჩვენი პლანეტის ანალოგიური პირობებია. ასტრონომები კვლევას აგრძელებენ და არაა გამორიცხული, მალე მსგავსი აღმოჩენის მომსწრეც გავხდეთ.

# საქართველო არ იქნება მეზობელი, რომელიც პრობლემებს შექმნის

**საქართველო არ იქნება მეზობელი, რომელიც პრობლემებს შექმნის, თუმცა დაიცავს თავის ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში და ამას მოითხოვს ყველა მეზობლისგან, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გაზეთ „კვირის პალიტრასთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს.**



პრეზიდენტის შეფასებით, რუსეთ-საქართველოს მომავალი, ისევე, როგორც ისტორიულად იყო, რთულია.

**„თუმცა ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ახლა ვატარებთ, ვფიქრობ, სწორი მიმართულებით ვითარდება, ანუ ჩვენ გვაქვს რუსეთთან ურთიერთობის ორი ფორმატი: ჟენევა და პრაღა. პრაღა, ძირითადად, ორიენტირებულია კულტურულ და ეკონომიკურ კავშირებზე, რაც თავისთავად პოზიტიურია. ამ ორი ფორმატის განცალკევება სწორი ნაბიჯი იყო. ჩვენ ვხედავთ, რომ ხდება ნელ-ნელა ღვინის, მინერალური წყლის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გატანა რუსეთის ბაზარზე, რაც ქმნის დადებით ფონს და ამ ფონმა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შექმნას შესაძლებლობები, რათა ჩვენ ვილაპარაკოთ პოლიტიკურ საკითხებზე. პოლიტიკურ საკითხებს რომ დავუბრუნდეთ, ნებისმიერ ომს, რომელიც წარმოებს ორ სახელმწიფოს შორის, ლოგიკა უნდა ჰქონდეს. წამიკითხავს ისტორიის სახელმძღვანელოში, რომ თემური წყობილების დროს გასართობად ომობდნენ. მას შემდეგ, რაც ადამიანები გადავიდნენ ცივილიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე, ომს აწარმოებდნენ კონკრეტული პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესებისთვის",** — აცხადებს პრეზიდენტი.

გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, ერთი ქვეყნის მიერ მეორის დაპყრობას თავისი ლოგიკა უნდა ჰქონდეს.

საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით 2008 წლის ომი უპრეცედენტო იყო, რომლის შედეგადაც რუსეთის საერთაშორისო იმიჯი შეილახა.

**„არც ჩვენი აფხაზი და ოსი თანამემამულეების ყოფა გაუმჯობესებულა, რომლებიც მავთულხლართებს მიღმა დარჩნენ. საქართველოსთვის ეს იყო ტრაგიკული და მძიმე დარტყმა. რეალურად ამ ვითარების შენარჩუნება არავის უნდა აძლევდეს ხელს. საქართველოს დემონიზაცია ველარ მოხდება, ვერ მოხდება საქართველოს წარმოჩენა, როგორც აგრესორისა, რადგან საქართველოს მთავრობა ძალიან რაციონალურ, მშვიდ პოლიტიკას ატარებს. შესაბამისად, არსებულ ვითარებას მშვიდად თუ შევხედავთ, რუსეთის ფედერაციას უნდა აძლევდეს ხელს ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, სტაბილური მეზობელი, რომელიც, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მეზობელი ქვეყნის, მის ინტერესებსაც გაითვალისწინებს. შესაბამისად, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ნაბიჯები უნდა გადაიდგას ვითარების დეესკალაციისკენ, სიტუაციის დამშვიდებისა და გარემოს დაწყნარებისკენ",** — აცხადებს პრეზიდენტი და აღნიშნავს, რომ ლოგიკური სცენარი ასეთია.

გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, პოლიტიკური ლიდერები ხშირად იქცევიან ალოგიკურად, თუმცა პრეზიდენტი მათზე კონკრეტულად არ საუბრობს.

**„ერთია გარკვეული მოქმედებები და მეორე ამ დე-ფაქტო ვითარებიდან ყველა ჩვენგანის გამოსავალი. ჩვენ ნათლად ვაჩვენეთ ჩვენი პოლიტიკური ვექტორი მსოფლიოს. საქართველო არ იქნება მეზობელი, რომელიც პრობლემებს შექმნის, თუმცა დაიცავს თავის ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ ფარგლებში და ამას მოითხოვს ყველა მეზობლისგან. ამ გზიდან ჩვენ ვერ გადაგვიყვანენ",** — აღნიშნავს გიორგი მარგველაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტთან ექსკლუზიური ინტერვიუ გაზეთ „კვირის პალიტრის" დღევანდელ ნომერში გამოქვეყნდა.

## უცნობი პუტინი




არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა" გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი". წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.

ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის" და „ბესტსელერის" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში" (ყაზბეგის გამზ. №4).




არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა" გამოსცა ცნობილი პოლიტოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის მეორე ტომი. პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა. მეორე ტომი ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში წაიკითხავთ ალექსანდრე ჭაჭიას 2012-1013 წლების პუბლიკაციებს, ხოლო მეორე ნაწილში — 2001-2011 წლების ინტერვიუებს, წერილებს და გამოსვლებს.

ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება.

კრებულის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსისა" და „ბესტსელერის" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში" (ყაზბეგის გამზ. №4)

# მთავარი პროკურორი ადასტურებს, რომ 2000 წელს გერმანიაში პოლიციელთან ინციდენტი შეემთხვა

**საქართველოს მთავარი პროკურორი ადასტურებს, რომ 2000 წელს გერმანიაში პოლიციელთან ინციდენტი შეემთხვა, ამასთან, განმარტავს, რომ კონფლიქტს მის მიმართ იძულებითი ღონისძიებები არ მოჰყოლია.**

ოთარ ფარცხალაძე მის დიპლომთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციასაც ეხმაურება და მზადაა, დიპლომის ასლი წარმოადგინოს.

მთავარი პროკურორის განცხადებას „ინტერპრესნიუსი" უცვლელად გთავაზობთ:

**„ბოლო დროს ჩემ მიმართ გააქტიურებულმა ბინძურმა პოლიტიკურმა კამპანიამ პიკს მიაღწია. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ რეზონანსულ საქმეებზე გააქტიურებულმა გამოძიებამ, როგორც ჩანს, ჩვენი ოპონენტები „გაანაწყენა" და ისინი შეუდგნენ ბინძური ხრიკებით უწყების და პირადად ჩემს კომპრომეტირებას. გულწრფელად გეტყვით, რომ პასუხის გაცემა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, რადგან მათი მოტივი და ინტერესი უკვე ნათელია და ამის შესახებ ცნობილია საზოგადოებისთვისაც. მე თავს ვალდებულად ვთვლი, რომ აღნიშნულ საკითხზე განცხადება მხოლოდ იმიტომ გავაკეთო, რომ დავაკმაყოფილო მაღალი ინტერესი საზოგადოების, რომელიც შეცდომაში იქნა შეყვანილი.**

**2000 წელს ნამდვილად ვიმყოფებოდი გერმანიაში, სადაც ინციდენტი შემემთხვა გერმანიის პოლიციასთან. სამართალდამცველს, რომელსაც, მოგვიანებით დადგინდა, რომ ინფორმაცია ჰქონდა სხვა პირის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, მოუვიდა შეცდომა, მომაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოხდა კონფლიქტი. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ ინციდენტის ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, სასამართლომ დამიდგინა პოლიციელთან შელაპარაკების ბრალეულობა.**



**მინდა განვაცხადო, რომ ამ ინციდენტს ჩემი ქვეყნიდან დეპორტაცია და სხვა იძულებითი ღონისძიებები არ მოჰყოლია, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩემს უდანაშაულობას. ასევე, ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ მას შემდეგ საქმიანი და პირადი ვიზიტით არაერთხელ ვიმყოფებოდი გერმანიაში და ქვეყანაში შესვლისა და მისი დატოვების დროს არანაირი პრობლემა არ შემქმნია.**

**ამასთან, მცირე განმარტება მინდა გავაკეთო ჩემს განათლებასთან დაკავშირებითაც, დავასრულო ერთხელ და სამუდამოდ ამაზე საუბარი და წამოგიდგინოთ დიპლომის ასლი.**

**ასევე, მინდა ვთხოვო ჩემს თანამოქალაქეებს, ნუ აჰყვებიან საქართველოს პროკურატურის ინსტიტუციის წინააღმდეგ წარმოებულ ბინძურ კამპანიას. მე თავი ვალდებულად ჩავთვალე, საქართველოს მოქალაქეებისთვის ამეხსნა საქმის ვითარება და განმემარტა, თუ რა მოხდა გერმანიაში 2000 წელს. ეს განმარტება ეკუთვნის საზოგადოებას და არა იმ პირებს, რომლებიც მხოლოდ საკუთარი დანაშაულის დაფარვის მიზნით ცდილობენ ჩემი, როგორც მთავარი პროკურატურის დისკრედიაციას",** — აცხადებს ოთარ ფარცხალაძე.

## ძვლის პრობლემები

მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემებზე, კოქსართროზი, ოსტეოქონდროზის, ოსტეპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზი, პოდაგრული ართრიტი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ასევე გახდომა თვეში 5-15 კგ მიღებული შედეგის შენარჩვნებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100% გარანტიით.

ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია ულოცავს ჟურნალისტ ქეთი ხომერიკს შვილის ლიზი მამაგულაშვილის დაბადების დღეს. ვუსურვებთ პატარა ლიზის გაზრდილიყოს სახელოვანი ქართველი ქალი.

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009